სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 12 აპრილი 2000 №67 (1089) | ფასი 50 თეთრი

№2
სარბიელი
40 000 ევროს ტრანსფერზე — ბარბარესი ტაბლოებს ბაბის ეუბნება
ბაბის ბრბლის ლიდერ ეუბნებოდეს ერეკ ბიბიანი, ალბ ბიბიანი, ალბ ბიბიანი, ალბ

საქართველომ ერთი იკმაროს

შემოთვალა უეფამ და ინტერტოტოზე ბელგიური კლუბი გვარგუნა

შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში თავგამოჩენილი გუნდები სხვადასხვა ევროპულ გათამაშებებში ჩაებმებიან. სხვებზე ადრე ამას ინტერტოტოს საგზურის მფლობელი გუნდი გააკეთებს. ჩვენი პირველობის გასრულებამდე 9 ტურია დარჩენილი და საევროპოდ შემზადებულთა ვინაობა ჯერაც გასარკვევია: მანამდე კი უეფამ ინტერტოტოს თასის გათამაშების წინასწარი რეგლამენტი დაადგინა, რომლის თანახმადაც ინტერტოტოს თასისთვის მებრძოლ ქართულ გუნდს პირველ რაუნდში ბელგიის გუნდი შეხვდება. რეიტინგში ჩვენზე გაცილებით უკეთეს საფეხურზე მყოფი ბელგიელები ინტერტოტოს გათამაშებაზე ორ გუნდს წარადგენენ და ჩვენებურები ამ ორიდან უკეთეს, პირველ გუნდს შეხვდებიან. პირველი რაუნდის პირველი მატჩი 17 ან 18 ივნისს გაიმართება ბენილუქსში, სპასუხო შეხვედრა საქართველოში 24 ან 25 ივნისს ჩატარდება. უეფას მითითების თანახმად მატჩების გამართვის კონკრეტულ დღეებზე ბელგიელები და ქართველები ერთმანეთში მოილაპარაკებენ.

ბაბრი კეთილაძის ფოტო

შარშანწინდელი „ტორპედო“ — „ლომელი“. ბელგიელები პირველად ქუთაისელებმა გაიცნეს

ამას წინათ პორტუგალიამ (მას ინტერტოტოზე ორი ადგილი ჰქონდა), შოტლანდიამ და უკრაინამ ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, შესაბამისად ოთხი ადგილიც გამოთავისუფლდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა უეფას, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ამ თასზე გამოსასვლელი მეორე ადგილი გამოეყო, მაგრამ უეფამ სფფ-ს თავაზიანი უარი განუცხადა. ეს ადგილები უეფას სარეიტინგო ცხრილში რანგით უფრო მაღლა მდგომ ქვეყნებს — იტალიას, ჩეხეთს, საფრანგეთს და ჰოლანდიას ეკუთვნისო, შემოთვალა ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ და გამოთავისუფლებული საინტერტოტოო ადგილებიც უკეთესმა ოთხეულმა დაინაწილა.

უეფას წესის თანახმად, თუ ქვეყანა ინტერტოტოს თასზე ერთი გუნდით გამოდის, შინაურ ჩემპიონატში მერვე საფეხურზე ქვემოთ არ უნდა იმყოფებოდეს. ორი გუნდის გამყვან ქვეყანას კი უფლება აქვს, ინტერტოტოს თასზე თავის ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზე გასული გუნდიც წარადგინოს, თუ რა თქმა უნდა, უფრო მაღალ ადგილებზე გასულნი გათამაშებაში მონაწილეობაზე უარს იტყვიან (რაც არცთუ იშვიათი შემთხვევაა). ეს წესი რომ არ ყოფილიყო, 1998 წელს ჩვენებურ „ტორპედოს“ ბელგიის ჩემპიონატში მეთერთმეტე ადგილზე გასული „ლომელი“ ვერც შეხვდებოდა. ისე, ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, წლეულს ინტერტოტოს საგზურის მომპოვებელ ქართულ გუნდს „ლომელი“ არასგზით არ შეხვდება. ეს გუნდი ბელგიის ჩემპიონატის გასრულებამდე ოთხი ტურით ადრე უიმედო აუტსაიდერია და ცხრილის ბოლო საფეხურზე მყარად დაფუძნებულა.

დღეისათვის ძნელი სათქმელია, რომელი გუნდები შეადგენენ ქართულ-ბელგიურ მორიგ საინტერტოტოე დაპირისპირებას. ჩვენი ჩემპიონატიდან საამისოდ მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი ოთხ გუნდს — „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“, „ბათუმსა“ და „ტორპედოს“ აქვთ, მაგრამ ერთიცაა სათქმელი — თუ საქართველოს თასი „ბ“ ზონაში მყოფმა „ლოკომოტივმა“ მოიპოვა (ეს კი სავსებით შესაძლებელია), მაშინ ინტერტოტოს თასზე ქვეყნის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასული გუნდი გაემგზავრება 17 ან 18 ივნისს ბელგიაში. ვინ დაუხვდება იმ დღეს ჩვენებურებს, ამაზე საუბარიც ნაადრევია, რადგან იქაური პირველობის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ჯერაც უცნობია, თუ ვინ ისურვებს ისედაც გადატვირთული კალენდრის უფრო დამძიმებას და არაპრესტიჟულ გათამაშებაში ქართველებთან გაჯიბრებას.

პაატა კვანტალიანი

დინამო საჩემპიონოდ ივსება

კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიმატა თბილისის „დინამომ“. ჩემპიონებმა ვლადიკავკაზის „ალანიიდან“ კონტრაქტგაუფორმებლად დაბრუნებული, ადრე კასპის „განთიადსა“ და საქართველოს მოყვარულთა ნაკრებში ნათამაშევი გიორგი გაბიდაური გადაიბრეს.

ფეხბურთელს, რომელმაც სწორედ „ალანიაში“ გამოიზამთრა, თბილისის „დინამოს“ გენერალური მდივანის ვაჟა ჟვანიას თქმით, საერთაშორისო სატრანსფერო ფურცელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არ მისცა და ვლადიკავკაზელებთან თითქმის გამზადებული კონტრაქტი ხელმოუწერელად დარჩა. „ალანიას“ მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევსაც უთქვამს, სადამდე ვიცადო, ფედერაცია ჩვენთან თამაშის უფლებას არ გაძლევს, საქართველოში დაბრუნდიო.

ჩამოვიდა გაბიდაური თბილისში და ახლა „დინამოს“ დაეხმარება ჩემპიონობის შესანარჩუნებლად ბრძოლაში. მის გარდა „დინამომ“, ალბათ მოგეხსენებათ, რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც დაიმატა და ჩემპიონატს ერთობ გაძლიერებული შემადგენლობით გააგრძელებს. გუშინწინ დინამოელებმა ამხანაგურ მატჩში არსენალი 5:2 დაამარცხეს.

სხვათა შორის, „დინამოს“ ორი ჩეხი ფეხბურთელის დამატებაც სურდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ მოახერხა.

კოგა ინასარიძე

არჩილი — არჩვაძის სიხარული

ბაბრი კეთილაძის ფოტო

არჩილ შაკიაშვილი

ეროვნულ ჩემპიონატში გამოცხადებული ერთკვირიანი პაუზა დასასრულს უახლოვდება და ზეგ შინაურ პირველობაზე მოასპარეზე გუნდებიც მეორე ეტაპის მეექვსე ტურისთვის გააგორებენ ბურთს. „ა“ ზონის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში ათგზის ჩემპიონი „დინამო“ ბოლნისურ „სიონს“ უმასპინძლებს. ეს თამაში ქულებდაკარგულ „დინამოსთვისაა“ მნიშვნელოვანი, თორემ ბოლნისელებს რომ თავი ქუდში აქვთ და მთგან ბევრსაც არავინ ითხოვს, ისედაც ნათელია. მაგრამ მოტივაციაც შერჩენიათ ბოლნისელებს, ჩვენი ოთხეულში მოხვედრის შანსებს „დინამოს“ დამარცხება გაზრდისო, იქადნებიან ქვემოქართლელები და დიდი ომის გასამართად მიემართებიან თბილისში. სპარტაკ არჩვაძის „სიონისგან“ სიურპრიზები აბა, რა გასაკვირია („დინამოც“ რომ არ არის ჩვეულ ფორმაში?), მაგრამ ერთიცაა, ბოლნისელების საამმატჩო ამაღლებულ განწყობას გუნდის კაპიტან არჩილ შაკიაშვილის დაბრუნებამაც შეუწყო ხელი. ნამენისკარი და მეორე ეტაპზე უთამაშებელი შაკიაშვილი ჯერ კიდევ ორი კვირის წინ შეუერთდა არჩვაძის სწვრთნელ პროცესს და გუშინდელ, „დინამოსთან“ მატჩისწინა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე სრული დატვირთვითაც გარჯილა, შედეგად მთავარ მწვრთნელს იგი კარსმომდგარი მნიშვნელოვანი მატჩისთვის შეუგულებია.

— შაკიაშვილი ანგარიშგასაწევი ძალაა „სიონისთვის“ მან დიდი ტრავმა გადაიტანა, მაგრამ დღეისთვის სრულ მზადყოფნაშია. მისი დაბრუნებით გახარებულები ვართ — გულახდილად თქვა სპარტაკ არჩვაძემ.

შაკიაშვილი კი შეუერთდა „სიონს“, მაგრამ გადაიდო გუნდში დავით სოლოლაშვილის დაბრუნება. წესით და რიგით მენისკის ოპერაცია გადატანილი ნიჭიერი გამთამაშებელი „დინამოსთან“ მატჩში უნდა შეშველებოდა „სიონს“, მაგრამ გუშინდელ ვარჯიშზე მტკივანი მუხლი დაუსივდა და სავარაუდოდ ჩემპიონატის მეორე წრეში თუ შეუერთდება გუნდს.

პაატა კვანტალიანი

რეგიონალური ლიგა

დასავლეთი

„ა“ ზონა

XIV ტური

იბერია 2 — გაგრა

(ტრანსპორტის გაუმართაობის გამო „გაგრამ“ სამტრედიამდე ვერ ჩააღწია და მის საკითხს სპორტულ-ეტიკური კომისია განიხილავს).

მაღაროელი 2:2 მეშახტე

1:0 სევასტოპულო (55), 1:1 ავალიშვილი (60), 2:1 ხარაიშვილი (70პ), 2:2 აბესაძე (88)
გაფრთხილება: ავალიშვილი, ჩიტიძე (ორივე მეშახტე)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

ინტერი 3:1 რაჭა

0:1 კიკვაძე (8), 1:1 მაღლაკელიძე (84), 2:1 გენებაშვილი (86), 3:1 ცუცქირიძე (89)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი)

რწმენა 2:0 სულორი

1:0 კიკვიძე (5), 2:0 ქიმაძე (35)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

მეტალურგი 1:1 ოკეანე

0:1 კრავეიშვილი (70), 1:1 აბაზაძე (75)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

გურია 3:6 მარგვეთი

1:0 ქიქავა (1), 2:0 იმნაიშვილი (6), 2:1 ენდელაძე (7), 2:2, 2:3 მუმლაძე (22, 31), 3:3 ლომაძე (38), 3:4 სულაკაძე (42), 3:5 ნიქარიშვილი (77), 3:6 კირკიტაძე (81)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

მარგვეთი	14	11	3	0	44:11	36
ოკეანე	14	8	3	3	31:15	27
მეტალურგი	14	6	4	4	23:21	22
გაგრა	13	5	5	3	20:19	20
ინტერი	13	5	5	3	17:11	20
იბერია 2	13	4	6	3	18:18	18
რწმენა	14	4	5	5	11:16	17
სულორი	14	4	5	5	16:25	17
რაჭა	14	3	6	5	17:18	15
მაღაროელი	14	2	5	7	19:25	11
მეშახტე	13	2	4	7	15:35	10
გურია	14	2	1	11	12:29	7

დასავლეთი

„ბ“ ზონა

XIV ტური

მეგრი 0:2 დინამო

0:1 თორია (32), 0:2 ჯოლოხავა (39პ)
გაფრთხილება: ქარჩავა, თოლორაია, ღურწკაია, კუტალია (ყველა მეგრი), გოგიტაძე, ვახანია, დიდიძე (ყველა დინამო)
მსაჯი: ი. კახიანი (თბილისი)

სძური 1:4 შუძურა

0:1 ფუტკარაძე (4), 0:1 კაკალაძე (7), 0:3 კალანდაძე (14), 0:4 კაკალაძე (32), 1:4 როგავა (85პ)
როგავამ ვერ გაიტანა პენალტი (47, სქური)
გაფრთხილება: კვარაცხელია (სქური), ლომთათიძე (შუქურა)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

კოლხეთი 2 3:0 ფაზისი

1:0 კრასოვსკი (2), 2:0 შავგულიძე (29), 3:0 კვირკველია (75)
გაფრთხილება: ადამია (ფაზისი)
გაძევება: ყურაშვილი (ფაზისი)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

მერცხალი 0:0 ბათუმი 2

გაფრთხილება: დარჩიძე (ბათუმი 2)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

სამეგრელო 2:0 ბახმარო

1:0, 2:0 ღვინჯილია (8, 68)
გაფრთხილება: პაპავა (სამეგრელო), მეფარიშვილი, თავბერიძე (ორივე ბახმარო)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

ჩელა 1:1 ლაზიკა

0:1 ცაცუა (28), 1:1 ბუნჯგურუა (88)
გაფრთხილება: ქორთუა (ლაზიკა)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

შუქურა	14	12	2	0	45:13	38
დინამო	14	9	2	3	39:14	29
მეგრი	14	9	2	3	18:11	29
ლაზიკა	14	8	3	3	29:13	27
კოლხეთი 2	14	8	3	3	18:14	27
ფაზისი	14	7	3	4	21:22	24
სამეგრელო	14	4	3	7	19:22	15
სქური	14	4	2	8	20:31	14
ბათუმი 2	14	1	8	5	14:20	11
მერცხალი	14	1	5	8	8:19	8
ჩელა	14	1	3	10	13:38	6
ბახმარო	14	1	2	11	9:36	5

აღმოსავლეთი

„ა“ ზონა

XIII ტური

მესხეთი 9:1 განთიადი

1:0 ინასარიძე (15), 2:0, 3:0 გვირჯიშვილი (28, 32), 4:0 სუდაძე (45), 5:0, 6:0 ინასარიძე (48, 64), 7:0 მაჭარაშვილი (69), 7:1 ჯავახიშვილი (83), 8:1 გვირჯიშვილი (85), 9:1 სუდაძე (88)
მსაჯი: დ. ინდუაშვილი (რუსთავი)

ვარძია 1:5 თორი

0:1 ვარდიაშვილი (1), 0:2 რცხილაძე (14), 0:3 თალაკვაძე (41), 0:4 ვარდიაშვილი (80), 1:4 გელაშვილი (84პ), 1:5 ვარდიაშვილი (87)
გაფრთხილება: რცხილაძე (თორი)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

მრეტები 1:3 ივერია

0:1 ბ. ჩიტაია (5), 1:1 ჩახვაძე (11), 1:2 ბ. ჩიტაია (30), 1:3 ბაბულაიძე (84)
გაფრთხილება: ძაგნიძე (მრეტები), წიკლაური, ბ. ჩიტაია (ორივე ივერია)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

იბერია 3:0 საუ

1:0 ხიდაშელი (51), 2:0 კოჩაძე (67), 3:0 კასრაძე (82)
გაფრთხილება: ხიდაშელი (იბერია)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

არაგვი 0:1 ცხუმი

0:1 არეშიძე (86)
გაფრთხილება: ჯულაყიძე, ტაბატაძე (ორივე არაგვი), ხუხია, ნარმანია (ორივე ცხუმი)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ცხინვალი	12	10	2	0	24:2	32
თორი	13	9	1	3	27:11	28
ივერია	13	9	0	4	34:15	27
განთიადი	12	7	1	4	23:21	22
ცხუმი	13	6	2	5	23:15	20
იბერია	13	6	1	6	19:16	19
მესხეთი	13	5	4	4	28:27	19
საუ	13	4	1	8	14:24	13
ვარძია	13	3	1	9	10:31	10
მრეტები	12	1	4	7	10:26	7
არაგვი	13	1	1	11	12:36	4

აღმოსავლეთი

„ბ“ ზონა

XIII ტური

ზოოვეტი 2:1 აკადემია

1:0 ზაკუტაშვილი (52), 2:0 მეტრეველი (65), 2:1 ვ. გოგიჩაიშვილი (67)
გაფრთხილება: ჭოხონელიძე (ზოოვეტი), ჭიღლაძე, რობაქიძე (ორივე აკადემია)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

თბილისი 2 2:0 სამგორი

1:0 სონიშვილი (82), 2:0 ნიშნიანიძე (89)
გაფრთხილება: მუმლაძე, ნიშნიანიძე (ორივე თბილისი 2), არქანია (სამგორი)
გაძევება: თვაური (სამგორი)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

არსენალი 2 2:1 ხალიბი

1:0 დობორჯგინიძე (15), 2:0 აფციაური (59), 2:1 მიქაძე (85)
გაფრთხილება: პაპუაშვილი, დ. გაგუა, კალმახელიძე (ყველა არსენალი 2), ქერაშვილი (ხალიბი)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

ამირანი 3:0 დურუჯი

1:0, 2:0, 3:0 მელიქია (42, 52, 56)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ალაზანი 0:0 ჭაბუკიანი

ზოოვეტი	13	9	2	2	32:17	29
ლოკომოტივი 2	12	9	1	2	27:11	28
არსენალი 2	13	8	3	2	28:15	27
ჭაბუკიანი	13	8	2	3	22:8	26
ალაზანი	12	6	2	4	20:16	20
ამირანი	13	6	2	5	21:24	20
ხალიბი	13	4	2	7	14:22	14
აკადემია	12	3	3	6	9:11	12
თბილისი 2	13	3	2	8	17:23	11
დურუჯი	13	2	1	10	12:31	7
სამგორი	13	2	0	11	14:38	6

იქ, სადაც იყო კახი ცხადაძე...

ამპლუის შეცვლა — კახური მოდა

ძველი ანაგა
8 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
3 000 (ტევადობა 3 000)

ალაზანი 0:0 ჭაბუკიანი

ალაზანი: დ. ჯანელიძე, ჩიტაური, დ. კაპანაძე, კობაიძე, თელიაშვილი, ყოლბაია, მიკუჩაძე (ი. ყალაბეგაშვილი 71), გოძიაშვილი (ვარამიშვილი 58), მანწკავა (შ. ლაცაბიძე 79), ტოკლიკიშვილი, ტარიელაშვილი
სათადარიგონი: დ. ყალაბეგაშვილი; სხირტლაძე
ჭაბუკიანი: ტაბატაძე, ომანიშვილი, ყაველაშვილი, გ. მეტრეველი, მჭედლიშვილი, გიგუაშვილი, გუნია (კაციტაძე 80), უ. მეტრეველი, ე. გელაშვილი, თ. პაქსაშვილი (მარგიევი 89), მერებაშვილი
სათადარიგონი: ზ. გაფრინდაშვილი; ზ. კაპანაძე, ა. გაფრინდაშვილი, მოდებაძე, კენჭოშვილი
გაფრთხილება: უ. მეტრეველი (38)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩოიშვილი, ს. შალამბერიძე (სამივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ძველანაგელ ბალღებს ხეზე ასვლას ვინ დაუშლიდა, მითუმეტეს, ტრიბუნაზე ტევა არ იყო

ნუგზარ კეთილაძე ძველი ანაგიდან

ვახტანგ ბზიკაძე ძველი ანაგიდან

ეს ის ფურცელაძეა!

— ეს ის ფურცელაძეა, „ალაზნის“ პრეზიდენტი რომ იყო? ამ გაზაფხულზე უპატრონოდ დარჩენილ „მერანში“ დავით ფურცელაძე რომ გაპრეზიდენტდა, ნაცნობი გვარის გაგონებისას ყველაზე ხშირი სწორედ ასეთი რეაქცია იყო.

პასუხი უარყოფითია, მაგრამ მაინც სასიამოვნო, რადგან, როგორც ჩანს, ახსოვთ მიხეილ ფურცელაძე და მისი პრეზიდენტობისას ოთარ გაბელიას ხელში ბრინჯაოს მედლებით შემკული „ალაზანიც“.

სადაც ეს ახსოვთ, ისიც იციან, „უალაზნოდ“, ბრინჯაოს მედლები აღმოსავლეთით რუსთავს ვერ გასცდებოდა.

ეს ბოიო ხანა, იშვიათადღა ისმის ტერმინი „ერთწლიანი გუნდი“, რადგან წარსული[illegible] წაიღო „მარგვეთის“ „სამტრედიის“, „შევარდენის“ თუ „ალაზნის“ ძველი დიდ[illegible].

ცხადი[illegible] გუნდები ციდან არ ჩამოფრენილ[illegible] — თითო-ოროლა ენთუზიასტის მხრებზე იდგნენ. რაკი ამ შეძლებულ ენთუზიასტებს მეტწილად მარტო უწევდათ ჭაპანწყვეტა, ლოგოკურიც იყო, დიდხანს არავის გაუძლია.

და ბევრი გინახავთ ფეხბურთში დაბრუნებული? ათი წელია, ჩვენს ჩემპიონატს ვუცქერ, მაგრამ ასეთ შემთხვევას (თუ გამომრჩა, შემახსენეთ!), ერთის გარდა, ვერ ვიხსენებ.

შაბათს ძველ ანაგაში ფეხბურთში დაბრუნებული ადამიანი ვნახე და ისიც ამპლუაგამოცვლილი — მიხეილ ფურცელაძე ახლა „ალაზნის“ პრეზიდენტი კი არა, მთავარი მწვრთნელია.

უბატონოთა ბატონი

„ალაზანი“ მეთერთმეტე ჩემპიონატის პირველ წრეში გურჯაანის „დავით ყიფიანის“ სტადიონზე თამაშობდა. მკითხველი გაიფიქრებს, მეზობელ დაბაში ალბათ საკუთარი სტადიონის დისკვალიფიკაციამ ჩაიყვანა.

მაგრამ აქ დისკვალიფიკაცია არაფერ შუაშია. უბრალოდ, გურჯაანელებმა და შარშანს მერე უგუნდოდ დარჩენილმა ძველანაგელებმა გადაწყვიტეს ძალისხმევა გაეერთიანებინათ და ასე იქცა გურჯაანის „ალაზანი“ ძველი ანაგისად.

ვისაც შარშანდელი ლიგათაშორისი პლეი ოფი ახსოვს, ძველანაგური „ღარწყალიც“ ემახსოვრება. ეს გუნდი რეგიონალიგის ერთ-ერთ ქვეჯგუფში მხოლოდ მაშინდელ „დინამო 2“-ს ჩამორჩა. ამათი გადათამაშებაც გორში რომ გაიმართა და 1:1 მორჩა, პენალტების სერიით თბილისელებმა მოიგეს. მეორე შანსი „ღარწყალს“ რუსთავში „სულორთან“ პენალტების სერიაშივე გამარჯვებით მიეცა, მაგრამ ეროვნულ სტადიონზე თსუ-სთან დამატებით დროში 0:3 დამარცხდა და ამით არსებობაც შეწყვიტა.

ამ მატჩების თვითმხილველთა თქმით, „ღარწყალი“ უსამართლოდ დაიჩაგრა, თორემ, შაბათს ძველ ანაგას ეგებ პირველი ლიგის მატჩის სანახავადაც წვეოდა მილეთის ხალხი.

არადა, რა ხალხი მიაწყდა ძველი ანაგის ახალ სტადიონს! სამთასიანმა ტრიბუნამ მატჩის ნახვის ყველა მსურველი ვერ დაიტია და ვინც ხეზე ასვლა არ იცოდა, სტადიონს შემოეჯარა.

კახი ცხადაძე, როსტომ თორღაშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, დავით ქლიბაძე — ზოგი მასპინძელი, ზოგი სტუმარი, ზოგი მიწვეული, ზოგიც დაუპატიჟებელი. ამას დაუმატეთ ძველანაგელი გოგო-ბიჭები, დიასახლისები თუ მამასახლისები, ახალგაზრდები თუ ხელჯოხიანები და ფეხბურთის ფედერაციის არაერთი მუშაკი.

მატჩს ლამის საათიანი ბავშვთა კონცერტი უძღოდა, რითაც დამთავრდებოდა ძნელი მისახვედრი არაა. ჰოდა, ალბათ, გესმით, ქიზიყში, ამ უბატონო მხარეში ფეხბურთი ისე გაბატონდა, ძველანაგელებმა ისევ მოინდომეს ფედერაციის შარშანდელი მონდომებით ამოძირკვული სპორტის სახეობის კულტივაცია.

პირველი ლიგა მეორეში

აჰა, რაღა გინდა, ოქროსავით ჯარიმაა — მატჩის მიწურულს იმედის ხავსს ებღაუჭებოდნენ ძველანაგელი ქომაგები. არადა, ალაზნელებს ამის გარდა ბარემ ხუთი საგოლე შანსი ჰქონდათ მაგრამ ვერ გამოიყენეს.

ერთ მხარეს ყოფილი არსენალელები ლაშა ყოლბაია, დავით ტარიელაშვილი, შალვა ლაცაბიძე, დიმიტრი კაპანაძე, „ლოკომოტივიდ“-ნ“ დათხოვნილი, ერთ დროს ეროვნულ ნაკრებშიც ნათამაშევი დავით ჯანელიძე, ძველ ანაგაში „გორდადან“ დაბრუნებული ყოფილი თსუ-ელი ალექსანდრე თელიაშვილი და კიდევ ახალგაზრდა ალაზნელები აკაკი მიკუჩაძე, გიორგი მანწკავა და ოთარ ვარამიშვილი.

მეორე მხარეს „გორდაში“, „ლოკომოტივსა“ და „სიონში“ მერე კი უზბეკურ ტაშკენტის „დუსტლიკში“ ნათამაშევი მურად ყაველაშვილი, რეგიონთა თასის ფინალურ ეტაპზე მოყვარულთა ნაკრების წევრი გიორგი მეტრეველი, ყვარლის „დურუჯის“ ყოფილი მეკარე თამაზ პაქსაშვილი და კიდევ რამდენიმე ყმაწვილი, გიორგი გუნია, ლევან გიგუაშვილი თუ ერეკლე მერებაშვილი.

პირველლიგაგამოვლილ ფეხბურთელთა სიმრავლე მატჩზეც აისახა. კარგად შემოსილი „ჭაბუკიანისა“ და „ყაზბეგის“ რეკლამით მკერდდამშვენებული „ალაზნის“ მნახველი, ამ თანაბარ მატჩს პირველი ლიგის თამაშისგან ვერც განასხვავებდა.

საერთოდაც აღმოსავლეთ ზონის „ბ“ ქვეჯგუფი ყველაზე თანაბარია რეგიონალურ ლიგაში. ზონის ლიდერი მდევრებთან ასე ახლოს არცერთ ქვეჯგუფში არაა. „ალაზანს“ რომ „ჭაბუკიანისთვის“ მოეგო, დაკარგული ქულებით ლიდერთან სხვაობა ისე მცირე ექნებოდა, ორ საუკეთესო გუნდში მოხვედრით ეგებ საგაისო მეორე ლიგაში შეღწევაზეც ეფიქრა, მაგრამ ყოლბაიას და ტარიელაშვილის არაერთგზის მჯობნმა „ჭაბუკიანის“ მეკარემ, სავსებით სამართლიანი ეჭვი — შვა პირველ წრეში ახალგაზრდულ „ალაზანს“ მეორეში შემადგენლობის და ადგილსამყოფლის გამოცვლა, რომ ფიქრობდნენ, ჩანს, ისე, ვერ წაადგა.

ბობროვიდან პაქსაშვილამდე

არ გეგონოთ, ამპლუა მხოლოდ მიხეილ ფურცელაძეს ან „ალაზანს“ გამოეცვალოს.

შაბათს ჭაბუკიანელთა შეტევებს სიმწვავეს სძენდა, 30 წლის თავდამსხმელი, რომელიც სავსებით შესაძლებელია, კარგად ახსოვდეთ ზაზა ჯანაშია, ალექსანდრე იაშვილს, გოჩა ჯამარაულს, მიხეილ აშვეთიას და ვთქვათ, ზვიად ენდელაძეს. ესენი ის ფეხბურთელები არიან, პაქსაშვილის კარში გოლები რომ გაუტანიათ.

ახლა კი „ჭაბუკიანის“ თავდამსხმელი თამაზ პაქსაშვილი 8 გოლით საკუთარი გუნდის და ქვეჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

ასეთ რამეს როგორ წარმოვიდგენდი, თანაც თბილისში დაბრუნებას ვჩქარობდი და სტუმართა №10-ს ვერაფერი ვკითხე. მაგრამ საკუთარ მეხსიერებაში დაეჭვებულმა „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნის“ რედაქტორს, სტატისტიკოსს რევაზ შენგელიას მივმართე და ეჭვი დამიდასტურა — რომ ფიქრობ, ეგ სწორედ ის პაქსაშვილიაო.

აგერ დოსე და ნახეთ, თამაზი თავიდან მეკარე ყოფილა, მერე თავდამსხმელობა გადაუწყვეტია. ზოგ სეზონში კი ბურთი კიდეც გაუშვია და კიდეც გაუტანია. გოლებით კი თვით პირველ ჯგუფში თამაშისასაც გაიხარა — 1995 წელს „დურუჯის“ მეკარემ ორი ზუსტი პენალტი დაურტყა თავიდანვე 10-კაციან „გურიას“ და ყვარლელებს 3:1 მოაგებინა.

სფფ-ს საშეჯიბრო განყოფილების ინსტრუქტორმა მალხაზ ლაცაბიძემ კი სულ მთლად გაგვაოცა. თუ მალხაზს ვენდობით, რომელიც ამბობს, პაქსაშვილი ერთ ტაიმში თავდამსხმელად მინახავს, მეორეში კი მეკარედო, სრული უფლება გვექნება, თამაზი არათუ ჭეშმარიტ უნივერსალად, არამედ ცსკოლოდ ბობროვის თუ ალექსანდრ მასლოვის მოკრძალებულ (ხელს უშლის საფეხბურთო ვიწროპატრიოტიზმი) მიმდევრადაც მოვნათლოთ.

ეგაა, პაქსაშვილი მესამე წელია, კარში აღარ ჩამდგარა. შაბათს მშვენივრად თამაშობდა განსაკუთრებით გამოსვლებზე მოყოჩაღე ამბროსი ტაბატაძეც, მაგრამ გუნდს თუ დასჭირდა პაქსა ალბათ ისევ იმეკარეებს — ეს საქმე ხომ თავდამსხმელობაზე არანაკლებ ეხერხება.

თამაზ პაქსაშვილი

			ლ	თ	მ	ფ	გ
დაიბადა	25.02.70						
1990	ჰერეთი	*ლაგოდეხი*	C	36	?	?	2
1991	დურუჯი	*ყვარელი*	B	16	16	0	0
91-92	დურუჯი	*ყვარელი*	B	30	6	24	8
92-93	ჰერეთი	*ლაგოდეხი*	C	13	13	0	0
	დურუჯი	*ყვარელი*	B	3	0	3	0
93-94	ჭაბუკიანი		B	26	25	1	0
94-95	დურუჯი	*ყვარელი*	A	11	11	0	2
95-96	დურუჯი	*ყვარელი*	A	16	16	0	0
96-97	ჭაბუკიანი		B	13	11	2	0
97-98	ჭაბუკიანი		C	5	0	5	2
98-99	ჭაბუკიანი		B	22	0	22	10
99-00	ჭაბუკიანი		B	?	?	?	8

შენიშვნა: ლ - ლიგა; თ - თამაში; მ - მეკარე; ფ - ფორვარდი; გ - გოლი

„ალაზნის“ მწვრთნელი მიხეილ ფურცელაძე და თანაშემწე გოჩა ბაწაშვილი

ნუგზარ კეთილაძე ძველი ანაგიდან

თამაზ პაქსაშვილი (№10) ლაშა ყოლბაიას მეურვეობასაც არ თაკილობს

ნუგზარ კეთილაძე ძველი ანაგიდან

ვერან ფირანიშვილი ფოტო

ალექსიძის ქუსლურმა არსენალი დააშამათა

ირლანდიელს ქართველის დარტყმის შემდეგ სამედიცინო დახმარება დასჭირდა

გუშინწინ საქართველოს ნაკრების ფორვარდმა, 21 წლის რატი ალექსიძემ მეორე ოფიციალური მატჩი ჩაატარა „ჩელსის“ სარეზერვო გუნდში და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. „კინგსტონიან პარკზე“ „ჩელსის“ დუბლებმა „არსენალის“ მეორე გუნდი მიიღეს. ამ მატჩამდე ეს გუნდები პრემიერლიგის სარეზერვო ლიგაში მეზობლად იყვნენ. „არსენალს“ 30 ქულა ჰქონდა და მეექვსე ადგილზე იმყოფებოდა, „ჩელსი“ კი 27 ქულით საფეხურით დაბლა იყო.

მატჩის ბედი, შეიძლება ითქვას, თავიდანვე გადაწყდა. „არსენალმა“ მეტად ახალგაზრდული გუნდი გამოიყვანა. პატარა მეთოფეებმა სამი ლეგიონერით ითამაშეს. მათ ჰყავდათ ირლანდიელი კაპიტანი მაკგოვერი და ფრანგი ფორვარდები — ნორბერტი და ალიადიერი. ეს უკანასკნელი 16 წლისაა და ფრანგული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა.

„ჩელსის“ რეზერვების მენეჯერმა მაკგიევნმა თინეიჯერ მეთოფეებს საკმაოდ ცნობილი სახელები დაუპირისპირა. ტრავმის შემდეგ ძირითადში ითამაშა ამსტერდამის „აიაქსიდან“ სეზონის წინ ნაყიდმა მარიო მელხიოტმა. „ჩელსის“ ასევე ჰყავდა იტალიელთა ტრიო: სამ დელა ბონა, გაბრიელ ამბროზეტი და ლუკა პერკასი. ძირითადში ითამაშა რატი ალექსიძემაც, რომელმაც წინა დღით თავისი მოქალაქეობრივი ვალიც მოიხადა, საქართველოს უერთგულა და საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.

„ალექსიძე, მელხიოტი და დელა ბონა ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ“ — წერს ადგილობრივი რეპორტიორი. შეხვედრა „კინგსტონიან პარკზე“ „ლურჯების“ იერიშებით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით თუმე რატი აქტიურობდა, რომელიც ყველა პოზიციიდან ცდილობდა სტიუარტ ტეილორის კარის დალაშქვრას. ანგარიში დასაწყისშივე გახსნა იტალიის 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანმა სამ დელა ბონამ. მან 30 იარდიდან ლამაზი გოლი გაიტანა. მე-20 წუთზე „მეთოფეებმა“ მეორეც გაუშვეს. ამბროზეტიმ ჩაწოდა, ალექსიძემ ქუსლით ლამაზად დაუგდო ნაითს, რომელმაც ტეილორს შანსი არ დაუტოვა.

ერთადერთი, რაც „არსენალმა“ მოახერხა, ეს 41-ე წუთზე პაულ ვერნანზას გოლი იყო.

მატჩის ბოლოს ალექსიძე კიდევ ერთ მომენტში გამოირჩა. ქართველის დარტყმული ბურთი „არსენალის“ ირლანდიელ კაპიტანს, მაკგოვერის მოხვდა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ირლანდიელი მინდორზე გაიშოტა და ექიმების დახმარებით ძლივსღა წამოდგა.

სიმონ მენაბდე

გიორგი დემეტრაძეს პოლიციელები ეხმარებიან

უკრაინული გაზეთი „კომანდა“ გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ქომაგები ერთობ აღფრთოვანებულები არიან კიევის „დინამოს“ ქართველი ფორვარდით გიორგი დემეტრაძით. „სიმფეროპოლში ყველაზე მეტი ოვაცია სწორედ დემეტრაძეს ხვდა წილად. გადმოვიდა თუ არა იგი ავტობუსიდან, ისეთი გნიასი ატყდა, თავი თამაშზე გეგონებოდათ. ამტკიცებენ, რომ დემეტრაძეს უკრაინის ყველა ქალაქში ასე ხვდებიან“ — წერს გაზეთი.

„კომანდას“ ცნობითვე, დემეტრაძე ცოტა შეშფოთებულიც კი იყო სიმფეროპოლელი ავტოგრაფების მსურველთა არმიის დანახვაზე. მან პოლიციელსაც კი სთხოვა, ავტობუსამდე მიეცილებინა. „ალბათ, ჩვენს ჩემპიონატში მაყურებლის სიმპათიის პრიზი რომ იყოს დაწესებული, იგი ახლავე გიორგისთვის უნდა გადაგვეცა“ — დასძენს გაზეთი.

სიმონ მენაბდე

კობიაშვილს ნამალმა ანყმინა

ლევანი და პეტერ ვიბრანი ბუნდესლიგაში გამოირჩევიან

ᲓᲦᲔᲡ მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ „ფრაიბურგის“ შემადგენლობაში ალბათ, მაინც ითამაშებს გერმანული კლუბის ქართველი ლეგიონერი ლევან კობიაშვილი.

რატომ არ უნდა ეთამაშო? - იკითხავს მკითხველი. რატომ და ქართველი ნახევარმცველი ცოტა ხნის წინ გაციებულა და ექიმთა რჩევით, ანტიბიოტიკები მიუღია, რის შემდეგაც თავი შეუძლოდ უგრძვნია. ეს ინფორმაცია პოპულარულმა გერმანულმა გამოცემა „კიკერმა“ ორშაბათს გაავრცელა. გუშინ კი იქვე ბუნდესლიგის ჩემპიონატის 29-ე ტურის სავარაუდო შემადგენლობები გამოქვეყნდა. „ფრაიბურგის“ ძირითადში კობიაშვილიც წერია და იაშვილიც. ტრავმირებულთა შორის კი მხოლოდ ცქიტიშვილი, კონდე და კორელი არიან მოხსენიებული.

კობიაშვილს რომ „ბაიერნთან“ მატჩი გამოეტოვებინა, ეს მიმდინარე ჩემპიონატში პირველი შემთხვევა იქნებოდა. ლევანმა ხომ ამ სეზონში „ფრაიბურგის“ მიერ ჩატარებულ ყველა, 28-ვე შეხვედრაში ითამაშა. ბუნდესლიგაში კობის გარდა კიდევ ერთი ასეთი ფეხბურთელი მოიძებნება — როსტოკის „ჰანზას“ წევრმა პეტერ ვიბრანმაც ყველა მატჩში დაიცვა თავისი კლუბის ღირსება.

თუ კობიაშვილს ყველა თამაშის ჩატარება სურს, მაშინ დარჩენილ ექვს მატჩში ყვითელი ბარათის მიღებას უნდა მოერიდოს. კვირას დუისბურგელი ტიოფტინგის წინააღმდეგ უხეშობის გამო ლევანი მიმდინარე სეზონში მეოთხედ გააფრთხილეს. თამაშს კი გერმანიაში ხუთი გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ.

ისე, მატჩის გამოტოვების საფრთხე ქართველ ნახევარმცველს ცოტა ხნის წინაც დაემუქრა. თუ გახსოვთ, ორი კვირის წინ „ფრაიბურგის“ მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე კობიაშვილს იმაზე გაუნაწყენდა, ისრაელთან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მთელი შეხვედრა რატომ ჩაატარე, ხომ გაგაფრთხილე, 45 წუთზე მეტი არ ითამაშო. ფინკეს ქართველის დასჯა „უნტერჰახინგის“ წინააღმდეგ სათადარიგოთა შორის გამწესებით სურდა, თუმცა... კობიაშვილს შემცველი ვერ მოუძებნა. გერმანულმა პრესამ კი სულაც კობი უალტერნატივოაო, დაწერა. ლევანმა იმ შეხვედრაში გოლი გაიტანა, „ფრაიბურგმა“ კი 4:3 მოიგო. ვნახოთ, რა მოხდება დღეს.

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲩᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

ლევან კობიაშვილი (მარცხნივ) ბურთისთვის ბრძოლაში

სკონტომ გაგუა პოლიციას ჩააბარა

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ჩემპიონმა რიგის „სკონტომ“, რომლის ღირსებასაც ოთხი ქართველი — დავით ჩალაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ლევან კორღალიძე და ზურაბ მენთეშაშვილი იცავენ, გუნდის ახალწვეული კიდევ ერთი ქართველი, 19 წლის ვალერი გაგუა ლატვიის პოლიციის გუნდში გაანათხოვრა. გაგუა პოლიციელებს კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა სკონტოელთან ერთად შეუერთდა. პოლიციელი გახდა ასევე ლატვიის ნაკრების ყოფილი წევრი ბაბიჩევსი. ეს გადაწყვეტილება „სკონტოსა“ და ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გუნტის ინდრიქსონმა მიიღო. მას იმედი აქვს, რომ ამით აუტსაიდერთა დონე ნელ-ნელა აიწევს და ს.კ. „პოლიცია“ ასტრონომიული ანგარიშებით აღარ დამარცხდება. ლატვიის ჩემპიონატის პირველ ტურში „პოლიციამ“ ლიეპაიაში „მეტალურგთან“ 0:1 წააგო. ეს შეხვედრა გაგუამ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. შეგახსენებთ, რომ გაგუა რიგაში თბილისის „თბილისიდან“ გადავიდა.

სიმონ მენაბდე

ქინქლაძეს პირველად უსტვინეს

ჯიმ სმიტი კი მხოლოდ ქართველის გამოსყიდვაზე ფიქრობს

ᲠᲐᲒ „დერბიში“ მოვიდა „უოტფორდთან“ ჩატარებული შეხვედრა ყველაზე სუსტი იყო გიორგი ქინქლაძისთვის, — განაცხადა „ცხვრების“ მენეჯერმა ჯიმ სმიტმა. „სანმა“ — 4-იანით, „სანდი მირომა“ კი 5-იანით შეაფასეს მისი თამაში. „ეს იმის ბრალია, რომ ქართველს მოსამზადებელი ეტაპი ფაქტობრივად არ გაუვლია. იგი „აიაქსშიც“ უთამაშებელი იყო, სეზონის მიმდინარეობისას კი ფორმის დაბრუნება ურთულესი საქმეა. ჩვენ მოველოდით, რომ მისი თამაში თანდათანობით გაუარესდებოდა, რადგან იგი არათანმიმდევრულად არის მომზადებული“ — ბრძანა სმიტმა.

„უოტფორდთან“ გიორგი 76-ე წუთზე გამოცვალეს და პირველად მოხდა, რომ ფანობამ ქინქლაძე სტვენით გააცილა — წერს „ივნინგ ტელეგრაფი“. „მე მესმის იმ დერბელი ფანების, ვინც დაუსტვინა, ვფიქრობ ეს უფრო ჩემი სატრანსფერო პოლიტიკის დაწუნების ჟესტი იყო, ვიდრე ქინქლაძის“ — დაიცვა სმიტმა გიორგი.

ყველაფრის მიუხედავად, სმიტს ქინქლაძის ყიდვა კატეგორიულად გადაუწყვეტია. „მოლაპარაკებები „აიაქსთან“ დასასრულს უახლოვდება, სეზონის ბოლოსკენ ქართველი სრულუფლებიანი დერბელი იქნება. ეს გადაწყვეტილია“ — თქვა სმიტმა.

სიმონ მენაბდე

რონალდო ბრუნდება!

REUTERS მილანიდან

იტალია

დღეს, იტალიის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან გუნდები, რომელთა ბ[illegible] მიმდინარე სეზონში არაფრით ჰგ[illegible] ერთმანეთს.

„ლაციოსთ[illegible]ს“ მატჩი, რომელიც რომის ოლიმპ[illegible] სტადიონზე გაიმართება ზაფხ[illegible]ლის ბოლოდან მოყოლებული 50-ეა, ვინაიდან ის სამ შეჯიბრებაში, ხსენებული თასის გათამაშებაში, იტალიის ჩემპიონატსა და ევროპის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობს. დიახ, ამ სეზონში ქვეყნის კლუბთაგან „ლ[illegible]ციოზე“ ხშირად არავინ თამაშობს.

მეორე ფინალისტი, „ინტერი“, დღემდე მხოლოდ 35 შეხვედრითაა მისული — ასე მცირე დატვირთვა კი სერია A-ს წამყვან კლუბთაგან არც ერთს მოსწევია. მილანელებს ევროტურნირებზე არ უთამაშიათ, სკუდეტოსთვის ბრძოლას ფაქტობრივად ჩამოშორდნენ და ერთადერთი, რისი მიღწევაც შეუძლიათ, ეროვნული თასის მოპოვებაა.

რა პრობლემის წინაშე დგანან მეტოქეთა მწვრთნელები? როგორც „ლაციოს“ თავკაცი, შვედი სვენ გორან ერიკსონი, ასევე „ინტერის“ შეფი მარჩელო ლიპი შიდაარეულობას უჩივის. „ლაციოს“ ფეხბურთელები, მაგალითად, ბოლო დროს მუდმივად საქმის გარჩევაში არიან.

როგორც ამბობენ, ვეტერანი რობერტო მანჩინი „ფეიენოორდთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ მწვრთნელს სერიოზულად შეეკამათა, ხოლო „ჩელსისთან“ ლონდონური მატჩის დროს როგორ იუკადრისა ჩილელმა მარსელო სალასმა მოედნიდან გასვლა, ტელევიზორშიც კარგად ჩანდა.

კვირას რომაულ გუნდში მდგომარეობა ხელახლა დაიძაბა, როდესაც ალენ ბოკშიჩმა აღმოაჩინა, რომ მაისურა ტანზე უჭერს. ამის გამო ერიკსონმა ხორვატი არ ათამაშა და განაცხადა, მატჩისთვის ფსიქოლოგიურად მომზადებული არ იყოო.

ერთი კვირის წინ „ლაციომ“ ლიგის მეოთხედფინალში, ესპანეთში, „ვალენსიასთან“ 2:5 წააგო, რის გამოც ახალი ძალით აგორდა ეჭვი: არის კი გუნდი დიდი ტურნირებისა და მიზნებისთვის შინაგანად მომზადებული?

„ჩვენი გასახდელი კრივის დარბაზი არ გეგონოთ. ვალენსიაში ფეხბურთელებმა ყველაფერი არიეს და შემდეგაც დაძაბულნი იყვნენ, მაგრამ მერწმუნეთ, სამივე შეჯიბრებაში გამარჯვება ჩვენთვის მაინც ხელმისაწვდომია“ — ბრძანა შვედმა.

„ინტერში“ კი უფრო სერიოზულად არის საქმე, გუნდს აღარ ახსოვს ბოლოს როგორ და როდის მოიგო. ლიპის გუნდმა ამ უქმეებზე, უდინეში 0:3 წააგო და ახლა უკვე ხუთი მატჩია სამი ქულის გემო არ იცის. მიუხედავად ასეთი შედეგებისა, ლიპის თანამდებობიდან მოხსნაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. პირიქით, პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ყოველმხრივ დაუჭირა მხარი.

მილანელებს ერთადერთი რონალდოს გამოჯანმრთელება ახარებთ. როგორც ჩანს, ნოემბერში დაშავებული ვარსკვლავი დღეს მოედანზე გავა.

„ვერ დაგეთანხმებით, თითქოს ეს სეზონი ჩავარდნილად უნდა მივიჩნიოთ“ — ამბობს ბრაზილიელი — „გასული ჩემპიონატი გაცილებით უარესი იყო. შარშან თებერვალში ამოვწურეთ ძალები, წლეულს კი, ხომ ხედავთ, ჯერ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვებისა და თასის მოგების შანსი გვაქვს“.

კვლავ დაშავებულია კრისტიან ვიერი, არ იქნება ბერძენი გრიგორიოს გეორგატოსი (უდინეში დაშავდა), ხოლო ხორვატი მცველი დარიო სიმიჩი დისკვალიფიცირებულია. ამიტომ ლიპი, ალბათ, სამკაციან დაცვას — ლორან ბლანი, კრისტიან პანუჩი და კოლუმბიელი ივან კორდობა — დაეყრდნობა.

ოთხი გუნდი — ერთი მიზანი

ესპანეთი

ესპანეთის თასის გათამაშებას ოთხი გუნდიღა შემორჩა. ისინი შემდეგნაირად დაწყვილდნენ: „რეალი“ — „ესპანიოლი“ და „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“. პირველი ნახევარფინალური მატჩები დღეს გაიმართება.

ცხადია, მთელი ესპანეთი „რეალი“ — „ბარსელონას“ ფინალის მოლოდინშია, მაგრამ ფეხბურთი ხომ იმითაც არის საინტერესო, რომ ზოგჯერ სუსტები ამარცხებენ ძლიერებს. თუნდაც საფრანგეთის თასის წლევანდელი ფინალი ავიღოთ, რომელშიც მეორედივიზიონელი „გენგამი“ გავიდა. ამიტომ „ესპანიოლი“ და „ატლეტიკო“ თავს აუტსაიდერად არ მიიჩნევენ — ისინი სეზონის ტრიუმფით დასრულებას ლამობენ. თუმცა „ატლეტიკოს“ შემთხვევაში სიტყვა ტრიუმფი ალბათ გადამეტებულია. ვთქვათ, მადრიდელებმა „ბარსელონას“ ბარიერი დაძლიეს და ფინალშიც გაიმარჯვეს, ნამდვილი ზეიმი მაინც ვერ შედგება. რატომ? გათამაშების ცხრილს ჩავხედოთ. დედაქალაქური კლუბი „სევილიასთან“ ერთად მეორე დივიზიონში დაქვეითების უმთავრესი კანდიდატია. თუმცა რადომირ ანტიჩი ცდილობს, ჩემპიონატში კატასტროფული ჩავარდნა „ბარსელონასთან“ მატჩში უშედეგოთო ბრძოლის მოტივად აქციოს. ის განსჯის: „თუ „ბარსელონას“ დავამარცხებთ, ფეხბურთელებს უიმედობის გრძნობა გაუქრებათ, რაც პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნების შანსს მოგვცემს. მოგეხსენებათ, მომავალი სეზონიდან კლუბის აღორძინება უნდა დავიწყოთ და ევროტურნირზე გასვლა დამატებითი სტიმული იქნება“.

„ატლეტიკოსთან“ შედარებით „ესპანიოლი“ უფრო არხეინადაა. კატალონიის მეორე კლუბს არც დივიზიონიდან გავარდნა ემუქრება და არც გაკოტრების პირას დგას, მაგრამ „ესპანიოლს“ ერთი სურვილი არ ასვენებს — კლუბმა წლეულს საუკუნოვანი იუბილე იზეიმა და სურს, რომ საკუთარ თავს თასის სახით საჩუქარი მიუძღვნას. მთ უმეტეს, მთელი სამოცი წელი გასულა, რაც „ესპანიოლს“ ეს პატივი არ რგებია.

ფავორიტებზეც ვთქვათ. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ „ბარსელონა“ ევროპაში ყველაზე ამბიციური გუნდი იყო. ესპანეთის ჩემპიონატი, თასი, ლიგა — ლუის ვან გაალი ყველგან გამარჯვებას გეგმავდა. დღეს კი ყველაზე რეალურად ქვეყნის თასის აღება ჩანს. „ბარსელონამ“ „ატლეტიკოს“ აუცილებლად უნდა მოუგოს — ზედიზედ მესამე წაგებას ქომაგები ვერ შეეგუებიან — მათ უკვე „მალიორკასთან“ მატჩის დროს ააფრიალეს თეთრი ცხვირსახოცები. მძიმე დრო უდგას ჰოლანდიელ მწვრთნელს. მას დღეს შემადგენლობის გადახალისებაც აქვს განზრახული. კვლავ არ ითამაშებს პეპ გვარდიოლა, წინა შეხვედრაში ლუიშ ფიგუმაც მცირედი ტრავმა მიიღო. ვიხილავთ ფრანკ დე ბურს და აბელარდოს? საეჭვოა. ვან გაალი დაცვის გაძლიერებას სავარაუდოდ მიხაელ რაიციგერს და ფრედერიკ დეუს დაავალებს.

პრობლემები აქვს „რეალსაც“. ვინსენტე დელ ბოსკეს დაშავებული რობერტო კარლოსის, ფერნანდო იეროს, გუტის და მიჩელ სალგადოს შემცვლელების არჩევა მოუწევს. შესაძლებელია, მინდორზე ნიკოლა ანელკა გამონდეს. როგორც ჩანს, მწვრთნელს მასზე გული მოუბრუნდა და „სელტასთან“ შეხვედრაში სათადარიგოებს შორის ჰყავდა.

დღეს ვილაცას გაუმართლებს, ვილაცას — არა. ზუსტი პასუხი კი რამდენიმე საათის შემდეგ გვექნება.

გიორგი დარჯანია

ფეხბურთის რუკასავან

იტალიის სერია A-ს 15 აპრილის 30-ე ტურში „ფიორენტინა“ რომის „ლაციოს“ მასპინძლობს. შეხვედრა ჩვენი დროით თორმეტის ნახევარზე უნდა დაწყებულიყო. როგორც მატჩის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ექსცესების თავიდან ასაცილებლად შეხვედრა თვრამეტ საათზე დაიწყება.

ბერძენმა მცველმა დიმიტრიოს გრამოციისმა მუხლი დაიზიანა და „ჰამბურგს“ სეზონის ბოლომდე ვეღარ დაეხმარება. 21 წლის ფეხბურთელს თებერვალში მცირე ოპერაცია ჩაუტარდა და ახლა გამოჯანმრთელდა, თუმცა გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე კვლავ დაშავდა და ხანგრძლივი ვადით მოუწევს დასვენება. გერმანული პრესის ცნობით, გრამოციისი მომავალი სეზონიდან „კაიზერსლაუტერნს“ შეუერთდება.

ნორვეგიელი ფორვარდი იონ კარეუ ვალენსიაში ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება ჩაიტარა. „ვალენსიასა“ და „რუსენბორგს“ შორის გაფორმებული კონტრაქტი მას შემდეგ ამოქმედდება, რაც ექიმები კარეუს ჯანმრთელობას დაადასტურებენ“ — იუწყება ესპანური კლუბის პრესტატაში. შეგახსენებთ, რომ „ვალენსიამ“ ნორვეგიელ ფეხბურთელში 8,6 მილიონი დოლარი გადაიხადა. იტალიური პრესის ცნობით, „ლაციომ“ „ვალენსიას“ თავდამსხმელ კილი გონსალესს დაადგა თვალი და სეზონის ბოლოს შესაძლოა გადაიბიროს კიდეც. რომაულ კლუბს სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ დაუსახელებია.

ფრანგი ნახევარმცველი იოან მიკუ მომავალი სეზონიდან შესაძლოა „პარმაში“ ჩაირიცხოს. ეს ინფორმაცია ერთ-ერთმა იტალიურმა სააგენტომ გაავრცელა და თუმცა სატრანსფერო თანხა არ დაუსახელებია, აღნიშნა, რომ „ბორდოს“ ნახევარმცველი „პარმასთან“ სავარაუდოდ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. იმასაც იუწყებიან, რომ მიკუს რამდენიმე წამყვანი ინგლისური და ესპანური კლუბი ეპატიჟება.

ურუგვაელმა ფორვარდმა ალვარო რეკობამ ბევრი წამყვანი ევროპული კლუბი დაინტერესა. ყველაზე ხშირად სერია A-ს ამჟამინდელ ლიდერ „იუვენტუსს“ ასახელებენ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ რეკობა „მანჩესტერ იუნაიტედში“ ან მადრიდის „რეალში“ გადაბარგდეს. 24 წლის ურუგვაელის ამჟამინდელ კლუბს, მილანის „ინტერს“ შესაძლო ტრანსფერზე არაფერი უთქვამს.

საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსის“ მთავარი მწვრთნელი ალბერტო ბიგონი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ბოლო ხანს ფეხბურთელებსა და იტალიელ თავკაცს შორის ურთიერთობა დაიძაბა, კლუბის ხელმძღვანელობას ეს ფაქტი არ მოეწონა და ბიგონი დაითხოვა. მწვრთნელის მოვალეობას დროებით იანის მაცურაკისი შეასრულებს. „ოლიმპიაკოსის“ დირექტორატის ცნობით, გაცილებით გამოცდილ სპეციალისტს კლუბი მომავალი სეზონიდან მიიწვევს.

იტალიელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ „ჩელსიში“ სიამოვნებით აიყვანდა კატალონიელთა ჰოლანდიელ თავდამსხმელ პატრიკ კლუივერტს. „კლუივერტი გამოკვეთილი ცენტრფორვარდია, მას გოლის გატანის მშვენიერი ალღო აქვს — ამბობს ლონდონური კლუბის თავკაცი — მჯერა, რომ პატრიკი პრემიერლიგას შეეგუება და თავს გამოიჩენს. მისი გადაბირება, ალბათ, ბევრ კლუბს სურს, არც ჩვენ ვართ გამონაკლისი, სიამოვნებით ვიხილავდი კლუივერტს „ჩელსის“ მაისურაში“. „ბარსელონას“ ხელმძღვანელობას ვიალის განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ესპანურ „სელტაში“ მოასპარეზე ებრაელი ლეგიონერი ჰაიმ რევივო სეზონის ბოლოს ალბათ, კლუბს დატოვებს. „ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ვხვდები — ამბობს რევივო — ვეგუება, როცა სათადარიგოთა შორის მასახელებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელის გადაწყვეტილებას ვეთანხმები, მომავალი სეზონიდან ალბათ, ახალ კლუბს მოვძებნი“. ესპანური პრესა იუწყება, რომ ებრაელი ფეხბურთელის შეძენით ბირმინგემის „ასტონ ვილა“ დაინტერესდა.

ინგლისის პირველდივიზიონელ „ფულემში“ მომავალი სეზონიდან ჟან ტიგანა უხელმძღვანელებს. წარსულში ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა, რომელიც ბოლოს „მონაკოს“ წვრთნიდა, ახალ კლუბთან შეთანხმება კვირას გააფორმა. სეზონის ბოლომდე კი „ფულემს“ კარლ ჰაინც რიდლესა და როი ევანსის ტანდემი უხელმძღვანელებს. მათ ორი კვირის წინ თანამდებობიდან გათავისუფლებული პოლ ბრეისეული შეცვალეს. ტიგანამ „მონაკოში“ ერთობ დიდ წარმატებებს მიაღწია, 1997 წელს გუნდი საფრანგეთის ჩემპიონი გახადა. ინგლისური სააგენტოები იუწყებიან, რომ ფრანგმა სპეციალისტმა „ფულემთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ბრაზილიელ მცველ რობერტო კარლოსს მადრიდის „რეალის“ ექიმებმა დასვენება ურჩიეს. ფეხბურთელმა პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში მუხლი დაიზიანა, თუმც თამაში მაინც გააგრძელა. სავარაუდოა, რომ კარლოსმა ესპანეთის თასის ნახევარფინალური შეხვედრა გამოტოვოს, რომელსაც სამეფო კლუბი „ესპანიოლის“ წინააღმდეგ ჩაატარებს. „თუ არ დავისვენებ, შესაძლებელია ტრავმა გამირთულდეს — თქვა კარლოსმა — ამბობენ, რომ ბოლო ხანს გადავიღალე. მე ამას ვერ ვგრძნობ, მაგრამ ალბათ, მეტყობა, ჩვეულად სწრაფად ვეღარ დავრბივარ, ცოტა დასვენება არ მაწყენდა“. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რამდენ ხანს აპირებს ბრაზილიელი დასვენებას, მის დროებით შემცვლელად კი აიტორ კარანკას და ხავიერ დორადოს ასახელებენ. „ორივე კარგი ფეხბურთელია — აცხადებს კარლოსი — მათ კარგი შანსი აქვთ, თავი გამოიჩინონ. ვისენტე დელ ბოსკეს მათ შესახებ ჯერჯერობით არაფერი უთქვამს“.

იტალიური პრესის ცნობით, ქვეყნის ჩემპიონი „მილანი“ „ვალენსიას“ ნახევარმცველის, ხერარდის გადაბირებას ცდილობს და სავარაუდოდ 14 მილიონ გირვანქას იხდის. ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში „ლაციოს“ გამამწარებელ ხერარდს „ვალენსიასთან“ კონტრაქტი 2002 წელს უსრულდება და ესპანური კლუბი მას შეთანხმების გახანგრძლივებას სთავაზობდა. არც „ვალენსიას“ და არც თავად ფეხბურთელს „მილანის“ ახალ წინადადებაზე არაფერი უთქვამთ.

ისრაელის ჩემპიონატში მოასპარეზე ჰაიფას „მაკაბის“ მთავარი მწვრთნელი ელი კოენი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კლუბის ხელმძღვანელობამ სპ[illegible]ციალისტის მოღვაწეობა წარუმატებლად მიიჩნია. კოენის ცნობით, იგი პასუ[illegible]ებს გუნდის ცუდ შედეგზე, „მაკაბი“ ჩემპიონატის ლიდერს, თელ ავივის „ჰაპოელს“ ჩამორჩება და ახლა მესამე ადგილზეა. სეზონის ბოლომდე გუნდს კოენის ასისტენტი რონი ლევი უხელმძღვანელებს.

პორტუგალია

XXIX ტური

ბოავიშტა 2:1 ფარენსე

1:0 მელო (22), 1:1 ზე ტუ (80), 2:1 მონტანინი (90)

იტალია

სერია B

XXX ტური

ბრეშა 2:1 რავენა

0:1 გრაბი (39), 1:1, 2:1 უბნერი (54ბ, 82)

REUTERS ლონდონიდან

მკვლელები

დღეს უეფა გადაწყვეტს

მეორე მკვლელია ოზჟან ბალჩი

იქ, სადაც სტამბოლს ბოსფორის სრუტე კვეთს, სასამართლოს შენობაა, რომელთანაც პოლიციის გისოსებიანი მანქანით ხუთი ახალგაზრდა თურქი მიიყვანეს.

— არ იღელვო, საფრთხე არ გემუქრება — შესძახა გისოსებიდან მომღიმარ სახეს ქუჩაში მდგომმა ქალმა.

პოლიციელებმა ხუთეული მანქანიდან გადაიყვანეს და შენობაში შეუძღვენ.

მიგვიხვდებოდით, საუბარი გასულ ხუთშაბათს „ლიდს იუნაიტედის“ ორი ქომაგის, კრისტოფერ ლოფტუსისა და კევინ სპეიტის მკვლელობას და დანაშაულში ეჭვმიტანილ თურქებს ეხება.

ინციდენტის დროს სტამბოლელმა სამართალდამცავებმა სულ 18 ახალგაზრდა დაიჭირეს, მაგრამ ცამეტ მათგანს — რომელთაგან ხუთი 18 წლის არ არის ბრალდება ვერ წაუყენეს და გაათავისუფლეს. დარჩა ზემოხსენებული ხუთეული, რომელთა შორის არის მავანი ალი დემირი, რომელმაც პირველმა აღიარა, რომ ერთ-ერთ ინგლისელს დანა დაარტყა და ოზჟან ბალჩი, საკუთარი აღიარებით მეორე მკვლელი.

ამრიგად, დაახლოებით ერთ კვირაში ბრალდება ოფიციალურად გაფორმდება და პროცესიც დაიწყება, თუმცა დამთავრებას მალე ნურავინ მოელის. თურქეთში, როგორც წესი, სასამართლო საქმეები ძალიან ნელა ირჩევა. მოსალოდნელია, რომ განხილვა რამდენიმე კვირას გასტანს, ხოლო ვერდიქტი თვეების შემდეგ გამოცხადდება.

გათვითცნობიერებული ხალხი ამბობს, რომ პროკურორი ოსმან ოქიზოღლუ მკვლელთა სიკვდილით დასჯას არ მოითხოვს, მისი მიზანი 20-წლიანი პატიმრობის მისჯა იქნება. იმასაც ამბობენ, რომ ბრალმდებელი ოთხის მკვლელობაში, ხოლო კიდევ ოთხის თანამზრახველობაში დადანაშაულებას აპირებდა. ეჭვმიტანილების განცხადებით, ინგლისელებმა ისინი საჩხუბრად გამოიწვიეს, რადგან ყველა გამვლელს შეურაცხყოფას აყენებდნენ, ხოლო თურქეთის სახელმწიფო დროშას დასცინოდნენ.

როგორც ცნობილია, „გალათასარაის“ საფეხბურთო კლუბმა მკვლელობის ადგილი ყვავილებით შეამკო. ასევე მოიქცა ორი პოლიტიკური პარტია, იმ საავადმყოფოს პერსონალი სადაც დაჭრილები მოათავსეს და თურქეთის ერთ-ერთი ტელეარხის პროპულარული კომედიური შოუს ჯგუფი.

„ჩვენ გვინდა ინგლისელებს ვაჩვენოთ, რომ თურქეთი ბრიტანელებს სამძიმარს უცხადებს“ — განაცხადა ჟურნალისტმა რუჰათ მენგიმ.

„ვგმობთ ხალხს ვინც თურქეთის სახელს ბღალავს“ — ეწერა ერთ-ერთ გვირგვინზე.

ამასობაში კი საპასუხო შეხვედრა ახლოვდება. დღეს, ოთხშაბათს, უეფამ უნდა გადაწყვიტოს, რთავს თუ არა „გალათასარაის“ გულშემატკივრებს ლიდსში ჩასვლის ნებას. მოგეხსენებათ, ინგლისურმა კლუბმა კატეგორიულად მოითხოვა მათთვის „ელანდ როუდზე“ მისვლის აკრძალვა, რაზეც სტამბოლის კლუბმა მწვავედ უპასუხა, თუ ქომაგებს ჩვენთან ერთად არ გამოუშვებთ, საპასუხო მატჩზე სულ არ ჩამოვალთო.

თავის მხრივ, თურქთა ასეთმა პასუხმა „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი აღაშფოთა:

„თუ სათამაშოდ არ ჩამოვლენ ძალიან კარგად მოიქცევიან. გასულ კვირაში მათი გამარჯვება მკვლელობებმა განაპირობა. „გალათასარაიმ“ შემთხვევით მოგვიგო. ეს გუნდი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ბურთისთვის ფეხის შეუხებლად გასულიყო ფინალში. თუ მხოლოდ ფეხბურთელები და კლუბის წარმომადგენლები ჩამოვლენ, კარგად დავხვდებით, მაგრამ მათმა მოთხოვნამ გულშემატკივრების წამოყვანის შესახებ ძალიან გვატკინა გული“.

რუმინეთი

28-ე ტური. როკარი — ნაციონალი 2:1; სტიაუა — ბაკეუ 1:0; ბრაშოვი — რაპიდი 2:0; დინამო — ჩეპლაული 1:1; ოცელული — უნივერსიტატეა 1:0; გლორია — რეშიცა 2:0; არჯეში — ასტრა 1:1; ეკსტენსივი — ფარული 1:3; პეტროლული — ონეშტი 4:1

დინამო	28	23	3	2	76:26	72
რაპიდი	28	17	5	6	49:33	56
ჩეპლაული	28	15	5	8	45:36	50
არჯეში	28	14	5	9	39:28	47
გლორია	28	14	2	12	41:37	44
ასტრა	28	12	6	10	38:33	42
ოცელული	28	13	3	12	44:33	42
სტიაუა	27	13	3	11	46:46	42
ნაციონალი	28	12	4	12	49:37	40
ბაკეუ	28	11	6	11	30:31	39
პეტროლული	28	11	5	12	40:43	38
ბრაშოვი	28	11	3	14	42:40	36
ფარული	28	10	6	12	33:40	36
როკარი	27	11	1	15	37:44	34
უნივერსიტატეა	28	9	6	13	30:32	33
ონეშტი	28	8	3	17	30:65	27
რეშიცა	28	5	7	16	32:58	22
ეკსტენსივი	28	4	3	21	22:53	15

უნგრეთი

25-ე ტური. დიოშდიორი — ჰონვედი 1:3; მტკ — ვაშაში 0:0; დუნაფერი — ჰალადაში 2:1; ტატაბანია — ნადიკანიჟა 1:0; ვაცი — პეჩი 1:2; დებრეცენი — ფერენცვაროში 3:0; უიპეშტი — შიოფოკი 2:0; ზალაეგერსეგი — დიორ ეტო 2:1

დუნაფერი	24	16	7	1	53:20	55
ვაშაში	24	15	4	5	47:20	49
მტკ	24	13	8	3	46:19	47
დებრეცენი	25	11	7	7	37:30	40
ტატაბანია	25	10	10	5	25:28	40
ფერენცვაროში	25	10	7	8	45:31	37
უიპეშტი	25	10	7	8	44:33	37
ზალაეგერსეგი	24	8	11	5	27:17	35
ნიირშეგი	24	10	5	9	28:33	35
დიორ ეტო	24	8	7	9	36:26	31
პეჩი	24	7	10	7	28:38	31
ჰონვედი	25	8	6	11	24:33	30
ნადიკანიჟა	25	5	8	12	20:33	23
ჰალადაში	24	6	3	15	25:42	21
დიოშდიორი	25	5	6	14	22:44	21
შიოფოკი	25	6	5	14	20:40	20
ვაცი	24	2	5	17	20:60	11

„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა.

ჩრდილი

გუსტავო პოიეტი

დაბადება 1967 წლის 15 ნოემბერს, მონტევიდეოში
სიმაღლე: 187 სმ
წონა: 83 კგ
დებიუტი პრემიერლიგაში: 1997 წლის 9 აგვისტოს, „ქოვენთრისთან“
წინა კლუბებმი: რიოჯერ პლეიტი (არგენტინა), გრენობლი, ბელა ვისტა, სარაგოსა (ესპანეთი)
ჟურნალის თასების თასის (1995, 1998) და სუპერთასის (1998) მფლობელი
ურუგვაის ნაკრებში ნათამაშევი აქვს 25 მატჩი

„მე მიყვარს ფეხბურთი. მე ვგიჟდები ფეხბურთზე. შინ თუ გარეთ, ოჯახში თუ სტუმრად, ყველგან ფეხბურთზე ვლაპარაკობ. მეტი სალაპარაკო არ გაქვსო, ხშირად მეკითხებიან. პასუხი ყოველთვის ერთი მაქვს — ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა“.

ამ კაცს მეტსახელად „რადიო“ შეარქვეს. გაუთავებლად ლაპარაკობს და იმიტომ. თან, თავადვე ამბობს, მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთზე.

ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დღეშია გუსტავო პოიეტი მას მერე, რაც კვირას „უემბლიზე“ ორი გოლი გაიტანა და „ჩელსი“ მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო შეჯიბრების, ინგლისის თასის ფინალში გაიყვანა.

დრო იყო, ლონდონში პოიეტის ხსენებაზე სახე ეღრიჯებოდათ — ის ხომ იმ „სარაგოსას“ წევრი იყო, 1995 ნელს თასების თასი რომ მოიპოვა, თან ნახევარფინალში „ჩელსის“ მოუგო, ფინალში კი „არსენალს“. მაშინ ურუგვაელი სარაგოსელთა ერთ-ერთი მთავარი მეგოლე გახლდათ: 240 მატჩში 60 გოლი, აქედან 80 პროცენტი თავურით!

გამოხდა ხანი. გუსტავოს „ჩელსის“ იმჟამინდელმა მწვრთნელმა რუუდ გულიტმა დაადგა თვალი და საწადელიც აისრულა. 1997 წელს ინგლისურის ჩინურივით მცოდნე ფეხბურთელი სამხრეთ-დასავლეთ ლონდონში გადაბარგდა და დღეს უკვე ინგლისურში ენაგატეხილი აცხადებს, აქედან წასვლას არსად ვაპირებო: „მინდა კარიერა ინგლისში დავამთავრო, მერე კი ეგებ ჯანლუკა ვიალი შევცვალო მწვრთნელის პოსტზე“.

კოსმოპოლიტურ „ჩელსიში“ არაფერია გამორიცხული, თუმცა დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ურუგვაელს კლუბის სიყვარულსა და ვიალის შეცვლის სურვილში ბევრი შეეცილება. აგერ, კლუბის თავმჯდომარე კენ ბეიტსმა თქვა, ეგებ დენის უაიზი იყოს ჩვენი მომავალი მწვრთნელიო. რუმინელი დან პეტრესკუც, ქალიშვილს ჩელსი რომ დაარქვა, „ლურჯების“ („ჩელსის“ მეტსახელი სწორედ ესაა და არა „არისტოკრატები“) თავკაცობაზე ოცნებობს.

ურუგვაის მოქალაქე და ესპანური პასპორტის მქონე პოიეტი ის იშვიათი სამხრეთამერიკელია, პრემიერლიგას უმალ რომ აუწყო ფეხი (რაც მთავარია, თავიც) და ჩელსელ ფანთა გმირად იქცა. მართალია, მისი შედეგიანობა კუნძულზე უფრო უარესია, ვიდრე კონტინენტზე იყო, მაგრამ, რაც გააქვს, ერთიმეორეზე ლამაზი და ჯიგრიანი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ სეზონის ულამაზეს გოლად სწორედ პოიეტისას აღიარებენ, პირველ ტურში „სანდერლენდთან“ რომ გაიტანა.

„რადგან გოლების გატანა ვიცი, მწვრთნელობასაც შევძლებ“ — თითქოს მიამიტურია 32 წლის კაცის ეს განცხადება, თუმცა „უემბლიზე“ ერთ თამაშში ორი გოლის გასატანად და „სარბიელის“ რჩეულთა შორის მოსახვედრად მხოლოდ კარგი დამრტყმელობა რომ არ კმარა, ცხადია. არც ის დაგვავიწყდეს, რომ გუსტავოს მამა თავის დროზე ურუგვაის საკალათბურთო ნაკრების კაპიტანი იყო. ასე რომ, ლიდერობა და თავკაცობაც პოიეტებს სისხლში აქვთ გამჯდარი.

გიგა კოგანიძე

გუსტავო პოიეტი



მელ გიბსონი

ფილმი დიდ გუნდზე

ცნობილმა ავსტრალიელმა კინოვარსკვლავმა მელ გიბსონმა შესაძლოა სულ მალე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურა მოირგოს. არა, აქ ტრანსფერზე სულაც არ არის საუბარი, მსახიობი დიდ გუნდზე ფილმის შექმნას აპირებს, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს თვითონ შეასრულებს.

მელ გიბსონი ამჟამად კინოკომპანია „ICON PRODUCTION“-ში მოღვაწეობს. ცნობილ ფილმშწარმოებელს განუზრახავს, შექმნას ნახევრადდოკუმენტური ფილმი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბოლოდროინდელ წარმატებებს ასახავს.

პროექტი უკვე კარგა ხნის დაწყებულია და გადაღებები სეზონის დასაწყისიდან მიმდინარეობს. კინოოპერატორთა ჯგუფი „მანჩესტერ იუნაიტედს“ თურმე ტოკიოშიც ახლდა, სადაც ინგლისის ჩემპიონმა საკონტინენტთაშორისო ანუ ტოიოტას თასის ფინალში ბრაზილიური „პალმეირასი“ დაამარცხა და საპატიო ჯილდოს დაეუფლა.

გადაღებები პირველ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატზეც მიმდინარეობდა, სადაც „მანჩესტერმა“ დიდი ვერაფრით გამოიჩინა თავი და, როგორც ამბობენ, ძირითადად დასასვენებლად ეწვია ბრაზილიას, თუმცა კინომასალისთვის ამ ფაქტს ალბათ ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

იმასაც იტყობინებიან, ოპერატორებმა კლუბის დირექტორთა საბჭოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი სხდომა დააფიქსირეს და დოკუმენტურ ფილმში აუცილებლად ასახავენო. „მანჩესტერის“ და „ვოდაფონის“ ახალ სპონსორულ შეთანხმების საზეიმო ცერემონიალიც გადაუღიათ, რომელიც ინგლისურმა სუპერკლუბმა ცოტა ხნის წინ გააფორმა და დაახლოებით 48 მილიონი დოლარი მიიღო.

მოკლედ, სანამ „მანჩესტერი“ თავისი დიდებული თამაშით მრავალრიცხოვან გულშემატკივარს ხიბლავს, გუნდზე ფილმი მზადდება. მელ გიბსონს პროექტის სახელიც კი შეურჩევია: „ფილმი „მანჩესტერზე“, თუმცა ეს საბოლოოდ არ გადაწყვეტილა და გუნდის ნებისმიერ ქომაგს შეუძლია, თავისი შესაძლო ვარიანტის დასახელება. „მანჩესტერ იუნაიტედის“ საინტერნეტო გვერდის კარი ყველასთვის ღიაა.

ფილმის დირექტორი ამერიკელი ბობ პოტერია, რომელსაც სპორტსმენებზე უკვე მრავალი ფილმი აქვს შექმნილი. მათ შორის პიტ სამპრასზე, ანდრე აგასისა და შაკილ ონილზე.

დაბოლოს, ალბათ დაგაინტერესებთ, როდის შეგეძლებათ ამ ფილმის ნახვა. „ICON PRODUCTION“-ი იუწყება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ფილმის პრეზენტაცია ოქტომბერში შედგება.

ნიკა ზუბლაძე

ევროპის გაგაცვება

კონტინენტის პირველობების ისტორია 1984

სოლომონ გულისაშვილი

უმსოფლიოჩემპიონებოდ

1984 წლის 20 ივნისი. ესპანეთი — გფრ 1:0. ბოლო წუთზე ანტონიო მასედას (მარცხნივ) გამარჯვების გოლი გააქვს გერმანელთა კარში

სარგბილის არქივიდან

სიბრძნე სიცრუისა — 12:1

არის ტურნირები, რომელთა დამთავრების შემდეგ კიდევ დიდ ხანს კამათობენ, არა ეს უნდა გამხდარიყო ჩემპიონი, არა ისო. ასეთი აზრთა სხვაობა ბუნებრივიც არის. მაგრამ 1984-ში ასე არ მომხდარა. საფრანგეთის ნაკრები იმდენად სჯობდა დანარჩენებს, რომ საკამათო აღარაფერი იყო.

შესარჩევი ციკლის ამბებით დავიწყოთ. ამბებიო, რომლებიც ერთგვარად ისტორიულიც გახლდათ და უცნაურიც. თავად განსაჯეთ, საკვალიფიკაციო ჯგუფიდან ვერ გააღწია მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა იტალიის ნაკრებმა, უცნობმა დანიამ ინგლისს აჯობა, ესპანეთისა და მალტის მატჩი ხომ...

უეფას დებულებით, შვიდი შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებულები ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებდნენ, ამათ მასპინძელი საფრანგეთი დაემატებოდა და ეს რვა ნაკრები ჩემპიონის ვინაობას გაარკვევდა. ევრო 80-ისგან განსხვავებით, ერთი ცვლილება მოხდა. ჯგუფური ტურნირის შემდეგ შეჯიბრებას ნახევარფინალური წრე დაემატა. სულ კი გათამაშებაში ოცდაცამეტმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, რაც კონტინენტის პირველობების ისტორიაში სარეკორდო ციფრი გახლდათ.

მსოფლიოს ჩემპიონები, იტალიელები მეხუთე შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ რუმინეთის, შვედეთის, ჩეხოსლოვაკიისა და კიპროსის ნაკრებებთან ერთად. ბოლოდროინდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, „სიკვდილის ჯგუფი“ სულაც არ იყო, აქედან გასვლა „სკუადრა აძურას“ არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ...

1983 წლის 22 დეკემბერს ამ ჯგუფში ბოლო მატჩი გაიმართა, იტალიამ ალტობელის, კაბრინისა და როსის გოლებით 3:1 მოუგო კიპროსს და... ხუთგუნდა ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა. საინტერესო იცით რა იყო? ეს გახლდათ იტალიელთა პირველი და ერთადერთი გამარჯვება მთელ შესარჩევ ციკლში. გამსვლელი საგზური კი რუმინელებმა ჩეხოსლოვაკებს აართვეს. არადა, ბოლო ტურის მატჩი ბრატისლავაში სწორედ ამ გუნდებს შორის გაიმართა. თუ გაიმარჯვებდნენ, საფრანგეთში ჩეხოსლოვაკები წავიდოდნენ. ბევრსაც უტევდნენ, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჟოლგაუს გოლით სტუმარი რუმინელები დაწინაურდნენ. მასპინძლებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს გათანაბრება.

ბოლო ტურის წინ ერთობ დაძაბული ვითარება იყო მეშვიდე ქვეჯგუფშიც. აქ ფავორიტები ჰოლანდია და ესპანეთი იყვნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მათი ბედი მაჩანჩალა მალტამ გადაწყვიტა. გამარჯვება იმას დარჩებოდა, ვინც მალტის კარში მეტ გოლს გაიტანდა. პირველი მატჩები სხვადასხვაგვარად დამთავრდა. ესპანელებმა სტუმრად 3:2 მოუგეს კუნძულელებს, ჰოლანდიელებმა კი 6:0. თუმცა, ის მატჩი ნეიტრალურ მინდორზე, გერმანულ ახენში ჩატარდა. წინა შესარჩევ ციკლში მშობლიურ „ტა ქალის“ სტადიონზე მომხდარი არეულობების გამო მალტელებს დისკვალიფიკაცია ჰქონდათ. საინტერესოა, რომ ახენში ჩასვლისთვის ჰოლანდიელებმა მალტელებს „ხარჯები აუნაზღაურეს“ და დაახლოებით 50 ათასი დოლარი გაღაიხადეს. ამან ესპანელები გააბრაზა და უეფაში პროტესტიც აფრინეს, თუმცა ევროპული ფეხბურთის გამგებლებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ბოლო ტურის წინ კი ისე გამოვიდა, რომ ის ექვსი გოლი ჰოლანდიელებს აძლევდა უპირატესობას. თანაც, მალტასთან ორივეს შინ უნდა ეთამაშა. კუნძულელებს ჯერ ჰოლანდიელებმა უმასპინძლეს. თამაშის მნიშვნელობას ისიც ამტკიცებს, რომ როტერდამის სტადიონზე 59 ათასი მაყურებელი მივიდა. ჰოლანდიამ ვანენბურგის, ვაინსტეკერსის, რაიკარდის (ორი) და ჭოუტმანის გოლებით 5:0 მოუგო. ახლა ესპანელებს პირველი ადგილის დასაკავებლად 11 ბურთის სხვაობით უნდა გაემარჯვათ: „11 გოლის გატანა ცარიელ კარშიც ძნელია. ყოველ ჩვენთაგანს ესმის, რომ ურთულესი ამოცანის წინაშე ვდგავართ. თუმცა გადაუწყვეტი არაფერია“ — ამბობდა მატჩის წინ ესპანელების მწვრთნელი მიგელ მუნიოსი. მალტელებმა კი ცეცხლზე ნავთი დაასხეს. მათ ფიფაში და უეფაში პროტესტი გაგზავნეს, ესპანელები მომზადების საშუალებას არ გვაძლევენ, განგებ გვანერვიულებენ, ტალახიან მოედნებზე გვავარჯიშებენო. თუმცა, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ჰოლანდიელი და ნეიტრალური მიმომხილველები ვარაუდობდნენ: ესპანელებმა ზუსტად იმდენი გაიტანეს, რამდენიც სჭირდებოდათ...

საოცარია, მაგრამ ესპანელი სანტილიანას გოლს მალევე მალტელმა დიგიორგიომ უპასუხა, 24-ე წუთისთვის სევილიის სტადიონზე 1:1 იყო, მერე კი... კიდევ სამჯერ სანტილიანამ, ოთხჯერ რინკონმა, ორჯერ მასედამ, სარაბიამ და სენიორმა კიდევ თერთმეტჯერ შეუგდეს საწყალ კუნძულელებს. 12:1 და ესპანეთმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა...

ადგილობრივი მიმომხილველების გადმოცემით, სევილიაში ისეთი სიხარული სუფევდა, თითქოს მასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატი მოეგოთ...

ჩვეულებრივი საბჭოური ამბავი

1982 წელს, ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელად კონსტანტინ ბესკოვის ნაცვლად ვალერი ლობანოვსკი დაინიშნა. მწვრთნელების ცვლა საბჭოელთა გუნდში ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. მით უმეტეს, ლობანოვსკის ავტორიტეტის გათვალისწინებით, თითქოს უცნაური არაფერი იყო. მაგრამ, ჯერ ერთი, ბესკოვის ლობანოვსკით შეცვლამ ერთხელ ვერ გაამართლა, 1975 წელს დანიშნულმა ვალერი ვასილიევიჩმა ნაკრებად კიევის „დინამო“ აქცია, მაშინ ძლიერი და თანების თასის მომგები, მაგრამ მომდევნო წელს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ჩეხოსლოვაკებს ვერ აჯობა, ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩა და მალე თანამდებობაც დატოვა. ლობანოვსკის მეორედ მოსვლამ ივივე შედეგი მოიტანა. მან ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მნიშვნელოვნად გადაახალისა შემადგენლობა და აქცენტი ისევ კიეველებზე აიღო, თუმც უკრაინის მთავარი გუნდი მაშინ სულაც არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული თამაშით. ქართველებიდან 84-ის შესარჩევი ციკლი ალექსანდრე ჩივაძემ, თენგიზ სულაქველიძემ და რამაზ შენგელიამ ითამაშეს. ჩივაძე ყველა მატჩში ნაკრების კაპიტანიც გახლდათ.

საბჭოელებმა საკვალიფიკაციო ეტაპი რიხით დაიწყეს. მოსკოვში ზედიზედ ორი თამაში მოიგეს. ჯერ ბალტაჩასა და ანდრეევის გოლებით ფინეთი 2:0 დაამარცხეს, მერე ჩერენკოვის (ორი), როდიონოვის, დემიანენკოსა და ლარიონოვის ძალისხმევით პორტუგალიელები 5:0 გაანადგურეს. საქმე ისე მიდიოდა, რომ ლობანოვსკის შეგირდები ბოლო ტურამდე ლიდერობას ინარჩუნებდნენ. უკანასკნელი მატჩი კი ლისაბონში უნდა ეთამაშათ 1983 წლის 13 ნოემბერს. საბჭოელებს ფრეც ხელს აძლევდათ, მასპინძელ პორტუგალიელებს კი მხოლოდ მოგება უხსნიდათ საფრანგეთისკენ გზას. დაძაბულ და ნერვიულ ბრძოლაში მასპინძელმა რუი ჟორდაოს პენალტით 1:0 იმარჯვეს და საბჭოელები მშრალზე დატოვეს.

პროლეტარული პრესა ამ ამბავს, ცხადია, ერთობ მწვავედ გამოხმაურა. აი, რამდენიმე ნაწყვეტი: „მწვრთნელებმა უმრავი შეცდომა დაუშვეს და ეს პირველად არ ხდება, თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩების წინ. ცნობილია, რომ აკლიმატიზაციისთვის მესამე-მეოთხე დღე ყველაზე რთულია. მაშ როგორ მოხდა, რომ ლისაბონში ჩვენებმა სწორედ ამ დროს ითამაშეს. ან ვის მოუვიდა აზრად მატჩის წინა დღეს ორჯერადი ვარჯიშები ჩაეტარებინა? მით უმეტეს, რომ საბჭოთა ფეხბურთელების უმრავლესობა სეზონის ბოლოს გადაღლილია. ამიტომაც იყო, ჩერენკოვმა, გავრილოვმა და როდიონოვმა ვერაფერი გააწყვეს, ტრავმამოშუშებული კაპიტანი ჩივაძე კი, რომელიც ბოლო დროს მინდორზე არ გვინახავს, ყველაზე მეტად გამოირჩეოდა. მას გადაღლა არ ეტყობოდა“.

საბჭოური მანქანა თავისი სვლით მიდიოდა. განა ადრე არ ყოფილა ასეთივე სიტუაციები?

შელახული გერმანია

ევროპის 1980 წლის ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები, ბუნებრივია, საფრანგეთის სტადიონებზეც გამარჯვებას გეგმავდა. 1984 წლის 10 იანვარს პარიზში ჩატარებული ევრო 84-ის ფინალური ეტაპის წილისყრის შემდეგ გერმანელთა მწვრთნელმა იუპ დერვალმა თქვა: „წილისყრით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, თანამეჯგუფეები არცთუ ძლიერები გვყავს. ერთი ჭეშმარიტება კარგად ვიცი, არაფრით შეიძლება პირველი მატჩის წაგება, ის ყველაზე მნიშვნელოვანია. მთავარი ამოცანაა, ჩემი ფეხბურთელების შესაძლო ზედმეტი თავდაჯერება არ დავუშვა“.

დერვალი გერმანიაში მაინცდამაინც არ უყვარდათ. საფრანგეთში გამგზავრების წინ დაახლოებით ორმოცდაათი ადგილობრივი მწვრთნელი, ფეხბურთელი და ჟურნალისტი გამოკითხეს. მათი უმრავლესობა დერვალის შეცვლას მოითხოვდა. მოთამაშეების ნიჭიერებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ მათი აზრით, მწვრთნელს შეგირდებთან კონფლიქტი ჰქონდა. ბოლო დროს დიქტატორული გამოხდომებიც დასჩემდა და ამიტომ ევროპის ჩემპიონატზე მის გუნდს გარდაუვალ წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებდნენ. ასეც მოხდა. მართალია, დერვალს თავისი ჭეშმარიტება არ დაურღვევია, ჯგუფში პირველი თამაში არ წაუგია, მაგრამ არც მოუგია — პორტუგალიასთან 0:0 ითამაშა. მერე რუდი ფიოლერის ორი გოლით რუმინეთს 2:1 მოუგეს. გადამწყვეტი კი ესპანელებთან თამაში გამოდგა. ბოლო წუთზე, დამთავრებამდე 30 წამით ადრე ანტონიო მასედას გოლმა გერმანელები ჯგუფში ჩატოვა და კონტინენტის ჩემპიონის გვირგვინი მოხადა.

1983 წლის 6 ოქტომბერი. სსრკ — პოლონეთი 2:0. ევროშესარჩევი მატჩი. ალექსანდრე ჩივაძე (მარცხნივ) და იოზეფ მლინარჩიკი

1983 წლის 13 ნოემბერი. პორტუგალია — სსრკ 1:0. ევროშესარჩევი მატჩი. რუი ჟორდაო (მარცხნივ) და თენგიზ სულაქველიძე

ევროპის გამკვირვებლები

რა საერთო აქვს 1945 წელს 1983-თან

ყოველ ტურნირს ჰყავს თავისი აღმოჩენა. ისინი რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს და მერე კარგა ხანს საყოველთაო განსჯის ობიექტები ხდებიან. არაერთი ყოფილა ასეთი, აღიარებული ფავორიტი თანასწორ დუელში რომ გამოუწვევია. მაგალითად, პორტუგალია 1966 წლის, ანდა ჰოლანდია 1974-ის მსოფლიოს ჩემპიონატებზე. მაგრამ თუ მათი აღზევება „ბენფიკასა“ და „აიაქსის“ ტრიუმფების გამო მაინც მოსალოდნელი იყო, დანიელთა ამბავი დღემდე გაოცებასა და პატივისცემას იწვევს. გერმანელმა მწვრთნელმა ზეპ პიონტეკმა უცებ, არსაიდან, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური გუნდი გამოძერწა, ბელგია — ჰოლანდიაში მიმობნეული არცთუ სახელიანი ფეხბურთელებისგან ჩინებული ნაკრები ჩამოაყალიბა.

პირველად დანიელებმა მსოფლიო მაშინ გააკვირვეს, როცა შესარჩევ ჯგუფში ინგლისს აჯობეს და ევრო 84-ის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეს. იმ დროისათვის პიონტეკის შეგირდთა ნამოქმედარი სენსაციად აღიქვა. დანია, რომელიც ნიადაგ „ქულებისდამრიგებელ“ ნაკრებად ითვლებოდა, უცებ ევროპული ფეხბურთის ელიტაში აღმოჩნდა. მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, სენსაციური და ფანტასტიკური არაფერი ყოფილა, დანიელებს უბრალოდ კარგი გუნდი ჰყავდათ.

1983 წლის სექტემბერში კი „უემბლიზე“ ისტორიული მატჩი გაიმართა. ალან სიმონსენმა მასპინძლებს პენალტი გაუტანა და დანიამ ინგლისს 1:0 მოუგო. ამიერიდან დანიელთა ძალა ყველამ იცნო. ისინი მესამე შესარჩევი ჯგუფის ლიდერები გახდნენ და ეს უპირატესობა ბოლომდე არ დაუთმიათ. აი, პატარა ამონაწერი დანიური გაზეთიდან: „როგორც კი „უემბლიზე“ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა გაისმა, პატარა ქვეყნის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა. ისინი ქვეყნის ნაკრების წარმატებას აღნიშნავდნენ. მათ ეამაყებოდათ, რომ დანიელები იყვნენ. ასეთი ხალხმრავლობა კოპენჰაგენს ალაბთ 1945 წლის შემდეგ აღარ ახსოვს, როცა დანია გერმანელი ფაშისტებისგან განთავისუფლებას ზეიმობდა. ადგილობრივმა ტელევიზიამ გამოკითხვა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 83 პროცენტი იმ საღამოს ინგლისი—დანიის მატჩს უცქერდა, 12 ათასი ქომაგი კი ნაკრებს ლონდონში გაჰყვა და თავისიანების დიდი გამარჯვება იხილა“.

საინტერესოა, რომ 1948 წლიდან მოყოლებული ეს დანიელების ინგლისელებზე პირველი გამარჯვება იყო. ხოლო ინგლისმა ბოლო 11 წლის მანძილზე პირველი საკვალიფიკაციო თამაში წაგო შინ.

ბოლო ტურში დანიას აუცილებლად უნდა მოეგო საბერძნეთში, რადგან ინგლისი ლუქსემბურგს სტუმრობდა და ცხადია, გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა. ინგლისმა 4:0 მოუგო მასპინძლებს. აი, დანიელებმა კი ათენში კიდევ ერთი სპექტაკლი ჩაატარეს და ელკიაერისა და სიმონსენის გოლებით 2:0 მოიგეს. თუმცა ფსიქოლოგიურად ეს ურთულესი თამაში იყო. საქმე ისაა, რომ პიონტეკის გუნდი პირველად აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როცა აუცილებლად უნდა მოეგო. აღრე, დანია, როგორც წესი, ტურნირის დასაწყისშივე კარგავდა ჯგუფიდან გასვლის შანსს და მერე თავისუფლად თამაშობდა, ახლა კი...

ნაკრების მცველი მორტენ ოლსენი იხსენებს: „ბიჭები ისე ნერვიულობდნენ, რომ ერთმანეთთან ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდათ. მაგრამ დაიწყო თუ არა მატჩი, ყველაფერი დალაგდა და ნერვიულობა აღმაფრენამ შეცვალა.

ალან სიმონსენი, ევროპის 1977 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, კაცი, რომელსაც გერმანულ „მიონხენგლადბახში“ და ესპანურ „ბარსელონაში“ ეთამაშა, ევროთასებიც მოეგო, ნამატჩევს ემოციას ვერ მალავდა. „ასეთი ტრიუმფი ჩემს კარიერაში არ მახსოვს“ — თქვა მან. ნაკრები და ქვეყნის ღირსება მისთვის უპირველესი იყო.

პიონტეკს მაშინ დაახლოებით ისეთი პრობლემები ჰქონდა, როგორიც დღეს ქართველებს. გერმანელი მიმომხილველი შეფერი წერს: „პიონტეკმა დიდი სამუშაო გასწია. გფრ-ის ნაკრების ყოფილ მარჯვენა მცველს ბუნდესლიგაში მწვრთნელობისას არაფრისთვის მიუღწევია. მაგრამ ახლა მისი სახელი ყველამ იცის. განა ადვილია ისეთ ნაკრებში მუშაობა, რომლის ფეხბურთელთა უმრავლესობა უცხოეთში თამაშობს? ჯერ მათი მიწვევაა პრობლემა, მერე კონტროლი და ბოლოს ამათი ერთ გუნდად, დააკვირდით „გუნდად“ ჩამოყალიბება. პიონტეკმა ეს შეძლო და აკი ევროპაც აალაპარაკა“.

1984 წლის 23 ივნისი. ნახევარფინალი. საფრანგეთი — პორტუგალია 3:2. ჟან ტიგანას ამ გარღვევას მიშელ პლატინის გამარჯვების გოლი მოჰყვა

სარგბიელის არქივიდან

დანიის გუნდში მაშინ მართლაც დიდებულმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი. მარტო მორტენ ოლსენის, პრებენ ელკიაერ-ლარსენის, მიხაელ ლაუდრუპისა და სორენ ლერბიუს სახელები რად ღირს. მაშინ ლაუდრუპი 19 წლის იყო. თექვსმეტი წლის შემდეგ კი, ის ამბობს, დანიას ასეთი თაობა ალბათ კიდევ დიდ ხანს აღარ ეყოლებაო...

როცა ფინალური ეტაპის წილისყრის ამბავი გაიგო, პიონტეკმა თქვა (დანიელთა ჯგუფში საფრანგეთი, ბელგია და იუგოსლავია მოხვდნენ): „ჩვენი მთავარი საწუხარი ისაა, რომ ფეხბურთელთა უმრავლესობა საზღვარგარეთ თამაშობს და მოსამზადებელ პერიოდში საკმარის მატჩებს ვერ გავმართავთ. ჯგუფში ფავორიტი საფრანგეთია. არა იმიტომ რომ ტურნირის მასპინძელია. ამჟამად მათ ჩინებული ნაკრები ჰყავთ“.

დანია საფრანგეთს პარიზში, ჩემპიონატის გახსნის მატჩში დაუპირისპირდა. მძიმე და ნერვიულ თამაშში ვიკინგებმა ერთი დიდი დანაკლისიც განიცადეს. ფრანგთა მცველმა ლე რუმ პირველი ტაიმის მიწურულს ვეტერანი ალან სიმონსენი არ დაინდო. ფეხმოტეხილი სიმონსენი ჰოსპიტალში წაიყვანეს. ბოლო წუთები კი ძიძგილაობა უფრო იყო, ვიდრე ფეხბურთი. შედეგად მინდვრიდან ფრანგი მანუელ ამორო გააძევეს. თამაშის ბედი კი 78-ე წუთზე გატანილმა პლატინის გოლმა გადაწყვიტა.

ნამატჩევს პიონტეკი ბრაზობდა. მას სიმონსენის დაკარგვა აწუხებდა, ხოლო როცა უთხრეს, რომ მის მაგიერ განაცხადში სხვა ფეხბურთელს ვერ შეიყვანდა, სულ გადაირია: „ბელგიელებს ბოლო წამს რენკინის შეცვლა არ გასჭირვებიათ. ჩვენ კი... ახლა ვფიქრობ, ღირს კი იუგოსლავიელებთან შემდეგ მატჩზე წასვლა“... მაგრამ პიონტეკი დაამშვიდეს და... დანიამ იუგოსლავიას 5:0 მოუგო. მერე ბელგიასაც აჯობა (3:2) და ნახევარფინალში გავიდა.

24 ივლისს ლიონში ესპანეთი-დანიის ნახევარფინალმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „სტად ჟერლანზე“ 48 ათასამდე მაყურებელი მივიდა. მათ შორის წარსულის გმირებიც იყვნენ: დი სტეფანო, ეუსებიო, მენოტი, მასპუსტი და პელე...

მე-6 წუთზე მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი სორენ ლერბიუ ხსნის ანგარიშს: მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს ელკიაერი თავით ურტყამს კარში, ესპანელთა მეკარე არკონადა იგერიებს, მაგრამ იქვე მდგომ ლერბიუს გააქვს. დანია საკუთარ ხელწერას არ ღალატობს, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. ცოტა ხანში ფრანკ არნესენს ესპანელები საჯარიმოში უხეშად აჩერებენ, მგარამ პენალტი არ ინიშნება. პიონტეკის შეგირდები ბევრს არ დავობენ, უპირატესობა ხომ მათია.

მაგრამ იწყება მეორე ტაიმი, დანიელები რამდენიმე კარგ მომენტს ვერ იყენებენ და ესპანელებიც ნელ-ნელა ათანაბრებენ თამაშს. სამხრეთელები რაღაც შტურმისმაგვარს აწყობენ და ცენტრალურ მცველ მასედას საპასუხო გააქვს. ეს სწორედ ის მასედაა, გერმანელები ნაადრევად რომ გაამგზავრა შინ.

მერე იყო დამატებითი დრო და ნერვების თამაში. ბოლოს თერთმეტმეტრიანები. ესპანელებს ხუთივე პენალტი გააქვთ, დანიელთაგან კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საუკეთესო თავდამსხმელი პრებენ ელკიაერი აცილებს...

ალბათ ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა ტრიბუნებზე. ესპანელები ზეიმობდნენ, დანიელები კი... თუმცა სკანდინავიელ გულშემატკივარს თავისიანებისთვის სასაყვედურო ალბთ არაფერი ჰქონდათ. ამიტომაც გასახდელისკენ მიმავალი ფეხბურთელები ტრიბუნისკენ მიიტყუეს და კარგა ხანს არ უშვებდნენ. ეს იყო ნამდვილი გულშემატკივრის მადლობა ნამდვილი ფეხბურთელებისადმი. ნირწამხდარი არც პიონტეკი ჩანდა: „მინდა, ჩემს გუნდს მივულოცო. ბიჭებმა ყველაფერი აჩვენეს, რაც შეეძლოთ. მადლობა მათ“ — დაგვეთანხმებით, გერმანელი მწვრთნელის სიტყვებში თავდაჯერება იგრძნობა. სხვაგვარად არც იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიასთან უძნელესი მატჩი გვქონდა. დამთავრებამდე თორმეტი წუთით ადრე მოწინააღმდეგე შეცდომაზე დავიჭირე და თავურით გამარჯვების გოლი გავიტანე.

მერე იყო საფრანგეთი — ბელგია „ბოჟუარის“ ახალ სტადიონზე. ანგარიში 5:0 ჩვენს სასარგებლოდ. მე სამი გოლი გავიტანე: ერთი — ცაციათი, მეორე — პენალტით, მესამე — თავით. ეს ჩემი პირველი ჰეთთრიქი იყო ნაკრებში. ამ დღეს საუკეთესო ფრანგი მეგოლის ჟიუსტ ფონტენის რეკორდი (28 გოლი ნაკრებში) გავაუმჯობესე. ჩემმა ასეთმა წარმატებამ ბევრთანაგუნდელს ნერვები აუშალა. აი, მაგალითად, მეკარე ჟოელ ბატსმა ყველაფერი მოკლედ ახსნა: „პლატინი? რა გიკვირთ, მას უბრალოდ უმართლებს“.

ჯგუფის ბოლო მატჩს სენტ-ეტიენში, იუგოსლავიელების წინააღმდეგ ვატარებთ. თავიდან მეტოქე გვიგებს, მაგრამ შესაშურ ბრძოლისუნარიანობას ვიჩენთ და 3:2 ვიმარჯვებთ. კვლავ სამი ბურთი გამაქვს: ერთი — ცაციათი, მეორე — ვარდნაში თავით, მესამე — საჯარიმო დარტყმით.

და აი, ნახევარფინალი. მარსელში მოწინააღმდეგე პორტუგალიის ნაკრებია. მარსელელმა დომერგმა, რომელიც დაშავებული ამოროს ნაცვლად თამაშობდა, ეფექტური საჯარიმო შეასრულა და ანგარიში გახსნა. დამთავრებამდე თექვსმეტი წუთი რჩება და ჟორდაო ათანაბრებს. დამატებითი დრო...

ჟორდაოს მოხერხებული დარტყმა და მეორე გოლი ჩვენს კარში. ისევ მდევრები ვართ. მდგომარეობა იძაბება. საბედნიეროდ, დომერგს კიდევ ერთი გააქვს — 2:2.

მაგრამ განა ეს საკმარისია? ყველა ფეხბურთელს, ვინც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა, ერთი ზმანება გვახსენდება — სევილიის ზმანება. მაშინ, ნახევარფინალში გერმანელებთან პენალტებით წავაგეთ. ახლაც თუ თერთმეტმეტრიანები დაინიშნა...

დრო ინურება. უკვე აღარ შემიძლია. ფეხებსაც ძლივს ვიმორჩილებ. თავში კი: „სევილია, სევილია“ — ეს სიტყვა ტვინს მიბურღავს.

თამაში გაუხეშდა. ჩვენ მეტს ვუტევთ. პორტუგალიელებმა იციან ჩვენი კომპლექსი და დროის გაყვანას ცდილობენ, პენალტებს ელიან. საშველად მზერას ტიგანას ვაპყრობ...

...დამთავრებამდე წუთილა დარჩა... და აი, ტიგანა რაღაც ნერვიული სირბილით კვეთს მინდორს, ბურთს არ კარგავს, საჯარიმომდე აღწევს, იქ კი მე ვდგავარ... ბურთს მანვდის, ვურტყამ და... არის, არის! ესეც სევილიის კომპლექსი. მორჩა, ის აღარ განმეორდება.

სიბარულისგან მთელი გუნდი რაღაც სასიამოვნო ბურუსში ვეხვევით... ჩვენ ფინალში ვართ!

მიშელ პლატინი
„ცხოვრება, როგორც მატჩი“

ზეპ პიონტეკი

1984 წლის 19 ივნისი. დანია — ბელგია 3:2. პრებენ ელკიაერ-ლარსენი ბელგიელთა მეკარე ჟან-მარი პფაფსაც გასცდა და მესამე ბურთი გაიტანა...

პლა-ტი-ნი, ტი-გა-ნა, ი-დალ-გო!

1984 წლის ზაფხულში მიშელ იდალგოს ჩინებული ნაკრები ჰყავდა. ფეხბურთელების უმრავლესობას ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. ახალბედების: ბატსის, ფერნანდესის, ლეგრუსა და ბელონის გუნდთან შერწყმაც ერთობ უმტკივნეულოდ მოხდა. იდალგო, რომელიც საფრანგეთის ნაკრებს 1976 წლიდან წვრთნიდა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდა იმ დღემდე, როცა მის შეგირდებს ევროპაში ბადალი არ ჰყავდათ. ასე იშვიათად ხდება ხოლმე, ფრანგები ევროპის ჩემპიონები გახდნენ და ყველამ ერთხმად აღიარა — მათზე ღირსეული გუნდი ბებერ კონტინენტს დღეს არ ჰყავსო.

გახსოვთ 80-იანი წლების საფრანგეთის ნაკრები? ტიგანა, ჟირესი, ლიაკომბი... მათი ლაღი, თითქოს ზედმეტად რომანტიკული, მაგრამ ამავე დროს მწყობრი და გათვლილი თამაში. ემოციური და კეთილი მწვრთნელი იდალგო, ფანტასტიკური კაპიტანი მიშელ პლატინი...

1984-ში, იანვრიდან ვიდრე ევროპის ჩემპიონატის გასრულებამდე ფრანგებმა ცხრა თამაში ჩაატარეს და ცხრავე მოიგეს. აქედან ხუთი კონტინენტის პირველობაზე, და ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ტურნირი საფრანგეთში ტარდებოდა.

„ჩვენ მოვიგონეთ მსოფლიოს ჩემპიონატი, ჩემპიონთა თასი, კონტინენტის პირველობა, მაგრამ დღემდე არც ერთში გაგვემარჯვა. ბოლოს და ბოლოს გვეღირსა, ფრანგები ევროპაში საუკეთესოები ვართ“ — წერდა ფინალის მეორე დღეს ჟაკ ფერანი, ცნობილი ფრანგი მიმომხილველი.

ევრო 84-ზე ფრანგებმა ხუთ მატჩში 14 გოლი გაიტანეს, აქედან 9 მიშელ პლატინიმ შეაგდო. ასეთი შედეგიანობა არც მანამდე და არც შემდეგ ევროპის ჩემპიონატებზე არავის უჩვენებია. აკი ამბობდა კიდეც ბელგიელთა მრავლისმნახველი მწვრთნელი გი ტისი: „პლატინი მთავარი მოქმედი პირი გახლდათ. თუ სიმართლე გაინტერესებთ, სწორედ პლატინია ის ფეხბურთელი, რომლის თამაშიც განასხვავებს საფრანგეთის ნაკრებს იმათგან, ვისაც იგი უგებს“.

იდალგოს პლატინის ნათლიმამასაც კი ეძახიან. 1976-ში, როცა ნაკრები ჩაიბარა, მაშინვე მიიწვია უმაღლეს დივიზიონში დაბრუნებული „ნანსის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი. პლატინიმაც თავი არ შეირცხვინა და სადებიუტო მატჩშივე ჩეხოსლოვაკიელთა ნაკრების მეკარე ივო ვიქტორს ულამაზესი საჯარიმო დარტყმა გაუტანა. მერე დაიწყო და დაიწყო...

80-იანი წლების პირველი ნახევარი ხომ მისი ბატონობის ხანა იყო. იმხანად „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ზედიზედ სამჯერ დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად.

მიშელ იდალგო პლატინიზე ამბობდა: „მან ყველაფერი იცის — როგორ

სპორტიელის არქივიდან

1984 წლის 27 ივნისი. ფინალი. საფრანგეთი — ესპანეთი 2:0. პლატინი არც დაცვაში თამაშს გაურბოდა

გაიტანოს, როგორ დაიცვას თავი, როგორ მოიქცეს ურთულეს სიტუაციებში. ის ჩინებულად თამაშობს ფეხებით, მაგრამ მთავარი ღირსება მაინც თავია. პლატინი სხარტად აზროვნებს და როგორც წესი, ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებებს იღებს“.

აი, პლატინის დიდი ფეხბურთელობის კიდევ ერთი დასტური: ევრო 84-ზე გატანილი ცხრა გოლიდან მან თითქმის ყველა სხვადასხვა სიტუაციებში შეაგდო, ხან ერთი ფეხით, ხან მეორეთი, ხან ვარდნაში თავით, ხან სტანდარტული მდგომარეობიდან. ერთი სიტყვით, გაჭქონდა ყველა წერტილიდან, საიდანაც და როგორც შეიძლება გატანა.

ჯგუფურ ეტაპზე ფრანგებს ყველაზე მეტად პირველ მატჩში დანიელებთან გაუჭირდათ. მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მაგრამ დანიელები ოსტატურად იცავდნენ თავს და ის ერთადერთი გოლიც, ალბათ, შემთხვევის ბრალი უფრო თუ იყო, ვიდრე ლოგიკისა.

აი, ნახევარფინალში კი ილადგოს ბიჭებს ფიცხელი ბრძოლა გადახდათ. ტექნიკურმა პორტუგალიელებმა მასპინძლებს დიდი პრობლემები შეუქმნეს. გუნდის ლიდერები „ბენფიკას“ ტანმორჩილი, ულვაშა მარცხენა ნახევარმცველი ფერნანდო შალანა და „სპორტინგის“ შემტევი რუი ჟორდაო გახლდნენ. თითქმის ყველა კომბინაციას პორტუგალიელები შალანასგან იწყებდნენ, ჟორდაო კი, რომელსაც მიხვრა-მოხვრით პელესაც ადარებდნენ, იშვიათი იმპროვიზაციით გამოირჩეოდა.

დრამატულ მატჩს ჯერ ფრანგები იგებდნენ, მერე პორტუგალიელები. დამატებითი დროც დაინიშნა და როცა დამთავრებას წუთიღა უკლდა, ფრანგები ტიგანამ და პლატინიმ გადაარჩინეს. ტიგანამ მოედნის ცენტრიდან საჯარიმომდე დიდი სისწრაფით ირბინა, გზად ორი პორტუგალიელი მოატყუა და ბურთი პლატინის გადასცა, პორტუგალიელთა მეკარე ბენტუ ხელის შეშლას შეეცადა, მაგრამ ამაოდ, ფრანგთა კაპიტნის დარტყმა ზუსტი გამოდგა — 3:2.

27 ივნისის საღამოს, პარიზის „პარკ დე პრენსზე“ იდალგოს ფეხბურთელებს კიდევ ერთი დიდი გამოცდა ელოდათ. ფინალში მათი მოწინააღმდეგე ესპანეთის ერთობ თავმოყვარე ნაკრები იყო, რომელმაც მოქმედი ევროპის ჩემპიონი გფრ ჯგუფში ჩატოვა, ხოლო ნახევარფინალში დანიის უძლიერეს გუნდს მოუგო.

ესპანელებმა მასპინძლებს ხისტი და მჭიდრო თამაში შესთავაზეს. არც პერსონალურ მეურვეობას ერიდებოდნენ: ურკიაგა ლაკომბს მიკვროდა, სენიორი — ჟერესს, ხოლო ესპანეთის ახლანდელი ნაკრების თავკაცი ხოსე ანტონიო კამაჩო პლატინის გასაქანს არ აძლევდა.

საკუთარი კარის უსაფრთხოება ესპანელებმა თითქოს უზრუნველყვეს, მაგრამ შეტევაში ვერაფერს გახდნენ. მათმა საუკეთესო თავდამსხმელმა სანტილიანამ მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დაარტყა ფრანგების კარში.

პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა. მეორეს დაწყებიდან კი თერთმეტი წუთი იყო გასული, როცა დაუღალავი ტიგანას მორიგ გარღვევას ჯარიმა მოჰყვა. ესპანელების მეკარე არკონადა საკმაო ხანს მიუთითებდა მცველებს, ცოცხალი კედელი მართებულად აღემართათ. მერე პლატინიმ ჩვეულად მოჭრილი დაარტყა, არკონადას ადგილი სწორად შეერჩია, მაგრამ უცებ ჩამუხლულს ბურთი ხელებიდან გაუსხლტა, ფეხებში გაუძვრა და ბადეში აღმოჩნდა... დასანანი შეცდომა იყო. არკონადამ მთელი ტურნირი შესანიშნავად ჩაატარა, მაგრამ ფინალში წამით ნერვებმა უმტყუნა.

ფრანგები ზეიმობდნენ. ტრიბუნებზე ტაში არ ცხრებოდა. დამთავრებამდე საკმაო დრო რჩებოდა, მაგრამ ყველა მიმხვდარიყო, ესპანელები თამაშს ვეღარ გადაარჩენდნენ. ასეც მოხდა, ბოლო წუთზე ბრუნო ბელონმა დასვა წერტილი. ფრანგი თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ტექნიკურად ჩაუშვა ბურთი ბადეში — 2:0.

ასე დამთავრდა 1984 წლის ევროპის ჩემპიონატი. ტურნირი, რომელიც თავის წინამორბედ ევრო 80-ზე გაცილებით სანახაობრივი და უხვგოლიანი გამოდგა. ფრანგთა გამარჯვების მთავარ გასაღებს კი გუნდის ნახევარდაცვის მობილურობაში ხედავდნენ. მაშინ გავრცელებული 3-5-2 ტაქტიკური სქემა ყველაზე უკეთ იდალგოს ნაკრებმა გამოიყენა. თუმცა, ნებისმიერ სქემას ხომ პირველ რიგში შემსრულებელი სჭირდება, ფრანგებს კი ასეთები მრავლად ჰყავდათ.

ჩემი მეცხრე გოლი საჯარიმო დარტყმით ფინალში გავიტანე. არკონადა, ესპანელთა ბასკი მეკარეს ბურთის ტრაექტორიამ დააბნია. აი, ბურთი უკვე ბადეში ფართხალებს, თუმცა, ძნელად მოსაგერიებელი სულაც არ იყო. ბოლო წამს კი ბელონს მეორე გოლი გააქვს. საფრანგეთი 2:0-ს იმარჯვებს. ოცნება რეალობად გვექცევა.

...მერე, ხელში ევროპის შესანიშნავი ვერცხლის თასი მიჭირავს და ვგრძნობ, რომ მაყურებლის მუხტი გადმომეცემა. საოცარია, ისინი შეუჩერებლივ უკრავენ ტაშს.

საფრანგეთი ევროპის ჩემპიონი, ანუ მსოფლიოს ნახევარჩემპიონი ხდება. ამ დროს სამხრეთ ამერიკაში ტიტულისთვის პარაგვაის, არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებები იბრძვიან.

...დღეს საღამოს პარიზი ზეიმობს. ათასობით ადამიანი შემოხვევია საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის შენობას. ასიათასობით კი ელისეს მინდვრებს მოსდებია. წინ და უკან დასეირნობენ, მხიარულ საცობებს ქმნიან და ბავშვებივით უხარიათ. გარშემო კი სამფეროვანი დროშების ზღვაა. ადამიანების სიმღერები საცობში გაჭედილი ავტომობილების სიგნალებს ერთვის. ირგვლივ მხიარულებაა...

ვსარგებლობ ხალხმრავლობით და ვცდილობ, შეუმჩნევლად გავიპარო. წარმოგიდგენიათ, საზეიმო ვახშმიდანაც კი მოვახერხე აორთქლება, რომელზეც მთავრობამ ნაკრების ყველა წევრი მიიწვია. ფედერაციის კარი იღება და იქიდან ლაბადანამოსხმული კაცი გამოდის. ნელ-ნელა, ქურდივით მიუყვება შენობის კედელს. ეს მე ვარ. გამიმართლა, იქვე მდგომთაგან ვერავინ შემამჩნია და გაპარვა მოვახერხე. მალე მეუღლე კრისტელი მკიდებს ხელს და ავტომობილისკენ მივყავარ.

ხვალ სოფელში წავალთ, კრისტელის ნათესავებთან. იქ ჩვენს შვილებს სამი ნლის მარინასა და ხუთის ლორანს ვნახავთ. ოთხშაბათს კი „კონკორდში“ ჩავსხდებით: ოჯახი ამერიკაში მიმყავს, დისნეილენდი უნდა ვაჩვენო.

...მახსენდება ჩემი პატარა ბიჭის მოუთმენელი ხმა: მამა, მითხარი, მალე მორჩები ამ ფეხბურთს... შენ სულ ფეხბურთზე ხარ ნასული... აღარ წამიყვან მიკი მაუსის სანახავად?..

მიშელ კლატინი
„ცხოვრება, როგორც მატჩი“



სპორტიელის არქივიდან

1984 წლის 27 ივნისი. ფინალი. საფრანგეთი — ესპანეთი 2:0. 56-ე წუთზე პლატინის საჯარიმო დარტყმა ესპანელთა მეკარე ლუის არკონადას ხელებიდან გაუსხლტა და კარის ბადეში აღმოჩნდა

მიშელ იდალგო

შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

ბელგია — შვეიცარია 3:0; შოტლანდია — გდრ 2:0; შვეიცარია — შოტლანდია 2:0; ბელგია — შოტლანდია 3:2; შოტლანდია — შვეიცარია 2:2; გდრ — ბელგია 1:2; ბელგია — გდრ 2:1; შვეიცარია — გდრ 0:0; შოტლანდია — ბელგია 1:1; გდრ — შვეიცარია 3:0; შვეიცარია — ბელგია 3:1; გდრ — შოტლანდია 2:1

ბელგია	6	4	1	1	12:8	9
შვეიცარია	6	2	2	2	7:9	6
გდრ	6	2	1	3	7:7	5
შოტლანდია	6	1	2	3	8:10	4

II ჯგუფი

ფინეთი — პოლონეთი 2:3; ფინეთი — პორტუგალია 0:2; პორტუგალია — პოლონეთი 2:1; სსრკ — ფინეთი 2:0; პოლონეთი — ფინეთი 1:1; სსრკ — პორტუგალია 5:0; პოლონეთი — სსრკ 1:1; ფინეთი — სსრკ 0:1; პორტუგალია — ფინეთი 5:0; სსრკ — პოლონეთი 2:0; პოლონეთი — პორტუგალია 0:1; პორტუგალია — სსრკ 1:0

პორტუგალია	6	5	0	1	11:6	10
სსრკ	6	4	1	1	11:2	9
პოლონეთი	6	1	2	3	6:9	4
ფინეთი	6	0	1	5	3:14	1

III ჯგუფი

დანია — ინგლისი 2:2; ლუქსემბურგი — საბერძნეთი 0:2; ლუქსემბურგი — დანია 1:2; საბერძნეთი — ინგლისი 0:3; ინგლისი — ლუქსემბურგი 9:0; ლუქსემბურგი — უნგრეთი 2:6; ინგლისი — საბერძნეთი 0:0; უნგრეთი — ლუქსემბურგი 6:2; ინგლისი — უნგრეთი 2:0; დანია — საბერძნეთი 1:0; უნგრეთი — საბერძნეთი 2:3; დანია — უნგრეთი 3:1; ინგლისი — დანია 0:1; უნგრეთი — ინგლისი 0:3; დანია — ლუქსემბურგი 6:0; უნგრეთი — დანია 1:0; საბერძნეთი — დანია 0:2; ლუქსემბურგი — ინგლისი 0:4; საბერძნეთი — უნგრეთი 2:2; საბერძნეთი — ლუქსემბურგი 1:0

დანია	8	6	1	1	17:5	13
ინგლისი	8	5	2	1	23:3	12
საბერძნეთი	8	3	2	3	8:10	8
უნგრეთი	8	3	1	4	18:17	7
ლუქსემბურგი	8	0	0	8	5:36	0

IV ჯგუფი

უელსი — ნორვეგია 1:0; ნორვეგია — იუგოსლავია 3:1; ბულგარეთი — ნორვეგია 2:2; ბულგარეთი — იუგოსლავია 0:1; იუგოსლავია — უელსი 4:4; უელსი — ბულგარეთი 1:0; ნორვეგია — ბულგარეთი 1:2; ნორვეგია — უელსი 0:0; იუგოსლავია — ნორვეგია 2:1; ბულგარეთი — უელსი 1:0; უელსი — იუგოსლავია 1:1; იუგოსლავია — ბულგარეთი 3:2

იუგოსლავია	6	3	2	1	12:11	8
უელსი	6	2	3	1	7:6	7
ბულგარეთი	6	2	1	3	7:8	5
ნორვეგია	6	1	2	3	7:8	4

V ჯგუფი

რუმინეთი — კვიპროსი 3:1; რუმინეთი — შვედეთი 2:0; ჩეხოსლოვაკია — შვედეთი 2:2; იტალია — ჩეხოსლოვაკია 2:2; კვიპროსი — შვედეთი 0:1; იტალია — რუმინეთი 0:0; კვიპროსი — იტალია 1:1; კვიპროსი — ჩეხოსლოვაკია 1:1; რუმინეთი — იტალია 1:0; ჩეხოსლოვაკია — კვიპროსი 6:0; შვედეთი — კვიპროსი 5:0; რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია 0:1; შვედეთი — იტალია 2:0; შვედეთი — რუმინეთი 0:1; შვედეთი — ჩეხოსლოვაკია 1:0; იტალია — შვედეთი 0:3; კვიპროსი — რუმინეთი 0:1; ჩეხოსლოვაკია — იტალია 2:0; ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი 1:1; იტალია — კვიპროსი 3:1

რუმინეთი	8	5	2	1	9:3	12
შვედეთი	8	5	1	2	14:5	11
ჩეხოსლოვაკია	8	3	4	1	15:7	10
იტალია	8	1	3	4	6:12	5
კვიპროსი	8	0	2	6	4:21	2

VI ჯგუფი

ავსტრია — ალბანეთი 5:0; ავსტრია — ჩრდ. ირლანდია 2:0; თურქეთი — ალბანეთი 1:0; ჩრდ. ირლანდია — გფრ 1:0; ავსტრია — თურქეთი 4:0; ალბანეთი — ჩრდ. ირლანდია 0:0; ჩრდ. ირლანდია — თურქეთი 2:1; ალბანეთი — გფრ 1:2; თურქეთი — გფრ 0:3; ავსტრია — გფრ 0:0; ჩრდ. ირლანდია — ალბანეთი 1:0; ალბანეთი — თურქეთი 1:1; ალბანეთი — ავსტრია 1:2; ჩრდ. ირლანდია — ავსტრია 3:1; გფრ — ავსტრია 3:0; თურქეთი — ჩრდ. ირლანდია 1:0; გფრ — თურქეთი 5:1; გფრ — ჩრდ. ირლანდია 0:1; თურქეთი — ავსტრია 3:1; გფრ — ალბანეთი 2:1

გფრ	8	5	1	2	15:5	11
ჩრდ. ირლანდია	8	5	1	2	8:5	11
ავსტრია	8	4	1	3	15:10	9
თურქეთი	8	3	1	4	8:16	7
ალბანეთი	8	0	2	6	4:14	2

VI ჯგუფი

მალტა — ისლანდია 2:1; ისლანდია — ჰოლანდია 1:1; ჰოლანდია — ირლანდია 2:1; ირლანდია — ისლანდია 2:2; ესპანეთი — ისლანდია 1:0; ირლანდია — ესპანეთი 3:3; მალტა — ჰოლანდია 0:6; ესპანეთი — ჰოლანდია 1:0; მალტა — ირლანდია 0:1; ესპანეთი — ირლანდია 2:0; მალტა — ესპანეთი 2:3; ისლანდია — ესპანეთი 0:1; ისლანდია — მალტა 1:0; ჰოლანდია — ისლანდია 3:0; ისლანდია — ირლანდია 0:3; ირლანდია — ჰოლანდია 2:3; ჰოლანდია — ესპანეთი 2:1; ირლანდია — მალტა 8:0; ჰოლანდია — მალტა 5:0; ესპანეთი — მალტა 12:1

ესპანეთი	8	6	1	1	24:8	13
ჰოლანდია	8	6	1	1	22:6	13
ირლანდია	8	4	1	3	20:10	9
ისლანდია	8	1	1	6	3:13	3
მალტა	8	1	0	7	5:37	2

მოგებაზე გუნდებს ერიცხებოდათ 2 ქულა.

ფინალური ტურნირი

A ჯგუფი

საფრანგეთი 1:0 დანია

1:0 პლატინი (78)

საფრანგეთი: ბატსი, ბოსი, ბატისტონი, ლე რუ (დომერგი 60), ამორო, ფერნანდესი, ტიგანა, ჟირესი, პლატინი, ლიაკომბი, ბელონი (ჟენგინი 85)

მწვრთნელი: მიშელ იდალგო

დანია: კვისტი, მ. ოლსენი, ბუსკი, ი. ნილსენი, ბერთელსენი, ლერბიუ, სიმონსენი (ლაურიდსენი 46), ბერგრენი, ელკიაერ-ლარსენი, მ. ლაუდრუპი, არნესენი (ე. ოლსენი 80)

მწვრთნელი: ზეპ პიონტეკი

მსაჯი: ფ. რომი (გფრ)

12.06.84. პარიზი. 47 500 მაყურებელი

გელგია 2:0 იუგოსლავია

1:0 ვანდენბერგი (28), 2:0 გრიუნი (45)

ბელგია: ჰფაფი, გრიუნი, კლისტერსი (ლამბრიხტსი 34), დე გრეეფი, დე ვოლფი, შიფო, ვანდერეიკენი, ვერკოტერენი, კულემანსი, კლასენსი, ვანდენბერგი

მწვრთნელი: გი ტისი

იუგოსლავია: სიმოვიჩი, ჰაჯიბეგიჩი, ზაეცი, კატანეცი, ნ. სტოიკოვიჩი, ბაჟდარევიჩი (დ. სტოიკოვიჩი 60), გუდელი, სუშინი, შუსტერი, ზ. ვუიოვიჩი (ცვეტკოვიჩი 78), ჰალილოვიჩი

მწვრთნელი: თეოდორ ვესელინოვიჩი

13.06.84. ლანსი. 45 000 მაყურებელი

საფრანგეთი 5:0 ბელგია

1:0 პლატინი (3), 2:0 ჟირესი (32), 3:0 ფერნანდესი (44), 4:0, 5:0 პლატინი (75პ, 89)

საფრანგეთი: ბატსი, ბატისტონი, ბოსი, დომერგი, ფერნანდესი, ტიგანა, ჟირესი, პლატინი, ჟენგინი (ტიუსო 79), ლიაკომბი (როშტო 66), სიქსი

მწვრთნელი: მიშელ იდალგო

ბელგია: ჰფაფი, გრიუნი, ლამბრიხტსი, დე გრეეფი, დე ვოლფი, ვანდერეიკენი (ჟოეკი 46), კულემანსი, კლასენსი, ვანდენბერგი

მწვრთნელი: გი ტისი

მსაჯი: რ. ვალენსალი (შოტლანდია)

16.06.84. ნანტი. 52 000 მაყურებელი

დანია 5:0 იუგოსლავია

1:0 არნესენი (7), 2:0 ბერგრენი (16), 3:0 არნესენი (68პ), 4:0 ელკიაერ-ლარსენი (82), 5:0 ლაუდრუპი (84)

დანია: კვისტი, რასმუსენი (სივებაკი 62), ბუსკი, მ. ოლსენი, ნილსენი, ლერბიუ, ბერთელსენი, ბერგრენი, მ. ლაუდრუპი, არნესენი (ლაურიდსენი 82), ელკიაერ-ლარსენი

მწვრთნელი: ზეპ პიონტეკი

იუგოსლავია: ივკოვიჩი, მილუშინი, ნ. სტოიკოვიჩი, კატანეცი (ჰალილოვიჩი 59), რადანოვიჩი, ზაეცი, გუდელი, ბაჟდარევიჩი (დ. სტოიკოვიჩი 24), ცვეტკოვიჩი, სუშინი, ზ. ვუივიჩი

მწვრთნელი: თეოდორ ვესელინოვიჩი

მსაჯი: ა. ლამო კასტილიო (ესპანეთი)

16.06.84. ლიონი. 25 000 მაყურებელი

საფრანგეთი 3:2 იუგოსლავია

0:1 შესტიჩი (32), 1:1, 2:1, 3:1 პლატინი (59, 62, 75), 3:2 დ. სტოიკოვიჩი (82)

საფრანგეთი: ბატსი, ბატისტონი, ბოსი, დომერგი, ფერნანდესი, ტიგანა, ფერერი (ბრავო 78), ჟირესი, პლატინი, როშტო (ტიუსო 46), სიქსი

მწვრთნელი: მიშელ იდალგო

იუგოსლავია: სიმოვიჩი, ნ. სტოიკოვიჩი, ზაეცი, მილუშინი, რადანოვიჩი, შესტიჩი, დ. სტოიკოვიჩი, გუდელი, ბაჟდარევიჩი (კატანეცი 85), სუშინი, ზ. ვუივიჩი (დევერიჩი 60)

მწვრთნელი: თეოდორ ვესელინოვიჩი

მსაჯი: ა. დაინა (შვეიცარია)

19.06.84. სენტ ეტიენი. 47 000 მაყურებელი

დანია 3:2 ბელგია

0:1 კულემანსი (27), 0:2 ვერკოტერენი (38), 1:2 არნესენი (40პ), 2:2 ბრილი (59), 3:2 ელკიაერ-ლარსენი (83)

დანია: კვისტი, რასმუსენი (ბრილი 55), ბუსკი, მ. ოლსენი, ნილსენი, ლერბიუ, ბერთელსენი, ბერგრენი, მ. ლაუდრუპი, არნესენი (სივებაკი 75), ელკიაერ-ლარსენი

მწვრთნელი: ზეპ პიონტეკი

ბელგია: ჰფაფი, გრიუნი, კლისტერსი, დე გრეეფი, დე ვოლფი, ვანდერეიკენი, შიფო, ვერკოტერენი (ვორდეკერსი 62), კულემანსი, კლასენსი (კოეკი 46), ვანდენბერგი

მწვრთნელი: გი ტისი

მსაჯი: ა. პროკოპი (გდრ)

19.06.84. სტრასბური. 40 000 მაყურებელი

საფრანგეთი	3	3	0	0	9:2	6
დანია	*3*	*2*	*0*	*1*	*8:3*	*4*
ბელგია	3	1	0	2	4:8	2
იუგოსლავია	3	0	0	3	2:10	0

B ჯგუფი

გფრ 0:0 პორტუგალია

გფრ: შუმახერი, ბრიგელი, კ. ფიორსტერი, შტილიკე, ბ. ფიორსტერი, როლფი (ბომერი 67), ბრემე, ბუხვალდი (მათეუსი 67), კ. რუმენიგე, ფიოლერი, ალოფსი

მწვრთნელი: იუპ დერვალი

პორტუგალია: ბენტუ, ჟოაო პინტუ, ეურიკო, ლიმა პარეირა, მაგალაეში, შალამა, კარლუშ მანუელი, ფრაშკუ (ველოსო 79), პაჩეკო, ჟორდაო (გომეში 85), სოუზა

მწვრთნელი: ფერნანდო კობრიტა

მსაჯი: რ. იუშკა (სსრკ)

16.06.84. სტრასბური. 47 000 მაყურებელი

რუმინეთი 1:1 ესპანეთი

0:1 კარასკო (21პ), 1:1 ბოლონი (35)

რუმინეთი: ლუნგი, რედნიკი, იორგულესკუ, სტეფანესკუ, უნგურეანუ, კორაში, კლიაინი, ბოლონი, კემეტარუ, დრაგანეა (ციკლიანუ 57), ტაბორი (ჰაჯი 76)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

ესპანეთი: არკონადა, ურკიაგა, მასედა, გოიკოეჩეა, კამაჩო, მუნიოსი, სენიორი, გალიეგო (მორენო 74), გორდილიო, სანტილიანა, კარასკო

მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი

მსაჯი: ა. პონეტი (ბელგია)

16.06.84. სენტ ეტიენი. 20 000 მაყურებელი

გფრ 2:1 რუმინეთი

1:0 ფიოლერი (25), 1:1 კორაში (46), 2:1 ფიოლერი (65)

გფრ: შუმახერი, ბ. ფიორსტერი, კ. ფიორსტერი (ბუხვალდი 79), შტილიკე, ბრიგელი, მათეუსი, მაიერი (ლიტბარსკი 64), ბრემე, კ. რუმენიგე, ფიოლერი, ალოფსი

მწვრთნელი: იუპ დერვალი

რუმინეთი: ლუნგი, უნგურეანუ, სტეფანესკუ, ანდონე, რედნიკი, კლიაინი, ბოლონი, კორაში, დრაგანეა (ციკლიანუ 61), კემეტარუ, ჰაჯი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

მსაჯი: ი. კოზერი (ჰოლანდია)

17.06.64. ლანსი. 25 000 მაყურებელი

პორტუგალია 1:1 ესპანეთი

1:0 სოუზა (52), 1:1 სანტილიანა (73)

პორტუგალია: ბენტუ, ჟოაო პინტუ, ეურიკო, ლიმა პეიერირა, ალვარო, ფრაშკუ (დიამანტინუ 72), კარლუშ მანუელი, პაჩეკო, სოუზა, შალანა, ჟორდაო

მწვრთნელი: ფერნანდო კობრიტა

ესპანეთი: არკონადა, ურკიაგა (სენიორი 79), გოიკოეჩეა, მასედა, კამაჩო, მუნიოსი, გალიეგო, ალბერტო (სარაბია 71), გორდილიო, სანტილიანა, კარასკო

მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი

მსაჯი: მ. ვოტრო (საფრანგეთი)

17.06.84. მარსელი. 20 000 მაყურებელი

ესპანეთი 1:0 გფრ

1:0 მასედა (90)

ესპანეთი: არკონადა, სენიორი, გოიკოეჩეა (სალვა 25), მასედა, კამაჩო, გორდილიო, ალონსო, მორენო (ლოპესი 76), გალიეგო, სანტილიანა, კარასკო

მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი

გფრ: შუმახერი, ბრიგელი, შტილიკე, კ. ფიორსტერი, ბ. ფიორსტერი, მათეუსი, მაიერი (ლიტბარსკი 60), ბრემე (როლფი 75), ალოფსი, ფიოლერი, კ. რუმენიგე

მწვრთნელი: იუპ დერვალი

მსაჯი: ვ. ხრისტოვი (ჩეხოსლოვაკია)

20.06.84. პარიზი. 47 500 მაყურებელი

პორტუგალია 1:0 რუმინეთი

1:0 ნენე (81)

პორტუგალია: ბენტუ ჟოაო პინტუ ეურიკო ლიმა პეიერირა, ალვარო, ფრაშკუ, კარლუშ მანუელი (ნენე 60), სოუზა, შალანა (დიამანტინუ 17), ჟორდაო, გომეში

მწვრთნელი: ფერნანდო კობრიტა

რუმინეთი: მორარუ, უნგურეანუ, სტეფანესკუ, იორგულესკუ, რედნიკი, კლიაინი, ბოლონი, კორაში, ირილესკუ (გაბორი 59), კემეტარუ (აუგუსტინ 33), ნეგრილია

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

მსაჯი: ჰ. ვოლნერი (ავსტრია)

20.06.84. ნანტი. 30 000 მაყურებელი

ესპანეთი	3	1	2	0	3:2	4
პორტუგალია	*3*	*1*	*2*	*0*	*2:1*	*4*
გფრ	3	1	1	1	2:2	3
რუმინეთი	3	0	1	2	2:4	1

ნახევარფინალი

საფრანგეთი 3:2 დ.დ. (1:1) პორტუგალია

1:0 დომერგი (24), 1:1, 1:2 ჟორდაო (74, 97), 2:2 დომერგი (114), 3:2 პლატინი (119)

საფრანგეთი: ბატსი, ბატისტონი, ბოსი, ლე რუ, დომერგი, ფერნანდესი, ჟირესი, პლატინი, ტიგანა, ლიაკომბი (ფერერი 67), სიქსი (ბელონი 111)

მწვრთნელი: მიშელ იდალგო

პორტუგალია: ბენტუ, ჟოაო პინტუ, ლიმა პეიერირა, ეურიკო, ალვარო, პაჩეკო, ფრაშკუ, სოუზა (ნენე 63), შალანა, ჟორდაო, დიამანტინუ (გომეში 46)

მწვრთნელი: ფერნანდო კობრიტა

მსაჯი: ჰ. ბერგამო (იტალია)

23.06.84. მარსელი. 54 748 მაყურებელი

ესპანეთი 1:1 (პენ.5:4) დანია

0:1 ლერბიუ (6), 1:1 მასედა (67)

პენალტები:

0:1 ბრილი, 1:1 სანტილიანა, 1:2 ე. ოლსენი, 2:2 სენიორი, 2:3 ლაუდრუპი, 3:3 ურკიაგა, 3:4 ლერბიუ, 4:4 მუნიოსი, 4:4 ელკიაერ-ლარსენი (აუცილა), 5:4 სარაბია

ესპანეთი: არკონადა, სენიორი, სალვა (ურკიაგა 103), მასედა, კამაჩო, გორდილიო, მუნიოსი, მორენო (სარაბია 60), გალიეგო, სანტილიანა, კარასკო

მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი

დანია: კვისტი, სივებაკი, ბუსკი, მ. ოლსენი (ბრილი 114), ი. ნილსენი, ბერთელსენი, არნესენი (ე. ოლსენი 68), ბერგრენი, ლერბიუ, მ. ლაუდრუპი, ელკიაერ-ლარსენი

მწვრთნელი: ზეპ პიონტეკი

მსაჯი: დ. კურტნეი (ინგლისი)

24.06.84. ლიონი. 50 000 მაყურებელი

ფინალი

საფრანგეთი 2:0 ესპანეთი

1:0 პლატინი (56), 2:0 ბელონი (90)

საფრანგეთი: ბატსი, ბატისტონი (ამორო 73), ლე რუ, ბოსი, დომერგი, ტიგანა, ჟირესი, ფერნანდესი, ლიაკომბი (ჟენგინი 80), პლატინი, ბელონი

მწვრთნელი: მიშელ იდალგო

ესპანეთი: არკონადა, კამაჩო, გალიეგო, სალვა (რობერტო 85), ურკიაგა, მუნიოსი, სენიორი, ალბერტო (სარაბია 77), ლოპესი, სანტილიანა, კარასკო

მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი

მსაჯი: ვ. ხრისტოვი (ჩეხოსლოვაკია)

27.06.84. პარიზი. 47 200 მაყურებელი

ფინალური ტურნირი ჩატარდა საფრანგეთში.

ევროპის 1984 წლის ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები. მარცხნიდან დგანან: ამორო, ლე რუ, ბატისტონი, ბოსი, ბატსი, ფერნანდესი; სხედან: ბელონი, ლიაკომბი, ჟირესი, პლატინი, ტიგანა

სარბიელის არქივიდან

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. 29-ე ტური			
12 აპრილი			
005 არმინია-ჰამბურგი	4,4	3,0	1,75
006 მიუნხენ 1860-დუისბურგი	1,4	3,8	7,0
007 მიუნხენ 1860-დუისბურგი 0:1	2,0	3,0	2,4
008 აინტრახტი-ვერდერი	2,4	2,9	2,8
009 ფრაიბურგი-ბაიერნი	4,4	3,2	1,7
010 ჰანზა-ლევერკუზენი	3,8	3,0	1,9
ინგლისი. პრემიერლიგა			
12 აპრილი			
011 ჩელსი-ქოვენთრი	1,4	3,8	7,0
012 ჩელსი-ქოვენთრი 0:1	2,0	3,0	2,4
013 ვესტ ჰემი-ნიუკასლი	2,3	2,9	3,0
014 უიმბლდონი-უენსდი	1,7	3,2	4,4
საფრანგეთი. II დივიზიონი			
12 აპრილი			
017 ნიმი-კაენი	2,2	2,9	3,2
ჰოლანდია			
12 აპრილი			
018 დენ ბოსხი-აიაქსი	4,4	3,4	1,65
შოტლანდია			
12 აპრილი			
019 კილმარნოკი-აბერდინი	2,2	3,1	3,0
020 ჰართსი-რეინჯერსი	4,4	3,0	1,75
საბერძნეთი. 27-ე ტური			
12 აპრილი			
023 აპოლონი-პანიონიოსი	2,9	3,0	2,3
024 ოლიმპიაკოსი-ირაკლისი	1,3	4,4	8,0
025 ოლიმპიაკოსი-ირაკლისი 0:1	1,8	3,3	2,8
026 იონიკოსი-ეთნიკოსი	1,7	3,1	4,7
027 ტრიკალა-პანაჰაიკი	2,3	2,9	3,0
028 აეკ-ქსანთი	1,5	3,5	6,0
029 პაოკ-ოფი	2,3	2,8	3,1
030 არისი-პანათინაიკოსი	4,0	2,9	1,9
საფრანგეთი. თასის 1/2 ფინალი			
12 აპრილი			
031 მონაკო-ნანტი	1,4	3,8	7,0
032 კალაისი-ბორდო (ლანსში)	6,5	4,0	1,4
იტალია. თასის ფინალი. I მატჩი			
12 აპრილი			
033 ლაციო-ინტერი	2,1	2,9	3,4
ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები			
12 აპრილი			
034 ატლეტიკო-ბარსელონა	3,1	3,0	2,2
035 რეალი-ესპანიოლი	1,3	4,4	8,0
პორტუგალია. თასის 1/2 ფინალი			
12 აპრილი			
036 მორეირენსე-სპორტინგი	7,5	4,0	1,35
037 პორტუ-რიუ ავე	1,15	6,0	12,0
ჰოლანდია. თასის 1/2 ფინალი			
11 აპრილი			
038 ალკმაარი-ნაიმეგენი	1,4	3,8	7,0
12 აპრილი			
039 ვიტესი-როდა	1,8	3,0	4,2
ბელგია. თასის 1/2 ფინალი			
12 აპრილი			
041 გენკი-სენტ ტრუიდენი	1,65	3,4	4,4
ჩეხეთი. თასის 1/4 ფინალი			
12 აპრილი			
043 სიგმა-ვიკტორია	1,7	3,3	4,2
044 ლიბერეცი-სლავია	4,7	3,5	1,6
თურქეთი. თასი (ნეიტრალურზე)			
12 აპრილი			
046 გალათასარაი-ანთალია	5	4,0	7,5
დანია. თასი			
12 აპრილი			
047 ფკ ორჰუსი-ბრიონდბიუ	8,0	4,4	1,3
048 ესბიერგი-ოლბორგი	2,5	3,2	2,4
049 კოპენჰაგენი-აკადემისკი	2,4	3,0	2,7
050 ლიუნგბიუ-ვიბორგი	1,8	3,2	3,8
რუსეთი. თასის 1/4 ფინალი			
12 აპრილი			
052 ურალანი-დინამო	3,6	3,1	1,9
შვეიცარია. თასის 1/4 ფინალი			
12 აპრილი			
055 ლუცერნი-სერვეტი	2,4	2,9	2,8
056 ლოზანა-ბაზელი	2,0	3,0	3,5
კალათბურთი			
12 აპრილი			
807 ბოსტონი-ორლანდო			
808 ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი			
809 ფილადელფია-ვაშინგტონი			
810 შარლოტი-ატლანტა			
811 კლივლენდი-მილუოკი			
812 დეტროიტი-მაიამი			
813 ინდიანა-ტორონტო			
814 იუტა-კლიპერსი			
815 ფინიქსი-ვანკუვერი			
816 სიეტლი-მინესოტა			
13 აპრილი			
817 ჩიკაგო-ვაშინგტონი			
818 ჰიუსტონი-დალასი			
819 სან ანტონიო-პორტლენდი			
820 საკრამენტო-გოლდენ სტეიტი			
ჰოკეი. 1/8 ფინალი			
12 აპრილი			
821 ტორონტო-ოტავა	1,6	4,0	2,7
822 სენტ ლუისი-სან ხოსე	1,35	4,0	3,6
823 დალასი-ედმონტონი	1,45	4,0	3,2
13 აპრილი			
824 ფილადელფია-ბუფალო	1,35	4,0	3,6
825 ვაშინგტონი-პიტსბურგი	1,7	4,0	2,4
826 ნიუ ჯერსი-ფლორიდა	1,4	4,0	3,4
827 დალასი-ედმონტონი	1,45	4,0	3,2
828 კოლორადო-ფინიქსი	1,7	4,0	2,4
829 დეტროიტი-ლოს ანჯელესი	1,45	4,0	3,2

კალათბურთის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპრტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

სლოვენია

ქართველები პლეი ოფში... ჯერ არაოფიციალურად

ექვსეულის IX ტური

სლოვანი 81:66 ტრიგლავი

სლოვანი: ნოვაკი (7), ლაკოვიჩი (12), ჟაკელი (3), **უგრეხელიძე** (1), **ჯურკოვიჩი** (11), კოვაჩი (2), პავიჩი (12), **ბოისა** (8), მარავიჩი (18), შუშტარშიჩი (5), **ცძიტიშვილი** (2)

ტრიგლავი: ლოიკი (3), დრობნიაკი, სტავროვი, ერჟენი (8), კრეიჩი (14), პრიმეცი (2), რუჩიგაი (17), ზაგორაცი (19), ტრპანი (3)

ოფიციალურად არ გაფორმებულა, თორემ ლიუბლიანის „სლოვანი" სლოვენიის ჩემპიონატის პლეი ოფში გავიდა. არსებობს გუნდის პლეი ოფს მიღმა დარჩენის მიზერულზე მიზერული შანსიც, თუმცა რამდენად შეუძლიათ მისი გამოყენება „სლოვანის" მდევრებს, ერთად განვსაჯოთ.

„სლოვანმა" ამ სეზონში მეოთხედაც მოუგო კრანის „ტრიგლავს" და მასთან თანაბარქულიანობის შემთხვევაში მაინც უფრო წინ აღმოჩნდება. პოლზელას „სავინსკი" სამი მოგებით ჩამორჩება „სლოვანს". თუკი „სავინსკი" სამივე დარჩენილ მატჩს მოიგებს („სლოვანთან", „ტრიგლავთან", „ოლიმპიასთან") და „სლოვანი" ორივე დარჩენილს წააგებს („სავინსკისთან", „კრკასთან"), მაშინ გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა უგროვდებათ და პლეი ოფში „სავინსკი" გავა, რადგან ამ სეზონში ოთხიდან სამჯერ ეყოლება „სლოვანი" დამარცხებული. ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ თითქმის წარმოუდგენელია, რომ „სავინსკიმ" მოუგოს „ოლიმპიას". სლოვენიური კალათბურთის ფლაგმანს მოგება რომ არ სჭირდებოდეს, კიდევ იფიქრებდა კაცი რამეს, მაგრამ „ოლიმპიას" თავისი გასაჭირი აქვს — რეგულარულ ჩემპიონატში „პივოვარნა" უსწრებს, რომელსაც ბოლო ტურში ხვდება. ამდენად, „სავინსკისთან" მარცხი „ოლიმპიას" მეორე ადგილზე გაიყვანს, რაც პლეი ოფში „კრკასთან" შეხვედრას ნიშნავს. ცხადია, „ოლიმპიას" ურჩევნია „კრკასთან" შედარებით სუსტ „სლოვანს" დაეჭიდოს.

ერთი სიტყვით, „სლოვანი", პრაქტიკულად, პლეი ოფშია, თუმცა, ჯერ არაოფიციალურად...

„სლოვანი"-„ტრიგლავი" ექვსეულის მეცხრე ტურში უნდა გამართულიყო, მაგრამ გუნდებმა მოილაპარაკეს და სლოვენიის კალათბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით მატჩი დათქმულზე ადრე გამართეს. „სლოვანს" დიდი ჯაფა არ დადგომია. მან მეოთხედ და ამ სეზონში საბოლოოდ დაამარცხა მეტოქე და პლეი ოფში გასვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

ქართველთაგან ყველაზე დიდხანს, 28 წუთი, ვლადიმერ ბოისამ ითამაშა. მან ცხრიდან ოთხი სროლა ჩააგდო, სამი მოხსნა და ერთი ჩაჭრა გააკეთა. ნიკა ცქიტიშვილმა ცხრა წუთი დაჰყო მოედანზე და ორ ქულას და ერთ მოხსნას დასჯერდა. დავით უგრეხელიძემ კი ოთხი წუთის განმავლობაში ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა.

დღეს „სლოვანი" პოლზელაში „სავინსკის" შეხვდება. ამ მატჩში ლიუბლიანელთა შორის არ იქნებიან ნიკა ცქიტიშვილი და დავით უგრეხელიძე, რომლებიც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში საფრანგეთში იმყოფებიან. მათთან ერთადაა „სლოვანის" კიდევ ერთი ქართველი, ფორვარდი ირაკლი კეიდია.

პივოვარნა	29	27	2	2580:2116	56
ოლიმპია	29	26	3	2542:1820	55
კრკა	29	21	8	2310:2080	50
სლოვანი	30	15	15	2196:2208	45
ტრიგლავი	30	13	17	2192:2377	43
სავინსკი	29	12	17	2286:2334	41

თასის გათამაშება

ნახევარფინალი

ოლიმპია 84:57 ლოკა კავა

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (19), გოლემაცი (14), დუშრაკი (7), ზადრავეცი (4), ბრეეეცი (4), ზდოვცი (7), კოტნიკი (14), იასიკევიჩუსი (7), პარავინია (6), მოდრიჩი (2)

ლოკა კავა: ივანოვიჩი (2), დონჩიჩი (24), ცერანია, ბოშნიაკი (15), შუბიჩი (5), ლესიაკი (4), კარნიჩარი (7)

პივოვარნა 89:69 კრკა

პივოვარნა: იურაკი (18), მილეტიჩი (4), ლისიცა (9), გოლიოვიჩი (18), ჰაფნარი (9), ჟარკოვიჩი, დრაგშიჩი (10), ტილინგერი, კუნცი (10), ნახბარი (11)

კრკა: დრაჟოვიჩი, იევტოვიჩი (10), პეტროვი (21), სმოდიში (14), ვისკოვიჩი, გრუმი, დრობნიაკი (9), სტაეიჩი, შრეკიჩი (3), ნაკიჩი (12)

ფინალი

ოლიმპია 71:70 პივოვარნა

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (13), გოლემაცი (3), ბრეეეცი (2), ზდოვცი (18), კოტნიკი (8), მილიჩი (9), იასიკევიჩუსი (14), პარავინია, მოდრიჩი (4)

პივოვარნა: იურაკი (4), მილეტიჩი (7), ლისიცა (13), გოლიოვიჩი (20), ჰაფნარი (11), დრაგშიჩი (4), კუნცი (2), ნახბარი (9)

მესამე ადგილისთვის

კრკა 78:67 ლოკა კავა

კრკა: პეტროვი (17), სმოდიში (16), იევტოვიჩი (14), ნაკიჩი (11), დრობნიაკი (10), გრუმი (6), დრაჟოვიჩი (2), შრეკიჩი (2)

ლოკა კავა: ცერანია (18), ივანოვიჩი (16), დონჩიჩი (15), ბოშნიაკი (11), კარნიჩარი (7)

უძვირფასესი მოთამაშე: შარუნას იასიკევიჩუსი (ოლიმპია)

სიმბოლური ხუთეული: შარუნას იასიკევიჩუსი (ოლიმპია), იურე ზდოვცი (ოლიმპია), მილან გოლიოვიჩი (პივოვარნა), მატიაჟ სმოდიში (კრკა), სლავკო კოტნიკი (ოლიმპია)

VECER ლაშოდან

ოლიმპია — პივოვარნა. ოლიმპიელი სანი ბეჩიროვიჩი (თეთრ ფორმაში) პივოვარნელთა გარემოცვაში

იტალია

XXX ტური

სკავოლინი — კინდერი 64:71, ტრიესტი — ბენეტონი 92:82, ფორტიტუდო — ადეკო 90:62, მიულერი — აეროპორტი 86:85, სიენა — პეპსი 74:72, რეჯანა — კანტუ 97:80, იმოლა — ძუკეტი 75:69, ვარეზე — ვიოლა 83:79

ფორტიტუდო	30	27	3	2379:2060	57
კინდერი	30	21	9	2275:2031	51
ბენეტონი	30	21	9	2342:2157	51
სკავოლინი	30	18	12	2324:2233	48
ძუკეტი	30	18	12	2260:2230	48
აეროპორტი	30	17	13	2204:2219	47
სიენა	30	15	15	2089:2068	45
იმოლა	30	15	15	2476:2472	45
ვიოლა	30	15	15	2251:2309	45
ვარეზე	30	13	17	2270:2277	43
ტრიესტი	30	12	18	2218:2211	42
მიულერი	30	11	19	2212:2332	41
პეპსი	30	10	20	2145:2270	40
ადეკო	30	10	20	2117:2333	40
კანტუ	30	10	20	2137:2370	40
რეჯანა	30	7	23	2259:2386	37

ამით იტალიის რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა. პლეი ოფში 14 გუნდი გააგრძელებს ასპარეზობას. „ფორტიტუდო" და „კინდერი" პლეი ოფის პირველი წრიდან თავისუფლები არიან. მათი სამეოთხედფინალო მეტოქეები, შესაბამისად, „სიენა"-„იმოლას" და „ვიოლა"-„ვარეზეს" წყვილებში გამარჯვებულები იქნებიან.

პლეი ოფის პირველ წრეში ითამაშებენ:

სიენა — იმოლა

ძუკეტი — მიულერი

სკავოლინი — ადეკო

ბენეტონი — პეპსი

აეროპორტი — ტრიესტი

ვიოლა — ვარეზე

პლეი ოფის პირველი წრის მატჩები გაიმართება 13, 16 და თუ საჭირო გახდა, 19 აპრილს.

ესპანეთი

XXXII ტური

კასერესი — კანტაბრია 66:58, ხიხონი — ბრეოგანი 60:61, ლეონი — ესტუდიანტესი 80:68, უნიკახა — ტდკ 100:83, პამესა — ფორუმი 85:76, ხირონა — კანარიასი 88:60, რეალი — ბარსელონა 63:72, ფუენლაბრადა — ტაუ 81:91, ბადალონა — კახა სან ფერნანდო 67:64

ბარსელონა	32	24	8	2379:2097	56
სან ფერნანდო	32	22	10	2299:2166	54
რეალი	32	21	11	2425:2218	53
ტაუ	32	21	11	2539:2336	53
ესტუდიანტესი	32	21	11	2351:2242	53
პამესა	32	20	12	2573:2386	52
უნიკახა	32	19	13	2283:2221	51
კანარიასი	32	17	15	2298:2356	49
კასერესი	32	16	16	2318:2344	48
ხირონა	32	15	17	2366:2296	47
ბადალონა	32	14	18	2486:2516	46
ბრეოგანი	32	14	18	2297:2379	46
ფორუმი	32	13	19	2177:2312	45
კანტაბრია	32	11	21	2208:2452	43
ფუენლაბრადა	32	10	22	2326:2417	42
ტდკ	32	10	22	2176:2331	42
ლეონი	32	10	22	2169:2361	42
ხიხონი	32	10	22	2171:2411	42

ფასულასი გადეპუტატდა



პანაიოტის ფასულასი

ბერძნული კალათბურთის ცოცხალმა ლეგენდამ ორშაბათიდან ახალი ცხოვრება დაიწყო. საბერძნეთში კვირას საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. მეორე დღეს, ხმების შეჯამების შემდეგ, გაირკვა, რომ ქალაქ პირეოსის პირველ საარჩევნო ოლქში დეპუტატის მანდატს დაეუფლა პანაიოტის ფასულასი.

პანაიოტის ფასულასი, ისევე როგორც ნიკოს გალისი და პანაიოტის იანაკისი, ის ბურჯია, რომელზეც დაფუძნდა, განვითარდა და აყვავდა ბერძნული კალათბურთი. საბერძნეთის ნაკრებისა და პირეოსის „ოლიმპიაკოსის" უცვლელ ცენტრს მოუგია ევროპის ჩემპიონატი, ევროლიგა, კონტინენტის პრიზიორიც ყოფილა... საბერძნეთის ჩემპიონის და თასის მფლობელის ტიტულებს ხომ თვლა არა აქვს...

ფასულასმა კალათბურთს შარშან დაანება თავი და დიდი სპორტიდან დიდი ზარ-ზეიმით გააცილეს.

მოედანზე გამარჯვებას მიჩვეულმა ფასულასმა არჩევნებზეც პირველსავე ტურში გაიმარჯვა. მან ახლოსაც არ გაიკარა კონკურენტები და 30 ათასზე მეტი ამომრჩევლის მხარდაჭერა მიიღო. ფასულასი საბერძნეთის სოციალისტური პარტიის წევრია. არჩევნების შედეგად ამ პარტიამ პარლამენტში მანდატების უმრავლესობა დაისაკუთრა.

სავარაუდოდ, ფასულასზე მაღალი პარლამენტარი მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება — მისი სიმაღლე ხომ 213 სანტიმეტრია.

თუკი ფასულასის პოლიტიკური კარიერა მისსავე სპორტულ კარიერას დაემსგავსება, მაშინ მსოფლიოს არა მარტო ტანმაღალი, არამედ მაღალი დონის პოლიტიკოსი ეყოლება.

ამბობენ, ფასულასს უკვე შესთავაზეს თანამდებობები. ერთნი მას საბერძნეთის სპორტის მინისტრის პორტფელს უმზადებენ, მეორენი კი — ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობას.

ევროლიგა. «ოთხთა ფინალი». 18-20 აპრილი. სალონიკი

პანათინაიკოსი საბილეთო ბრძოლის ველზე

ევროლიგის „ოთხთა ფინალის" ბილეთებზე დიდი ,ამბავია ატეხილი. სალონიკის დარბაზი, რომელიც პაოკ-ს ეკუთვნის, 8 ათას მაყურებელს იტევს. „ოთხთა ფინალის" მონაწილე კლუბებმა კი იმხელა მოთხოვნები წამოაყენეს...

ორი დღის წინ ათენის „პანათინაიკოსის" მფლობელმა პავლოს იანაკოპულოსმა განაცხადა, რომ კლუბმა გულშემატკივრებისგან 38 ათასი ბილეთის შეკვეთა მიიღო. იანაკოპულოსმა დასძინა: „ბილეთს ყველას ვერ მივცემთ. მესმის, რომ პაოკ-ის დარბაზი პატარაა, მაგრამ თამაშები საფეხბურთო სტადიონზეც რომ გაიმართოს, ვიღაცა მაინც დარჩება უბილეთოდ. საორგანიზაციო კომიტეტს ვთხოვ, რომ 1200 ბილეთი გამოგვიყოს".

საორგანიზაციო კომიტეტმა გაითვალისწინა „პანათინაიკოსის" ინტერესი და მას 2 ათასი ბილეთი უბოძა. გულშემატკივრებს ეს ეცოტავათ. მათი ათი წარმომადგენელი ათენში საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციას (ტურნირის ორგანიზატორს) მიადგა და პრეზიდენტ გიორგოს ვასილაკოპულოსთან შეხვედრა მოითხოვა. გულშემატკივრები კაბინეტში მიიწვიეს, სადაც მათ პრეზიდენტის ნაცვლად... 50 პოლიციელი დახვდა, რომელთაც შენობის დაცლა მოითხოვეს.

ამ ამბავმა გააცოფა „პანათინაიკოსის" მფლობელი. „ჩემი გუნდი საერთოდ არ მიიღებს მონაწილეობას „ოთხთა ფინალში". ადგეს ფედერაცია და ჩვენი ბილეთები ისროელელ და თურქ ქომაგებს მისცეს" — ცხარობდა პავლოს იანაკოპულოსი. მერე „პანათინაიკოსი" მოლბა და „სულ რაღაც" 4 500 ბილეთი მოითხოვა. ფედერაცია ჯერჯერობით დუმს.

ამასობაში ხმა ამოიღო თელ ავივის „მაკაბის" პრეზიდენტმა შიმონ მიზრახიმ. მან შესთავაზა ფიბა-ს და საორგანიზაციო კომიტეტს: თითო კლუბს თავ-თავის თამაშზე 3 500 ბილეთი უბოძეთ და გასაღება ჩვენზე იყოსო. მიზრახის პასუხი ჯერ არ აღირსეს.

სტამბოლის „ეფესს" ორი ათასმა გულშემატკივარმა მიმართა. თურქი ფანების უმრავლესობა სტამბოლიდან ართუ დაშორებულ სალონიკში თავისით ჩასვლას და ბილეთების ადგილზე მოხელთებას აპირებს. მიზეზი მარტივია: „ეფესისთვის" გამოყოფილ ბილეთებს პატრონები უკვე ჰყავთ.

„ბარსელონას" კუთვნილ ბილეთებს იქაური ტურისტული სააგენტოები ავრცელებენ. გუშინ, გაყიდვის პირველ დღეს, სულ 80 ბილეთი გასაღდა. სააგენტოები შეშფოთდნენ, ემანდ, ბილეთები ოხრად არ დაგვრჩესო. თუმცა ამის საშიშროება უკვე აღარ არსებობს: „პანათინაიკოსი" უკვე დაუკავშირდა „ბარსელონას" და თხოვა, გაუსაღებელი ბილეთები მე დამითმეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

იუინგის სიტყვა ბევჭედია!

10 აპრილი

ლეიკერსი 106:103 სიეტლი

(ძირითადი დრო 94:94)

ლეიკერსი: შარპერი (6), ბრაიანტი (33 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), რაისი (28), გრინი (3), სილი (8); ფოქსი (7), ჯორჯი (6), შოუ (6), ჰორი (4), ფიშერი (3), ნაითი (2)

სიეტლი: პეიტონი (22 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), ბერი (5), პატერსონი (12), ბეიკერი (3), გრანტი (12); ვილიამსი (28), ბორელი (10), მაკკოი (8), ლუისი (3) მაქსველი

საკმარისი გახდა შაკილ ონილის არყოფნა და „ლეიკერსის“ უძლეველობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა, მაგრამ პლეი ოფში მოხვედრით გამოწვეულ ეიფორიაში მყოფი „სიეტლ სუპერსონიქსი“ მაინც ვერ აღმოჩნდა იმ დონეზე, უშაკილო „ლეიკერსისთვის“ გამარჯვება დაეცინცლა. მთელი სეზონის განმავლობაში ნაწვალებ-ნაჯაფარი „სიეტლი“ პლეი ოფში მოხვედრის შემდეგ სულ მოეშვა. გახშირდა შემთხვევები, როცა ცალკეული კალათბურთელები ან სულაც მთლიანად გუნდი თამაშებს აგდებენ, მეტოქეებმა კი სწორედ ახლა მოინდომეს და ვოვა სტეფანიას გუნდიც წარამარა აგებს.

„ჩვენ საკუთარ თავთან წავაგეთ — ამბობდა მატჩის შემდეგ სტუმართა ცენტრი ჰორას გრანტი — ვერ შევძელით შესაბამისი განწყობით შეგხვედროდით მეტოქეს“. გრანტი მართალია, ამ დღეს მის თანაგუნდელებთან ყველა ვერ აღმოჩნდა მოწოდების დონეზე. მათ შორის, ვინც თამაში ჩაფლავა, განსაკუთრებით აღსანიშნაცია ვინ ბეიკერი. სტუმრებს დიდი იმედი ჰქონდათ, ონილის არყოფნაში თავისი გაბარიტების წყალობით ფარის ბატონ-პატრონი შეიქნება და ჩვენს ფეხმარდ უკანახაზელებს ჯაფას შეუმსუბუქებსო. ბეიკერს კი ასე ცუდად მთელი სეზონის განმავლობაში არ უთამაშია. მან უკვე შეხვედრის მეექვსე წუთზე მიიღო მესამე პერსონალური და პირველი ტაიმის დარჩენილი დრო სათადარიგოთა სკამზე გაატარა. იგი კვლავ გამოჩნდა მეორე ტაიმში და თოთხმეტი წუთის განმავლობაში კიდევ სამი პერსონალურის მიღება მოასწრო. საბოლოოდ, იგი მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე სანახევარი წუთით ადრე გავარდა, როცა მის ანგარიშზე სულ სამი ქულა იყო. ერთი სიტყვით, როცა ეს ზორბა კაცი მოედანზე გამოჩნდებოდა, ფაქტიურად მეტოქე გუნდს უადვილებდა საქმეს.

„სიეტლი“ კი მაინც თავისას ლამობდა. სტუმრები განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში გამოცოცხლდნენ, როცა 13-ქულიანი სხვაობის დაძლევა მოუხდათ. ბეიკერისა არ იყოს, ჩაფლავდა პეიტონის მეწყვილე უკანახაზში ბრენტ ბერი. სტუმართა ბედად, იმ დღეს შემონდ ვილიამსმა გამოიდო თავი. მან ბურთის გათამაშება ითავა, პეიტონმა კი მსროლელის პოზიციაზე გადაინაცვლა. ამ დუეტმა იმდენი მოახერხა, სხვაობა გააბათილა და მეოთხედის დამთავრებამდე წინაც გავიდა. და როცა სტუმრებმა თავი ქუდში დაიგულეს, ლეიკერსელმა გლენ რაისმა მატჩის დასრულებამდე 1,4 წამით ადრე შორეული ორიანით 94:94 გახადა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამბალი გამოდგა დამატებითი ხუთი წუთი. აქ კობი ბრაიანტმა და გლენ რაისმა რვა ქულა მიითვალეს და თავისიანები 104:100 დააწინაურეს. შემონდ ვილიამსმა, რომელმაც კარიერაში ყველაზე 28 ქულიდან, მეოთხე მეოთხედში 17 მიითვალა, ერთხელაც ივარგა, ამ თამაშში თავისი მეხუთე და საბოლოო სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. მაგრამ იყოჩაღა მასპინძელმა ეი სი გრინმა — პირველი ბურთი ჩააგდო თამაშიდან და ანგარიშსაც წერტილი დაუსვა. „სიეტლს“ კიდევ რჩებოდა ოთხი წამი, მაგრამ ვერნონ მაქსველმა რგოლსაც კი ვერ გაარტყა. „სიეტლმა“ ზედიზედ მესამედ, ბოლო ათ თამაშში კი მერვედ წააგო.

იუტა 86:90 პორტლენდი

იუტა: მელოუნი (29 ქულა, 14 მოხსნა), სტროტმონი (18), რასელი (18)

პორტლენდი: გრანტი (16), სმიტი (16)

ნიუ იორკი 83:81 ინდიანა

ნიუ იორკი: იუინგი (20 ქულა, 10 მოხსნა), სპრიუელი (20)

ინდიანა: ჯეკსონი (13)

მინესოტა 102:100 დეტროიტი

სინესოტა: გარნეტი (25), ბრენდონი (16)

დეტროიტი: ჰილი (36)

მილუოკი 104:87 ორლანდო

მილუოკი: ალენი (33), კასელი (18)

ორლანდო: არმსტრონგი (13)

ვაშინგტონი 105:107 შარლოტი

ვაშინგტონი: რიჩმონდი (21), ჰამილტონი (19)

შარლოტი: ჯონსი (26), ვესლი (21), მეიერსონი (19 ქულა, 9 პასი, 9 მოხსნა)

ტორონტო 112:103 კლივლენდი

ტორონტო: კარტერი (31 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), მაკგრეიდი (27)

კლივლენდი: კემპი (22), სურა (19)

ფილადელფია 96:80 მაიამი

ფილადელფია: აივერსონი (33)

მაიამი: მაშბურნი (16)

ბოსტონი 99:94 ატლანტა

ბოსტონი: უოლკერი (34), ანდერსონი (24)

ატლანტა: ჯეკსონი (27 ქულა, 10 მოხსნა)

დასავლეთის კონფერენციაში „ლეიკერსის“ შემდეგ ყველაზე მეტი გამარჯვება „პორტლენდს“ აქვს, მაგრამ მეორე ნომრად მაინც ვერ განითესება, რადგან „იუტამ“, როგორც დივიზიონის გამარჯვებულმა, ეს ადგილი დაიბევა. შარშან ეს გუნდები პლეი ოფის მეორე წრეში შეხვდნენ და მაშინ გამარჯვებული „პორტლენდი“ გამოვიდა. ამჯერადაც შეიძლება ამ ეტაპზე შეეჯახნენ ერთმანეთს, ცხადია, თუ პირველი წრე წარმატებით გაიარეს. მათ შორის შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩევა. ასე იყო ახლაც. სტუმრები უფრო მძლავრობდნენ, „ჯაზი“ უკვე მესამე მეოთხედში ჩემორჩა მეტოქეს 16 ქულით, მაგრამ „იუტა“ რის „იუტა“ იქნებოდა, ასეთ მარცხს შეჰგუებოდა. მელოუნმა, სტოქტონმა და სხვებმა საქმეს საფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი და მალე სხვაობიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. ცოტაც და ახლა „პორტლენდი“ აღმოჩნდებ[illegible]ა მდევრის როლში, მაგრამ სტი[illegible]ეიტმა და გრეგ ენტონიმ მოიწადი[illegible]ეხვედრის ბოლო წუთზე ორი სა[illegible]ულიანით მატჩის ბედი გადაწყვიტეს. „ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდებოდა ასეთი თამაში და გამარჯვება — თქვა მატჩის შემდეგ სტუმართა თავკაცმა მაიკ დანლივიმ — ბიჭები თანდათან იბრუნებენ საკუთარ თავის რწმენას და ვიმედოვნებ, პლეი ოფს საუკეთესო ფორმაში შეეხვდებით“.



ნიუ იორკი — ინდიანა. ნიუიორკელები პატრიკ იუინგი (ბურთით) და კრის ჩაილდსი მატჩის დამთავრებისას

REUTERS ნიუ იორკიდან

როგორც მოსალოდნელი იყო, ასევე საინტერესო გამოდგა აღმოსავლელ ბობოლათა — „ნიუ იორკისა“ და „ინდიანას“ შერკინება. წინა მატჩში მოსისხლე „მაიამისგან“ ერთი ქულით ძლეულ „ნიუ იორკს“ „მედისონ სკვერ გარდენში“ მოგროვილ 20 ათასი ერთგული გულშემატკივრის თვალში რეაბილიტირება სურდა. ამიტომაც, მეორე მოსისხლე „ინდიანასთან“ თავი არ დაზოგა. მათ შეხვედრას, როგორც ყოველთვის, არ აკლდა ვნებათაღელვა. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მატჩის ბოლო წუთი. როცა ანგარიში 79:79 იყო და თამაშის დასრულებამდე 21 წამი რჩებოდა, ნიუიორკელთა ფორვარდმა ლარი ჯონსონმა (17 ქულა) მოედნის კუთხიდან სამქულიანი ისროლა. ბურთი რგოლს მოხვდა და მაღლა ავარდა. მის დასამატებლად მასპინძელთა ცენტრი პატრიკ იუინგი ახტა. ბურთი ჩავარდა, მაგრამ მსაჯთაგან არავინ იყო დარწმუნებული, იუინგი შეეხო თუ არა მას და შესაბამისად ორქულიანი ჩაეთვალათ, თუ სამქულიანი.

საბოლოოდ ისევ იუინგს მიეწერა ამ ბურთის ჩაგდება და „ნიუ იორკი“ ორი ქულით დაწინაურდა. „როგორც მე დავინახე, პატრიკი არ შეხებია ამ ბურთს, მაგრამ რადგან მან თქვა, რომ შეეხო, ესე იგი, ეს ასეა“ — ამბობდა ლარი ჯონსონი. ასეა თუ ისე, „ნიქსმა“ ერთი ქულა დაკარგა, მაგრამ ამან ვერ იქონია გავლენა მატჩის შედეგზე. მართალია, ამ ჩაგდებიდან ექვსი წამის შემდეგ სტუმარმა რეჯი მილერმა ორი საჯარიმოთი კვლავ გაათანაბრა (81:81), მაგრამ აქ კვლავ იყოჩაღა ბებერმა იუინგმა. მან სირენამდე რვა წამით ადრე ნახტომში შემოტრიალებით კაუჭი ჩააგდო, რის შემდეგაც „ინდიანამ“ ვეღარაფერი იღონა.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა ორი საშუალო გუნდის — „მინესოტას“ და „დეტროიტის“ ჭიდილი. მეორე ნახევრის დასაწყისში სტუმარი „დეტროიტი“ ათი ქულით გაექცა მასპინძლებს, რამაც „ვულვზის“ თავკაცი ფლიპ სანდერსი ერთობ აღელვა. განერვიულებულმა თავი ვერ შეიკავა, მსაჯს რაღაც წვრილმანზე გამოედავა და ამისათვის იგი თამაშიდან გააძევეს. უმწვრთნელოდ დარჩენილმა „მინესოტამ“ მაინც მოახერხა სხვაობის გაქვითვა და „მგლების ხროვის ბელადმა“ კევინ გარნეტმა ბოლო წამზე თავისიანთა გამარჯვების მომტანი ბურთიც ჩააგდო. ამან გარნეტი ისე გაახარა, რომ ამ 211-სანტიმეტრიანმა გიგანტმა ბალღივით იმხიარულა — ჯერ მოედანზე იკუნტრუშა, შემდეგ ტრიბუნაზე ვიღაცას ჩაეხუტა, ბოლოს კი თავისი დამრიგებელი ფლიპ სანდერსიც მოძებნა და ახლა ლამის იმას დაამტვრია ძვლები სიხარულისგან.

ბედნიერი დღე გაუთენდა ახალი თაობის კიდევ ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, ტორონტოელ ვინს კარტერს. მისმა გუნდმა იოლად აჯობა „კლივლენდს“ მაგრამ ჭაბუკი ვინსი თავისმა პირველმა სამმაგმა დუბლმა აღაფრთოვანა. კარტერმა ის პირველად შეასრულა არამარტო ნბა-ში ყოფნის, არამედ საერთოდ კარიერის მანძილზე. აქამდე კარტერს არასოდეს გაეკეთებინა 10 პასი, ახლა ამას 11 მოხსნაც წაემატა, ქულები ხომ თავისთავად და თამაშის მერე დიდად გაიხარა. „აქამდე სიცოცხლეში არ გამიკეთებია სამმაგი დუბლი. მახსოვს, სკოლაში თამაშის ბოლო წელს ერთი თუ ორი პასი დამაკლდა. ასე რომ, ჩემი გულშემატკივრები შეიძლება კიდევ კარგა ხანს ვალოდინო მორიგ სამმაგამდე. იქნებ ეს სულაც უკანასკნელიც აღმოჩნდეს, მაგრამ დღეს მე მაინც ბედნიერი ვარ და მადლობას ვუხდი თანაგუნდელებს, რომლებმაც ჩემი გადაწყდებული ბურთები ჩააგდეს“ — ამბობდა კარტერი მატჩის შემდეგ.

დაძაბულობაზე რა მოგახსენოთ, აი, ინტრიგა კი ნამდვილად არ აკლდა „მილუოკი“-„ორლანდოს“ თამაშს. ეს ორივე აღმოსავლეთში პლეი ოფში გამსვლელი ბოლო, მერვე ადგილზე მოხვედრისთვის თავს არ ზოგავს. ამ გამარჯვებით „მილუოკიმ“ „ორლანდოსთან“ ნაპრალი კიდევ უფრო შეამცირა. ორივე გუნდს კიდევ ხუთ-ხუთი მატჩი დარჩა გასამართი, აქედან ერთი საერთო, რომელსაც ორლანდო უმასპინძლებს 17 აპრილს. საქმეს ისეთი პირი უჭირს, სწორედ ეს თამაში გამოავლენს პლეი ოფში გასული ბოლო გუნდის ვინაობას.

ირაკლი ფირაყვილი

კვირის მოთამაშე

ალონზო მურნინგი

• მაიამი •



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტული არავის დაანება „მაიამი“ ჰითის ცენტრმა ალონზო მურნინგმა. მან ყველა თავისი მეურვე დაჩოქა და ოთხივე თამაში „მაიამის“ მოაგებინა. ალონზო და კამპანია იოლად გაუსწორდნენ პირველ სამ მეტოქეს — „კლივლენდს“, „შარლოტს“ და „ნიუ ჯერსის“, თან ისე, რომ ერთმა მათგანმაც ვერ შეძლო, „მაიამის“ კალათში 85 ქულაზე მეტი ჩაეგდო (ამ მხრივ „მაიამის“ მართლაც არა ჰყავს ბადალი მთელი ლიგის მასშტაბით). განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა კვირას მოსისხლე „ნიუ იორკთან“ შეხვედრა. აქ მურნინგმა აშკარად დაჩაგრა 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი პატრიკ იუინგი, რომელსაც ასევე ბრწყინვალე კვირა ჰქონდა. მურნინგმა იუინგი სულ 18 ქულას დაუჯერა, თავად კი 38 ქულას, 11 მოხსნას და 6 დაფარებას მოუყარა თავი. ის მატჩი „მაიამმ“ 95:94 მოიგო და ამ შეხვედრამ ავტომატურად გასცა პასუხი კითხვას — ამ ორ გიგანტს შორის ვინ გახდებოდა კვირის მოთამაშე.

იუინგის გარდა მურნინგს კვირის მოთამაშის ტიტულში ეცილებოდნენ: მაიკლ ფინლი (დალასი), სტიფ ფრენსისი (ჰიუსტონი), დარელ არმსტრონგი (ორლანდო), ანფერნი ჰარდეევი (ფინიქსი) და, რაღა თქმა უნდა, სიეტლელი გერი პეიტონი, რომელიც ლამის მუდმივადაა კანდიდატთა სიაში, მაგრამ კვლავაც ვერ შეძლო ამ ტიტულის დათრევა.

აღმოსავლეთის კონფერენცია

	მ	წ	%
ინდიანა*	51	26	66,2
მაიამი*	50	27	64,9
ნიუ იორკი*	48	29	62,3
ფილადელფია*	45	32	58,4
შარლოტი*	44	33	57,1
ტორონტო	43	34	55,8
დეტროიტი	40	37	51,9
ორლანდო	39	38	50,6
მილუოკი	38	39	49,4
ბოსტონი	31	46	40,3
ნიუ ჯერსი	31	46	40,3
კლივლენდი	30	47	39,0
ვაშინგტონი	28	49	36,4
ატლანტა	26	51	33,8
ჩიკაგო	16	60	21,1

დასავლეთის კონფერენცია

ლეიკერსი*	65	13	83,3
პორტლენდი*	56	19	72,7
იუტა*	52	25	67,5
ფინიქსი*	49	27	64,5
სან ანტონიო*	49	28	63,6
მინესოტა*	48	29	62,3
საკრამენტო*	43	33	56,6
სიეტლი*	42	35	54,5
დალასი	35	41	46,1
დენვერი	31	46	40,3
ჰიუსტონი	31	46	40,3
ვანკუვერი	21	55	27,6
გოლდენ სტეიტი	18	59	23,4
კლიპერსი	14	62	18,4

*— *გავიდნენ პლეი ოფში*

შავების შავი უქმეები

ზე 12. მეშვიდე ტური

7 აპრილი

ველინგტონი (ახალი ზელანდია) 28:22 კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია)

ველინგტონი: 4ლ — კალენი (2), ლომუ (2); 4გ — ჰოლუელი
კრაისტჩერჩი: 2ლ — ვუნიბაკა, ბლეკედერი; 4ს — მერთენსი

კანბერა (ავსტრალია) 34:15 დანიდინი (ახალი ზელანდია)

კანბერა: 4ლ — გიფინი, უოლკერი, ლერკჰემი, როფი; 1გ და 4ს — მორტლოკი
დანიდინი: 5ს — ბრაუნი

8 აპრილი

ოკლენდი (ახალი ზელანდია) 18:39 კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)

ოკლენდი: 2ლ — ბლოუერსი, დოუდი; 1გ და 2ს — კეშმორი
კეიპტაუნი: 5ლ — როსოუ (2), პაულსი (2), ფლეკი; 4გ და 1ს — ფან სტრაატენი; 1ა — ფან ზილი

ბრისბენი (ავსტრალია) 34:15 პრეტორია (სამხრეთ აფრიკა)

ბრისბენი: 4ლ — ჰორანი, კეფუ, კოკბეინი, კორდინგლი; 4გ — ფლეტლი (3), დრამი; 2ს — ფლეტლი
პრეტორია: 2ლ — ნორტი, დე კოკი; 1გ და 1ს — დე ბეერი

დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 27:28 იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა)

დურბანი: 3ლ — მიულერი, ფან რესბურგი, ბრონიპენი; 3გ — დიუ ტუა (2), ფან რესბურგი; 2ს — დიუ ტუა
იოჰანესბურგი: 3ლ — მალდერი, ერასმუსი (2); 2გ და 3ს — კოენი

9 აპრილი

ჰამილტონი (ახალი ზელანდია) 30:37 სიდნეი (ავსტრალია)

ჰამილტონი: 4ლ — ტუკინო, კრაიჩტონი, რიანა, საჯარიმო; 2გ — ჯექსონი; 2ს — კრაიჩტონი
სიდნეი: 4ლ — სტრაუსი, სტენიფორტი, უილბორნი, ლაიონსი; 4გ — ბარკი (3), პეინი; 3ს — ბარკი

ზე 12-ის მეშვიდე ტური ახალზელანდიელთათვის მეტად უიღბლო გამოდგა. „შავების“ ხუთი გუნდიდან ოთხი დამარცხდა და ერთიც იმტომ გადარჩა, რომ თანამემამულეებს ხვდებოდა. ამით კარგად ისარგებლა კანბერამ და პირველი არაახალზელანდიური კლუბი შეიქმნა, რომელიც გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა.

ტურის მიმოხილვა ახალზელანდიელთა შერკინებით დავიწყოთ. კრაისტჩერჩი ველინგტონს დაუმარცხებელი ეწვია და ცხადია, მხოლოდ მოგება სწყუროდა. მასპინძლებსაც უეჭველად გამარჯვება სჭირდებოდათ, რათა ნახევარფინალში მოხვედრისთვის წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგათ. თამაში მეტად ლამაზი და კარგი გამოდგა. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია. სტუმართა ლელოს და მერთენსის სამ საჯარიმოს, მასპინძლებმა ერთი გარდასახული ლელოთი უპასუხეს. განსაკუთრებით ლამაზი კრისტიან კალენის პირველი ლელო იყო. „ოლ ბლეკსის“ უკანახაზელმა 45-მეტრიანი გარღვევა განახორციელა, გზად ოთხი ხუთი მეტოქე ჩამოიშორა და ბურთიანმა უწია კრაისტჩერჩის სალელოე მოედანს. მეორე ტაიმში კი თავიდან უპირატესობას ველინგტონი დაეუფლა და 21:17 დაწინაურდა, მაგრამ ტოდ ბლეკედერმაც კალენისაზე არანაკლებ ლამაზი ლელო გაიტანა და თავისიანები ქულით დაწინაურა. თუმცა მატჩის დამთავრებამდე თორმეტიოდე წუთით ადრე ლომუმ იყოჩაღა და ანგარიში 28:22 გახდა. მსაჯის საფინალო სასტვენამდე დარჩენილმა დრომ კრაისტჩერჩის გააფთრებულ იერიშებში ჩაიარა, მაგრამ სტუმრებს მაინც მოუწიათ პირველ მარცხთან შეგუება.

პარასკევსვე გაიმართა მოწინავე ოთხეულის დანარჩენი ორი წვერის შეხვედრა და იქაც მასპინძლებმა იმარჯვეს. კანბერამ ისევე ძლიერად დაიწყო მატჩი, როგორც ერთი კვირის წინ იოჰანესბურგთან. მე-13 წუთზე ანგარიში 13:0 იყო. დევიდ გიფინის ლელოს სტირლინგ მორტლოკმა გარდასახვა და ორი საჯარიმო დაურთო. შესვენებამდე ენდრიუ უოლკერმაც დაალელოვა მოწინააღმდეგე, მორტლოკმა კი კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა. სტუმართაგან მხოლოდ ახალი ზელანდიის ნაკრების წევრმა, ტონი ბრაუნმა შეძლო ქულების (9) მოხვეჭა. მეორე ტაიმშიც მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ მეოთხე ლელოს გატანით პრემიალური ქულაც მიითვალეს. მატჩის ყველაზე ლამაზი მომენტი კი უდავოდ 76-ე წუთზე ჯო როფის ლელო გახლდათ. ჩვეული კანბერული კომბინაცია, რომელშიც ხუთმა ავსტრალიელმა მიიღო მონაწილეობა, მარკ ბართოლომეუსის პასით დაგვირგვინდა. როფსაც აღარა დარჩენოდა რა, თუ არა კუთხურის ალამთან ბურთის დამიწება.

ტურის უდიდესი სიურპრიზი ოკლენდში დაფიქსირდა, სადაც კეიპტაუნმა „ლურჯებს“ გამოუყვანა წირვა. ამ მოგებით სტუმრები პირველი სამხრეთაფრიკელები შეიქმნენ, რომელთაც ტურნირში ორი მატჩი მოიგეს ახალ ზელანდიაში — ოკლენდამდე კეიპტაუნმა მაჩანჩალა ჰამილტონს აჯობა. შეხვედრა მომხდურთა უპირატესობით დაიწყო და ასევე დასრულდა. პირველი ლელო პიტერ როსოუს ანგარიშზეა, რომელმაც დაახლოებით 75 მეტრი ირბინა ბურთით ხელში მეტოქის სალელოე მოედნამდე. კეიპტაუნის კაპიტანმა კორნ კრაიჯმა მატჩის შემდეგ თქვა: „პიტერმა სასწაულებრივი ლელო გაიტანა. საერთოდ, ამ საღამოს ის შეუდარებელი იყო“. კრაიჯის თანაგუნდელებმა ტაიმი 19:6 მოიგეს. შესვენების შემდეგ კი იმდენი მოახერხეს, პრემიალური ქულაც მოიხვეჭეს ხუთი ლელოს გატანისთვის. ახლა კეიპტაუნი სამხრეთაფრიკელიანგან ფაქტობრივად ერთადერთია, ფინალურ ოთხეულში მოხვედრაზე ოცნება კიდევ რომ შეუძლია.

ნახევარფინალში გასვლა ბრისბენსაც სურს და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. ზედიზედ სამ მარცხს „ქვიზლენდელმა წითლებმა“ ამდენივე გამარჯვება მიაყოლეს და გათამაშების ცხრილში მერვე ადგილამდეც აღზევდნენ. ამჯერად ავსტრალიის ნაკრების კაპიტნის, ჯონ ილსის წინამძღოლობით, ბრისბენელებმა ტურნირის უსუსტეს პრეტორიას აჯობეს.

ტურის ბოლო მატჩი კვირას გაიმართა ჰამილტონში, სადაც სიდნეი სტუმრობდა. ორივე ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა მცირედ უპირატესობას მაინც ახალზელანდიელები ფლობდნენ. თამაშის დამთავრებამდე სამიოდ წუთით ადრე ისინი 30:23 იგებდნენ, მაგრამ აქ ჯერ უილბორნი გამოხტა, მერე კი ლაიონსი, რომელთა გატანილი ლელოებიც მეტიუ ბარკმა გარდასახა და ავსტრალიელებმა საუკეთესო ოთხეულში გასვლის შანსი შეინარჩუნეს, მათმა მეტოქეებმა კი საბოლოოდ დაკარგეს.

ბაიოზ თალაკვაძე

სატურნირო ვითარება

კანბერა	6	5	0	1	4	1	221:77	25
ველინგტონი	7	5	0	2	4	0	197:172	24
კრაისტჩერჩი	6	5	0	1	2	1	197:158	23
დანიდინი	6	4	0	2	4	1	196:163	21
კეიპტაუნი	7	3	1	3	2	1	172:172	17
სიდნეი	7	3	0	4	2	2	203:157	16
ოკლენდი	6	3	0	3	2	1	137:149	15
ბრისბენი	6	3	0	3	2	0	149:171	14
იოჰანესბურგი	7	3	0	4	0	2	143:241	14
ჰამილტონი	6	1	0	5	2	4	147:168	10
დურბანი	6	1	1	4	0	2	120:179	8
პრეტორია	6	0	2	4	0	1	99:151	5

მეხუთე გრფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია

ყველაზე შედეგიანები

მეტიუ ბარკი (სიდნეი) — 98 ქულა
ტონი ბრაუნი (დანიდინი) — 90
ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი) — 87
სტირლინგ მორტლოკი (კანბერა) — 86
ბრაამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი) — 68
ჯანი დე ბეერი (პრეტორია) — 64

საუკეთესო მელელოეები

ენდრიუ უოლკერი (კანბერა) — 7 ლელო
კრისტიან კალენი (ველინგტონი) — 6
ტანა უმაგა (ველინგტონი) — 5
მარკ ბართოლომეუსი (კანბერა) — 5
ჯონა ლომუ (ველინგტონი) — 5
ბრეიტონ პაულსი (კეიპტაუნი) — 5

მერვე ტური

14 აპრილი

ოკლენდი — დანიდინი

ბრისბენი — კეიპტაუნი

15 აპრილი

სიდნეი — კანბერა

დურბანი — კრაისტჩერჩი

ჰამილტონი — პრეტორია

იოჰანესბურგი და ველინგტონი ისვენებენ

ჯონა ლომუს ორმა ლელომ ველინგტონს კრაისტჩერჩთან გაამარჯვებინა

მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო

ბარიკელო უკვე ეჭვიანობს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1-ში მთავარი, რაღა თქმა უნდა, თვითმფრინავის სიჩქარით ქროლა, მოსახვევებში დროულად დამუხრუჭება და მერე პოდიუმზე მთელი მსოფლიოს დასანახად ხელების შემართვა და შამპანურით წყწაობაა. თუმცა ამ სულისშემკვრელ სპორტს ბოლომდე რომ ჩავწვდეთ, რბოლის შემდგომ პრესკონფერენციებსა თუ ინტერვიუებსაც უნდა გაეცნოთ.

იმოლას ტრასაზე სეზონში ზედიზედ მესამე გამარჯვების კვალად ყურადღების ცენტრში, ცხადია, მიხაელ შუმახერი მოექცა.

— მიხაელ, რბოლის ბედი, ფაქტობრივად, მეორე პიტ-სტოპზე შესვლამდე დარჩენილ ოთხ წრეზე გადაწყდა, როდესაც ჰაკინენთან ოთხწამიანი ჩამორჩენა ოთხწამიან უპირატესობად აქციეთ. ტრასაზე მასზე მეტხანს დარჩენა თავიდანვე გადაწყვიტეთ?

— არა, ჩვენ რა თქმა უნდა, არ ვიცოდით, მიკა როდის შევიდოდა ბენზინის ჩასამატებლად, მხოლოდ ვარაუდით ვიმოქმედეთ. არ ვიცი, რა მოუვიდა მას იმ მომენტში, მაგრამ საბედნიეროდ, პიტ-სტოპის წინ ჩამორჩენა შესამჩნევად შემცირდა, მეც ძალიან მოვინდომე და საბურავების გამოცვლის შემდეგ მის წინ აღმოვჩნდი. ეს ჩემი საჩუქარია ყველა ტიფოზისადმი. გუშინ მათ მოვუბოდიშე, რომ პოული შეცდომის გამო დავკარგე (შაბათს კვალიფიკაციის საუკეთესო წრეზე შუმახერმა შემთხვევით სიჩქარის მაქსიმუმის მაკონტროლებელ ღილაკს დააჭირა ხელი და დრო დაკარგა) და აჰა, გამოვასწორე კიდეც დანაშაული. ძალიან მიხარია და მოუთმენლად ველი მომდევნო რბოლებს.

— შემდეგი რბოლა სილვერსტოუნზეა, სადაც შარშან ავარიაში მოყვით. წლეულს იქ როგორ გუნებაზე ჩახვალთ?

— იქნებ ცოტა სხვანაირი შეგრძნება გამიჩნდეს, როდესაც პირველად მივუახლოვდები იმ ავბედით სტოუს მოსახვევს. თუმცა არა, არა მგონია, რადგან მნიშვნელობა არა აქვს, რომელი მოსახვევია, თუ მუხრუჭები არ გამუშავებს. ის ავარია ნებისმიერ სხვა ადგილზე შეიძლებოდა მომხდარიყო და ამას არაფერი ეშველებოდა. მე მხოლოდ ვიმედოვნებ, რომ ტრასის გვერდით მონაკეთსა და დამცავ ზღუდეებს ამჯერად უკეთ მოაწყობენ.

იმოლაზე მეორე ადგილზე გასული მიკა ჰაკინენი გახარებულიც ჩანდა და მოწყენილიც.

— მიკა, რამდენად იმედგამაცრუებელია იმ რბოლის წაგება, რომელსაც ამდენი ხნის მანძილზე სათავეში ედექით, ეს არასწორი სტრატეგიის გამო მოხდა?

— მართლაც ძალიან იმედგამაცრუებელია, თუმცა დღეს ორმა ინციდენტმაც შემიშალა ხელი. ჯერ, პიტ-სტოპის შემდეგ, რაღაც რკინის ნამსხვრევს გადავუარე, რამაც მანქანის შასი და აეროდინამიკური მოწყობილობები დამიზიანა. მერე კი, უკვე რბოლის ბოლოს, მოულოდნელად ძრავი გაჩერდა და ტრასის ყველაზე გრძელ, სწრაფ მონაკეთზე რამდენიმე წამი დავკარგე. თუმცა, ამავე დროს, კმაყოფილი ვარ ჩემი და მთელი გუნდის მოქმედებით. ჩვენ კარგად ვიმუშავეთ.

ყველაზე ნაწყენი სან მარინოს გრან პრის შემდეგ „ფერარის“ მეორე პილოტი, მეოთხე ადგილზე გასული რუბენს ბარიკელო დარჩა. ბრაზილიელი დაეჭვდა იმაში, რომ „სკუდერია“ მასა და შუმახერს ერთნაირად არ ეპყრობა.

„ცუდი რბოლა და ძალიან მძიმე უქმეები იყო. არ ვიცი, მე მჭირს რაიმე, თუ ამ მანქანას. მიხაელის ბოლიდი რბოლებს იგებს, ჩემი — არა. შუმახერი უფრო უკეთ იცნობს „ფერარის“ სტრატეგიას, მაგრამ ვერავინ ამიხსნა, ყველაფერი ცუდი (ბარიკელო წინა რბოლაზე მანქანის გაფუჭებასაც გულისხმობს) მე რატომ შემართება.“

მართლაც, ბრაზილიელს იმოლაზეც ძალიან არ გაუმართლა, ამჯერად ის უსაფრთხოების ღვედმა დააღალატა.

„დასაწყისშივე ღვედი რატომღაც მოეშვა და მანქანის მართვა თითქმის შეუძლებელი გახდა, რადგან კოკპიტის კედლებს გამუდმებით ვეხეთქებოდი და თავს ძლივს ვიკავებდი. ფეხები, ალბათ, კარგა ხანს მექნება ჩალურჯებული.“

ბარიკელოს ის თუ დაამშვიდებს, რომ მისი ქმედება „ფერარის“ თავკაცმა ლუკა დი მონტეძემელომ გმირობად შეაფასა. ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა კი იგი დაარწმუნა, რომ სეზონის ბოლომდე არავინ დაავალებს შუმახერს დაეხმაროს და მას ადგილი დაუთმოს.

„მაკლარენის“ ბოსმა რონ დენისმა კომენტარისგან თავი შეიკავა, სამაგიეროდ, „მერსედესის“ თავკაცმა ნორბერტ ჰაუგმა ჟურნალისტები არ გააწბილა: „რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, გაგვემარჯვა, მაგრამ გარემოებათა გათვალისწინებით მიკამ და დეიდმა შესანიშნავად იასპარეზეს. მიხაელთან დამარცხება სირცხვილი სულაც არ არის, რაც მთავარია, პრობლემები აღმოვფხვერით და ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც ჩავებით.“

ქაცა არჯევანიძე

სამიდან სამი იაპონურად

სენსაციით დასრულდა მოტომრბოლთა იაპონიის დიდი პრიზის გათამაშება, რომელიც სუძუკას ავტოდრომზე გაიმართა. მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ეტაპზე სამივე კლასში მასპინძლებმა გაიმარჯვეს. თუ 125-სა და 250-იანებში იაპონელთა წარმატება განსაკუთრებული არაფერი იყო, ყველაზე პრესტიჟულ კლას 500-ში თვითონ ნორიკ აბემაც კი ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ კარგა ხანს ვერ დაიჯერა, რომ წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი ჰარი მაკკოი და სამი მსოფლიოს ჩემპიონი — კრივილე, როსი და კაპიროსი უკან მოიტოვა. ნორიკ აბე ფირმა „იამაჰას“ მოტოციკლით ასპარეზობს, ფირმისა, რომელიც ბოლო წლებში „ჰონდასა“ და „აპრილიას“ ჩრდილში იყო. წლეულს, როგორც ჩანს, „ჰონდას“ ბატონობას ბოლო ელება. ჯერ იყო და, „აპრილიამ“ გამოგლიჯა რამდენიმე გემრიელი ლუკმა, ახლა იტალიურ ფირმას „სუძუკი“ და „იამაჰაც“ დაემატნენ. ამ ვითარებაში ერთობ წამგებიანად გამოიყურება მოტოსპორტის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის ვალენტინო როსის გადასვლა „აპრილიადან“ „ჰონდაში“. ცხადია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის წარუმატებელი სტარტი მარტო „ჰონდას“ ბრალი არ არის — ახალ მანქანას და ამასთან ერთად უფრო მძლავრსაც (როსის 250-სა და 125-ში აქვს ჩემპიონატის ტიტული მოპოვებული) შეჩვევა, მოშინაურება, ერთი საადაპტაციო სეზონი მაინც სჭირდება, მაგრამ რეალობა ჯერჯერობით ასეთია, ხვალ კი...

125-იანში ასპარეზობის მაყურებლები მცირე ტრაგედიის მოწმენი გახდნენ. გვარიანად დაწინაურებულ იტალიელ რობერტო ლოკატელის სულ ორნახევარი წრეღა რჩებოდა ფინიშამდე, როცა უმარტივეს სიტუაციაში — არც არავინ უტევდა და ტრასაც სუფთა იყო — შეცდა და დავარდა. პოდიუმი კი მისმა სამმა მდევარმა, სამივე იაპონელმა — იოუიში უიმ, ნობერუ უედამ და მასაო აზუმამ — დაიკავა.



იაპონელთა ტრიუმფი ნორიკ აბემ (6) დააგვირგვინა

კლას 250-ში, რომელიც შარშანდელი სეზონის შემდეგ ერთბაშად რამდენიმე ძლიერმა მრბოლმა მიატოვა (უმაღლეს კატეგორიაში გადავიდნენ), წლეულს პირველად გამოჩნდა 17 წლის იტალიელი მარკო მელანდრი. ამ ბიჭსაც მისი თანამემამულის ვალენტინო როსის მსგავს ფანტასტიკურ კარიერას უწინასწარმეტყველებენ. მარკო ჯერჯერობით, როგორც ჩანს მენეჯერთა მითითებით, ფრთხილად ასპარეზობს — 25 ქულა მოაგროვა და საერთო ჩათვლაში მეექვსე ადგილზეა. ამგვარი ტაქტიკა ალბათ გამართლებულია, თუნდაც იმიტომ, რომ 125-სა და 250-ს შორის ძალზე დიდი სხვაობაა. ეს სხვაობა წამებში 5 კილომეტრიან წრეზე საშუალოდ 10 წამს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ 250 კუბური სანტიმეტრის მოცულობის ძრავიანი მოტოციკლის საშუალო სიჩქარე 25 კმ/სთ-ის მეტია 125-იანზე. ამ სარბოლო მანქანების მაქსიმალური სიჩქარე კი 280-290 კმ/სთ-ს აღწევს. სხვათა შორის კლას 250-ში არც როსის დებიუტი იყო ია-ვარდით მოფენილი. ერთი სიტყვით ამ ორ იტალიელ ვუნდერკინდს (როსიც ახლახან გახდა 21 წლის) წლეულს გამოცდისა და გამოცდილების მიღების სეზონი უდგათ.

კლას 250-ში ისევე როგორც 125-ში პირველი სამი ადგილი მასპინძლებმა შეავსეს — მოკლედ, პოდიუმი ისევ იაპონელებით გაივსო — დაჯირო კატო, ტორუ უკავა და შინი ნაკანო. მარკო მელანდრი მეხუთე იყო ფრანგი ოლივიე ჟაკის შემდეგ.

ირაკლი გერიაშვილი

მსოფლიოს თასი

იაპონიის დიდი პრიზი

125 კუბ. სმ
1. იოუიში უი (იაპონია, დერბი)
2. ნობურო უედა (იაპონია, ჰონდა)
3. მასაო აზუმა (იაპონია, ჰონდა)

250 კუბ. სმ
1. დაჯირო კატო (იაპონია, ჰონდა)
2. ტორუ უკავა (იაპონია, ჰონდა)
3. შინი ნაკანო (იაპონია, იამაჰა)

500 კუბ. სმ
1. ნორიკ აბე (იაპონია, იამაჰა)
2. კენი რობერტსი (აშშ, სუძუკი)
3. ტადეიუკი ოკიდა (იაპონია, ჰონდა)

საერთო ჩათვლა

125 კუბ. სმ
1. იოუიში უი — 45 ქ.
2. ნობურო უედა — 42
3. ემილიო ალზამორა (ესპანეთი, ჰონდა) — 40

250 კუბ. სმ
1. შინი ნაკანო — 66 ქ.
2. დაჯირო კატო — 61
3. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, იამაჰა) — 46

500 კუბ. სმ
1. კენი რობერტსი — 55 ქ.
2. კარლოს ჩეკა (ესპანეთი, იამაჰა) — 51
3. ჰარი მაკკოი (ავსტრალია, იამაჰა) — 42

ნინა ჟივანევსკაია

ნინას გათხოვება მოუხდა

მოცურავეთა ესპანეთის ჩემპიონატი, ალბათ, ბევრს არ დააინტერესებდა, რომ არა მსოფლიოს რეკორდი.

რუსმა ნინა ჟივანევსკაიამ, რომელიც ახლა ესპანეთის სახელით გამოდის, 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში, სტამბოლის შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე გერმანელი სანდრა ფოლკერის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი ორი მეასედი წამით გაუმჯობესა — 28,69 და კარიერაში პირველი მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა. არადა, სტამბოლში იგი სწორედ ფოლკერთან ორთაბრძოლაში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. სხვათა შორის, ჟივანევსკაიამ სტამბოლში ესპანეთს ოქროვერცხლიც მოუტანა, შესაბამისად, 100 და 200 მეტრზე იმავე დისციპლინაში.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჟივანევსკაია ორწლიანი შესვენების მერე ასპარეზობებს შარშან დაუბრუნდა, როდესაც ქორწინებით ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო.

გიგა გურასაშვილი

რეგულარულად არმოსაწყენი ამბები

ახლახან დასრულებული ნჰლ-ის მორიგი რეგულარული ჩემპიონატის შეჯამება ცხადია, ჯერ ნაადრევია, მით უმეტეს, რომ წინ ყველაზე მთავარი, პლეი ოფია. თუმცა ის კი უპრიანია, თვალი გადავავლოთ სეზონს, რომელიც უხვი გამოდგა კონფლიქტებით, სკანდალებითა და სხვა საინტერესო მოვლენებით.

სიახლე

ალბათ, თავად ლიგის მესვეურებიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ოვერტაიმის წესის შეცვლა ლიგაში ნამდვილ გადატრიალებას მოახდენდა. დამატებით დროში 4X4-ზე თამაშის შემოღებამ მკვეთრად გაზარდა შედეგიანობა, რაც მთავარია, ეს 5 წუთი ზოგჯერ უფრო საინტერესოდ მიმდინარეობს, ვიდრე ძირითადის 60. ყოველივე ამას იარომირ იაგრის გახმაურებული განცხადება მოჰყვა — ეგებ ღირს, მატჩები მთლიანად შეცვლილი წესით ჩატარდესო. ამაზე დღემდე კამათობენ. სიახლის მომხრეებს არაერთი არგუმენტი მოჰყავთ, კერძოდ, თამაში შინაარსობრივად გამდიდრდა. ასე რომ, რაც დღეს ფანტასტიკურად გვეჩვენება, ხვალ შეიძლება რეალობად იქცეს.



იარომირ იაგრი

ევროჰეგემონია

ეს ტენდენცია სწორედ წლეულს გამოიკვეთა და ყველაზე ნათლად „ყველა ვარსკვლავის“ შოუში გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ ის მატჩი ევროპელთა გამარჯვებით (9:4) დასრულდა. ჩრდილოამერიკული პრესის შეშფოთებაც გასაგებია — ჩვენი ჰოკეის მზე ჩაესვენა, კანადასა და აშშ-ში სულ უფრო ნაკლებად ისმის ახალი სახელები. მართლაც, ევროპელები არა მხოლოდ მომრავლდნენ ნჰლ-ში, არამედ ბატონობენ კიდეც. თავად განსაჯეთ: ჩეხი იაგრი საუკეთესო ბომბარდირია, რუსი პაველ ბურე — საუკეთესო სნაიპერი, შვედი ლიდსტრიომი — საუკეთესო ბომბარდირი მცველი...

სისასტიკე

სპეციალისტთა უმეტესობის აზრით, ლიგის მიერ გაჩაღებულმა ბრძოლამ უხეშობასთან, ბოლო ხანებში ნაყოფი გამოიღო. ჰოკეი უფრო კორექტული თამაში გახდა, მაგრამ, ამასთანავე, მას სასტიკი და მოძალადე მოთამაშეები მოუხშირდა. გავიხსენოთ ბოსტონელი მარტი მაკსორლის საქციელი, რამაც დონალდ ბრაშირი იმსხვერპლა (იგი ერთი თვის განმავლობაში ვერ თამაშობდა). ამას სკოტ ნიდერმაიერის უმსგავსო ქმედება და კიდევ რამდენიმე გაუგებარი ინციდენტი მოჰყვა.

ტრავმები

უხეშობა და ძალადობა, ცხადია, ტრავმებს იწვევს. ედმონტონელი ბოდ დეივერო, მონრეალელი ტრენტ მაკლირი, ტორონტოელი ბრაიან ბერარდი, ფილადელფიელი ერიკ ლინდროსი — ეს დაზარალებულთა არასრული სიაა. უხვტრავმიანი გამოდგა ჩემპიონატის ბოლო დღეებიც. ტორონტოელმა დარსი ტაკერმა აილენდერსის მეკარე კევინ უიკს ციგურით ლამის ყელი გამოსჭრა, ტამპელი გოლკიპერი ზაკ ბიერკი კი პარტნიორის გაუფრთხილებლობამ დააზიანა — მას კაილ ფრიდრიხის დარტყმული შაიბა ყელში მოხვდა და დაშავდა.

გაფიცვა

ეს სეზონი ოტაველი ალექსეი იაშინის უპრეცედენტო გაფიცვითაც დაგვამახსოვრდა — ეს იყო არა მხოლოდ კონფლიქტი კლუბსა და მოთამაშეს შორის, არამედ ნამდვილი ომი, ოტავას ფანებისა და მოთამაშეთა ასოციაციის სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება. საქმე სასამართლომდეც კი მივიდა. პირველმა მოსმენამ ჰოკეისტს დაუჭირა მხარი — მან ლიგის საჩივარი უარყო და დაადგინა, რომ ასოციაცია სულაც არ არის ვალდებული, იაშინზე ზეწოლა მოახდინოს და მას ძველი კონტრაქტის პირობებით თამაში აიძულოს. უახლოეს ხანში კიდევ ერთი საკითხი განიხილება — აკავშირებს თუ არა იაშინს რაიმე ვალდებულება კლუბთან (რაც ჰოკეისტს გუნდში კიდევ ერთი სეზონით დარჩენად დაუჯდება) თუ შეუძლია, თავისუფალ აგენტად იქცეს.

სკანდალები

წლეულს ჰოკეისტებმა ყინულს მიღმაც გაიხედეს. ისინი არანაირ გასართობსა და სიამოვნებაზე ამბობენ უარს. მათთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა გვარიანად გამოთრობა, მეძავ ქალებთან ერთად ძვირადღირებულ სასტუმროებში დროსტარება და ათასგვარ შარში გახვევა. ყველა აალაპარაკეს რეინჯერსის ფორვარდმა კევინ სტივენსმა და დალასის მეკარე ედ ბელფორმა. ამ უკანასკნელმა პოლიციელს ჯერ სცემა, მერე კი მისი მოქრთამვა სცადა. ჩემპიონატის ბოლოს კი ერიკ ლინდროსმა და ფილადელფიის ექიმებსა და მესვეურებს ბრალი დასდო, ჩემი ტრავმა სერიოზული ყოფილა, თქვენ კი დამიმალეთო. საპასუხოდ „მფრინავთა“ გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა მას კაპიტნის სამკლაური ჩამოართვა. ასე რომ, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ფილადელფიის ერთგვარ სიმბოლოდ ქცეული ლინდროსი შესაძლოა გაისად სხვა გუნდში ვიხილოთ.

სამველ ღარიბიანი



ალექსეი იაშინი სასამართლოს განაჩენს ელის

გამორჩეულნი

გოლები: პ. ბურე (ფლორიდა) 58; ნოლანი (სან ხოსე) 44; ამონტე (ჩიკაგო) 43; იაგრი (პიტსბურგი) და კარია (ანაჰაიმი) 42; შენაჰანი (დეტროიტი) 41; ლეკლერი (ფილადელფია) 40; მოდანო (დალასი) 38; ლ. რობიტაილი (ლოს ანჯელესი) და ჰეიდუკი (კოლორადო) 36.

პასები: რეკი (ფილადელფია) 63; ოუთსი (ვაშინგტონი) 56; საკიკი (კოლორადო) და იაგრი 54; ლიდსტრიომი (დეტროიტი) 53; სელიანე (ანაჰაიმი) და კოზლოვი (ფლორიდა) 52; უეიტი (ედმონტონი) და გომესი (ნიუ ჯერსი) 51; დამფუსი (სან ხოსე) 50

მცველები: ლიდსტრიომი 73 (20+53); ჰრონგერი (სენტ ლუისი) 62 (14+48); რ. ბლეიკი (ლოს ანჯელესი) 57 (18+39); დეჟარდენი (ფილადელფია) 55 (14+41); ჰაუსლი (კალგარი) 55 (11+44); გონჩარი (ვაშინგტონი) 54 (18+36); ბურკი 52 (18+34); ოზოლინში (ორივე კოლორადო) 52 (16+36); ტვერდოვსკი (ანაჰაიმი) 51 (15+36); შვეჰლა (ფლორიდა) 49 (9+40)

ახალგზდები: გომესი 70 (19+51); ტანგეი (კოლორადო) 51 (17+34); მ. იორკი (რეინჯერსი) 50 (26+24); განი (ფილადელფია) 48 (20+28); ჰლავაჩი (რეინჯერსი) 42 (19+23); ლეტოვსკი (ფინიქსი) 39 (19+20); სტიუარტი (სან ხოსე) 36 (10+26); აფინოგენოვი (ბუფალო) 34 (16+18); კონოლი (აილენდერსი) 34 (14+20); ჰეხტი (სენტ ლუისი) 34 (13+21)

დარტყმები: პ. ბურე 360; რ. ბლეიკი 327; კარია 324; ვ. ბურე (კალგარი) 308; იაგრი 290; შენაჰანი 283; ჩერკავსკი (აილენდერსი) 276

საჯარიმო წუთები: ლამბერტი (ატლანტა) 219; სიმპსონი (ფლორიდა) 202; დომი (ტორონტო) 198; ბარნაბი (პიტსბურგი) 197; კეირნსი (აილენდერსი) 196; მ. ბრაუნი (ედმონტონი) 192

მეკარეები (დარტყმების მოგერიება): ბელფორი (დალასი), ჰაშეკი (ბუფალო) და თეოდორი (მონრეალი) 91,9%; ბუშე (ფილადელფია) 91,8%; კოლციგი (ვაშინგტონი) და ვერნონი (ფლორიდა) 91,7%

შთაუტები: ტურეკი (სენტ ლუისი) 7; ოსგუდი (დეტროიტი) და ბროდო (ნიუ ჯერსი) 6; თეოდორი, ბირონი (ბუფალო), ბრეტუეიტი (კალგარი), კოლციგი და ირბე (კაროლინა) 5

გერმანია

XXIX ტური

დორტმუნდი 1:3 უნტერჰახინგი
0:1 ზაიტცი (7), 1:1 რიკენი (27), 1:2 შტრეგელი (49), 1:3 შვარცი (58)

ლაუტერნი 1:2 ჰერტა
0:1 ალვეში (8), 1:1 პეტერსონი (11), 1:2 პრეეტცი (84)

ულმი 1:1 შტუტგარტი
0:1 ბორდონი (2), 1:1 ლეანდრო (71)

ვოლფსბურგი 0:0 შალკე

ინგლისი

II დივიზიონი

ოლდემი 2:1 უიგანი

III დივიზიონი

კარლაისლი 0:1 ნორთჰემპტონი

შვეიცარია

თასის მეოთხედფინალი

ლუგანო 1:0 სენტ გალენი

საბერძნეთი

XXVII ტური

კალამატა 2:1 პანილიაკოსი

კავალა 2:1 პრუდეფტიკი

ბელგია

თასის ნახევარფინალი

სტანდარდი 2:0 ლიერსი

ლიგის თასი

ანდერლეხტი 4:2 ვესტერლო

რუსეთი

თასის მეოთხედფინალი

ანჟი 3:5 პენ. (1:1 დ.დ.) ცსკა
1:0 ოსკოლკოვი (22 ს.კ.), 1:1 ბიჩკოვი (31)

ავსტრია

თასის მერვედფინალი

აუსტრია 1:0 ლინცერი

REUTERS ჰავანიდან

მკურნალობენ ამას ჰქვია

როგორც ჩანს, მარადონას ერთობ გაუტკბა მკურნალობა. რახანია, კოკაინისტი დიეგო კუბას ეწვია და, კლინიკისა და ექიმების, რა გითხრათ, გასართობს არ იკლებს. ახლაც იახტაზე შემომჯდარა და ფიდელის ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში სეირნობს.

REUTERS კატმანდუდან

ნეპალელებო, ყველა სქესისა...

ეს სხვებს უხარიათ ევერესტზე ასვლა, თორემ ნეპალში, ვგონებთ, კაცი არ დარჩა იქ აუსვლელი. ახლა იქაურმა ქალებმაც შეუტიეს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალს. ეს ქალბატონები „ათასწლეულის ექსპედიციის“ წევრები არიან და ხვალიდან აპირებენ 8 848 მეტრი სიმაღლიდან ცოდვილი დედამიწის დახედვას.

თქვენ მიეცით კვირას?

საშხრეთაფრიკელ მოკრიკეტეთა კაპიტანი ჰანრი გრონიე და მისი სამი თანაგუნდელი მიცემაში ეჭვშეტანილები არიან. აქაოდა, კვირას ინდოეთში იქაურ გუნდთან 2:3 რომ დათმეს, ჩაწყობილი იყოო. რა მოჰყვება ამ ამბავს, აბა, ვინ იცის. ყოველი შემთხვევისთვის, გრონიე დროდადრო რაგბიშიც ვარჯიშობს. კრიკეტიდან თუ მოკვეთეს, უშუშეკარი რომ არ დარჩეს, ალბათ, იმიტომ.

REUTERS დურბანიდან



REUTERS სიდნეიდან

გალინას კვალზე

გალინა ულანოვა ცნობილი ბალერინა გახლდათ, მისი მოგვარე ენდრიუ კი ახლადა იწყებს საცეკვაო კარიერას. სიდნეის ოპერის წინ 10 წლის ენდრიუ და მისი 11 წლის პარტნიორი კეიტ ალუკერი ჩა-ჩა-ჩას უბერავენ. მოიპოვებენ თუ არა ისინი ჰარბორსაიდის ჩემპიონობას სპორტულ ცეკვებში, ორიოდ თვეში გაირკვევა — ამ შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობა რამდენიმე ასეულია.

მამები და შვილები

REUTERS დეტროიტიდან

დეტროიტის „ჯო ლუის არენაზე“ დაამთავრა საკრივო კარიერა ერთ-ერთი ვერსიით მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა თომას ჰერნსმა. 41 წლის კაცს ბოლო ბრძოლაზე შვილი, ასევე თომასი მიუყვანია, მაგრამ პატარა მამის საცოდაობასღა შეესწრო — ჰერნსმა მეორე რაუნდში კოჭი იღრძო და ბრძოლაც შეწყდა.

სამაგიეროდ, კვლავ გაიხარა ავადმყოფმა მუჰამედ ალიმ. მისი ქალიშვილი ლეილა იმ დღეს მეხუთედ გავიდა პროფესიულ რინგზე და მეხუთედ გალახა მეტოქე. მოკლედ, ალების ოჯახში სუსტი სქესი სანთლით საძებარია.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli